რედაქტორისგან

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ბუნებრივია, ბევრს ფიქრობს იმაზე, რას ელის მკითხველი ახალი ნომრისგან და ცდილობს, შინაარსი მის საჭიროებებს მოარგოს.

მასწავლებლის განათლებაში, მის კარიერულ ზრდასა და განვითარებაში ჩვენს ჟურნალს თავისი წვლილი შეაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, მასწავლებლები არ გვიწყენენ, თუ ვაღიარებთ, რომ ზრდასრულთა განათლება გაცილებით რთული საქმეა, ვიდრე ბავშვებისა.

დამეთანხმებით – მოსწავლე მასწავლებლებსა და მშობლებსაა მინდობილი და უმთავრესად ისინი განუსაზღვრავენ, რა ისწავლოს, მასწავლებელმა კი თავად უნდა აირჩიოს, რისი სწავლა სურს და სჭირდება.

მოსწავლე ინფორმაციას პირდაპირ იღებს, მასწავლებელს კი ხშირად უხდება საკუთარი შეხედულებებისა და ღირებულებების გადახედვა.

ჩვენს მოსწავლეებს სჯერათ, რომ ცოდნა, რომელსაც ვაძლევთ, აუცილებლად გამოადგებათ მომავალში, მასწავლებლები კი ცოდნის მაშინვე გამოყენებაზე ფიქრობენ.

ბავშვებს ახალი მასალის ათვისების ძალიან მცირე გამოცდილება აქვთ, ზოგჯერ სულაც არ გააჩნიათ, ჩვენი გამოცდილება კი ამ კუთხით მდიდარია, ამიტომ ბავშვებთან ურთიერთობისას ხშირად გვჯერა ჩვენი სიმართლის და ნებით თუ უნებლიეთ შეცდომებს ვუშვებთ.

მჯერა, მასწავლებლები ჩვენი ჟურნალისადმი განსაკუთრებულ ინტერესს გამოიჩენთ, რადგან ის სწორედ იმ უნარების განვითარებაში დაგეხმარებათ, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობაში გვჭირდება. იმედი მაქვს, ურთიერთთანამშრომლობით თავს გავართმევთ იმ დიდ გამოწვევებს, რომელიც დღეს მასწავლებელის წინაშეა.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N1(38), 2015

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, გიორგი გახელაძე, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, მაია ინასარიძე, თამთა კობახიძე, თამარ მოსიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, მანანა სეხნიაშვილი, მარინე ჯაფარიძე, ნინო კაპანაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

4 **მოსწავლეთა ქცევის და დისციპლინის საკითხები**

დღეს ყველა მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია შეკითხვა: როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეების მოტივირება და მართვა იმგვარად, რომ საკლასო ოთახი წამახალისებელ, საინტერესო სასწავლო გარემოდ იქცეს?

თამარ მოსიაშვილი

8 **ცნობისმოყვარეობიდან ცოდნისმოყვარეობამდე**

სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება ზრდის მასწავლებლის ინტერესს და, რაც მთავარია, მოსწავლისთვის სასწავლო პროცესი სახალისო ხდება. მასწავლებელსაც და მოსწავლესაც ამ მრავალფეროვნების დახმარებით შეუძლიათ ეფექტურად გაართვან თავი რუტინას.

მაია ფირჩხაძე

16 **მასწავლებლის და ჯგუფური მუშაობის როლი უნივერსალური სასწავლო ქმედებების ფორმირებაში**

ჯგუფური მუშაობის უპირატესობა ისაა, რომ იგი თითოეულ მოსწავლეს აძლევს აზროვნების, საუბრის და მოქმედების საშუალებას, რადგან სხვა ადამიანის მიერ დასმული თუნდაც მარტივი შეკითხვა უკვე წარმოადგენს ძლიერ სტიმულატორს შემეცნებითი და აზროვნებითი პროცესების გააქტიურებისთვის.

გამოცდილება

თამთა კობახიძე

12 **შიდასასკოლო შეფასების მექანიზმები**

შეფასება-მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და მის მუდმივ გაუმჯობესებას ემსახურება. აუცილებელია, სასკოლო საზოგადოების წევრებმა პასუხი გასცენ რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას, რომლებიც შესაძლოა სულაც არ მოგვეჩვენოს რთულად, თუმცა თითოეულ მათგანზე ამომწურავი პასუხის მისაღებად დიდი ძალისხმევაა საჭირო.

ქეთევან ოსიაშვილი

32 **სასკოლო შფოთიანობა და მისი გავლენა ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე**

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბავშვის ემოციური არამდგრადობისა და არასტაბილურობის სხვადასხვა ფორმას გამოყოფენ. ბავშვის განცდები და შიშები, რომლებიც სასკოლო ცხოვრებას უკავშირდება, შეიძლება ძალიან ინტენსიური და მდგრადი გახდეს. ასეთ ემოციურ დარღვევებს სპეციალისტები სხვადასხვანაირად იხსენიებენ.



მოსაზრება

ანა ჯანელიძე

24 **ბავშვების ესთეტიკური კულტურა და უფლებრივი გაძლიერება**

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გამოკვეთილმა ტენდენციებმა, როგორიცაა ბავშვის უფლებების დისკურსის გაძლიერება, ბავშვობის ახალი სოციოლოგია და ფსიქოლოგია, განათლების კვლევების ტრადიციული მეთოდებისადმი კრიტიკული თეორიების წინ წამოწევა, ხელი შეუწყო მრავალფეროვანი მეთოდების საშუალებით ბავშვობის კულტურის მულტიდისციპლინურ კვლევას.

შინაარსი

24

მოსაზრება

მაია ინასარიძე

40 **მასწავლებლის შეფასება**

დღეს, როცა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა“ დადგა დღის წესრიგში, მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, რომლებმაც შექმნეს და დანერგეს მასწავლებლის ანაზღაურების ახალი სისტემა, დაკავშირებული საქმიანობის ხარისხთან და რომელსაც საფუძვლად ამ საქმიანობის შეფასება უდევს.



ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30

ინტერვიუ

მაია ჯალიაშვილი

47 **განათლება გულისა და გონებისათვის**

ყოველთვის საინტერესოა ცნობილ ადამიანთა შეხედულებები განათლების საკითხებზე, მათი მოსწავლეობის პერიოდის გახსენება, რას და როგორ სწავლობდნენ, რამ შეუწყო თუ შეუშალა ხელი ოცნებების განხორციელებაში. ჩვენ ხომ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ (ეგზიუპერი) და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ხანა ადამიანური ცხოვრებისა დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალ წარმატებასა თუ მარცხს.

რესურსი

ეკატერინე ყიფიანი

20 **საკლასო ოთახში მოსწავლეებს შორის არსებული ურთიერთობების შეფასება**

სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების ცოდნის შეძენის პროცესს და მის დინამიკას. ამიტომაც დღეს მასწავლებლებს გვირჩევენ, ჩავერთოთ კვლევის პროცესში. ყოველ სკოლას და თითოეულ კლასს აქვს მისთვის დამახასიათებელი სოციალური გარემო. კლასში არსებული ურთიერთობების შესწავლა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა.

მანანა სეხნიაშვილი

36 **საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სახვითი ხელოვნების ინტეგრირებული გაკვეთილი**

მე-20 საუკუნის პატრიოტული სიმღერებისა და „პოეზიის“ ნიმუშების დასწავლამ „დიადი“ და „უძლეველი“ საშობლოს (სსრკ-ს) სიყვარული ვერ შთაგვინერგა. საშობლოს სიყვარულს საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის, ხელოვნების, კულტურის შესწავლა აღვივებს და არა თავს მოხვეული იაფფასიანი „ხელოვნების“ ნიმუშების ხმამაღალი აფიშირება, როგორც ამას კომუნისტური პარტია ცდილობდა.

მარინე ჯაფარიძე

51 **კონელის კითხვარი – უმცროსი ასაკის მოსწავლის მრავალმხრივი ინტელექტის გაზომვის ინსტრუმენტი**

ვინაიდან მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავებულად ითვისებენ შესასწავლ მასალას, არ შეიძლება მათი შეფასება ერთიანი, სტანდარტიზებული სისტემით. საჭიროა, მასწავლებელმა თითოეული მოსწავლისთვის შექმნას ე.წ. ინტელექტის პროფილები. მოსწავლეთა ინდივიდუალური ათვისების უნარის ცოდნა მასწავლებელს დაეხმარება, სათანადოდ შეაფასოს მათი პროგრესი.

ნინო კაპანაძე

54 **კითხვის საათი წიგნიერების განვითარებისთვის**

დაწყებით კლასებში დამრიგებლის საქმიანობით მისაღწევ ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს წიგნიერების კომპეტენციის განვითარება. ამ მიზნით, I-IV კლასების დამრიგებლებმა კითხვის საათის ფორმატში უნდა გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი: კითხვის ტექნიკის გაძლიერება, წაკითხულის განხილვა-გააზრება, ანალიზის უნარის განვითარება, მსჯელობის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

მანანა ბოჭორიშვილი

მოსწავლეთა ქცევის და დისციპლინის საკითხები

მოსწავლეთა დისციპლინის საკითხი ყოველთვის იყო და არის სკოლის მასწავლებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. დღეს ყველა მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია შეკითხვა: როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეების მოტივირება და მართვა იმგვარად, რომ საკლასო ოთახი წამახალისებელ, საინტერესო სასწავლო გარემოდ იქცეს?

ამ თემასთან დაკავშირებით ექსპერტები გვთავაზობენ შემდეგ რეკომენდაციებს:

1. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მოსწავლის ქცევის მოდიფიკაციის ძირითადი პრინციპების გააზრება და დაინახოს მისი როლი ამ პროცესში;
2. მნიშვნელოვანია მოტივაციისა და იმ ცვლადი სიდიდეების გააზრება, რომელთა მანიპულირებით შესაძლებელია მოსწავლეთა მოტივაციის დონის ამაღლება;
3. მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს, რამდენად მნიშვნელოვანია, ჰქონდეს მაღალი მოლოდინი მოსწავლეთა ქცევის ნორმებისა და აკადემიური მოსწრების მიმართ;
4. მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბება;
5. მასწავლებელმა წარმატების მისაღწევად უნდა გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგიები;
6. მასწავლებელმა უნდა მოარგოს მართვის გეგმის სტრუქტურა მოსწავლეთა საჭიროებებს.

ქცევის მოდიფიკაციისა და ამ პროცესში მასწავლებლის როლის ძირითადი პრინციპების გაგება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მართოს მოსწავლეთა ქცევა, საჭიროა საფუძვლიანად იცოდეს, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეთა ქცევაზე ზეგავლენის მოხდენა. ეს ცოდნა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა მათ აუმაღლდეთ პასუხისმგებლობის განცდა.

ქცევა შეძენილია. ჩვენ გამუდმებით დაკავებული ვართ სწავლით, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს მომავალ ქცევაზე.

მაგალითად, თუ მოსწავლე ნახავს ფილმს, რომელიც მეგობარმა ურჩია და აღმოაჩენს, რომ ეს დროისა და ფულის ფუჭი კარგვა იყო, მომავალში ამ მეგობრის რჩევებს ფილმების შესახებ ნაკლებად ენდობა. ასეთი სცენარი ხშირად ვითარდება უამრავი კომბინაციის სახით, რომლებიც ცოდნისა და გამოცდილების მდიდარ მარაგს ქმნიან. მარტივად რომ ვთქვათ, საქციელზე ზემოქმედებას ახდენს გამოცდილება, რომელიც ამა თუ იმ მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არის მიღებული. ზოგიერთი მოვლენა გვაქეზებს ამა თუ იმ ქცევისაკენ, ზოგი კი, პირიქით, გარკვეული ქცევისაგან თავშეკავებას იწვევს.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალისტები გვთავაზობენ ქცევის ანალიზზე დაფუძნებულ მეცნიერულ მოდელს, როგორც ქცევის თეორიის მარტივ მაგალითს.

ამ მოდელის მიხედვით, ცვალებადი ქცევისას ყურადღების ცენტრში უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

1. რა იწვევს ამა თუ იმ ქცევას?
2. რა უწყობს ხელს ამ ქცევის განხორციელებას?
3. რა არის ამ ქცევის მომავალში გამოვლენის ხელისშემშელელი ფაქტორი?

ნებისმიერ ქცევას, რომელიც მეორდება, ამ ქცევის ჩამდენი ადამიანისათვის რაღაც ფუნქცია აკისრია. როდესაც მასწავლებელი ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეებს, აუცილებლად უნდა ახსოვდეს, რომ განმეორებად ქცევას ყოველთვის აქვს რაღაც ფუნქცია. მოსწავლემ, რომელიც ყოველთვის პასუხისმგებლობით იქცევა, „ისწავლა“, რომ ამას მოაქვს: მშობლების მიერ აღიარება, კარგი ნიშნები, მასწავლებელთა ყურადღება, წარმატებისა და სიამაყის შეგრძნება, ახალი შესაძლებლობები და ა.შ. ანუ მისი ეს ქცევა სპეციფიკურ ფუნქციას ემსახურება. ეს დებულება ერთნაირად ეხება როგორც უარყოფით ან მავნე, ასევე დადებით და პროდუქტიულ ქცევებს, რაც საბოლოოდ იმის ახსნაში გვეხმარება, თუ რატომ იქცევა ესა თუ ის მოსწავლე ცუდად, როდესაც მისი ქცევა ესოდენ უსიამოვნო შედეგებს იწვევს.

მნიშვნელოვანია მოტივაცია და ის ცვლადები, რომელთა მანიპულაციით შესაძლებელია მოტივაციის გაზრდა.

„მოტივაცია“ შეიძლება იყოს განსაზღვრული, როგორც „წამახალისებელი მიზეზის უზრუნველყოფა, მოქმედებაზე გადასვლა, წინსვლა“. მოტივაციის გააზრება ხელს უწყობს მასწავლებლის მცდელობას, მოსწავლეებთან ერთად ეფექტიანი მოტივაციური მეთოდები განახორციელოს. განვიხილოთ ამ საკითხთან დაკავშირებული დებულებები:

პირველი დებულება: ქცევა, რომელიც მეორდება, არის მოტივირებული; ქცევა არ განმეორდება, თუ არ არსებობს მოტივაცია.

დებულება ყოველთვის სარწმუნოა, მიუხედავად იმისა, თუ რას იფიქრებს ან იტყვის ადამიანი საკუთარი ქცევის შესახებ. მაგალითად, სპორტსმენი მოსწავლე შეიძლება უკმაყოფილო იყოს სპორტის გაკვეთილებით და განუწყვეტლივ წუწუნებდეს, შესაძლოა ისიც თქვას, რომ არ არის მოტივირებული, იაროს სპორტზე, მაგრამ თუ იგი რეგულარულად დადის, ეს აჩვენებს, რომ ფაქტობრივად მას საამისოდ გარკვეული მოტივაცია აქვს. ანალოგიურად, გოგონამ შეიძლება თქვას, რომ მისი ჰობია ხატვა და მოტივირებულია ხატოს, მაგრამ თუ იგი არასოდეს გამოიყენებს თავის ფუნჯებს, ე.ი. შესაბამისი მოტივაციაც არ გააჩნია. ეს არ გულისხმობს იმას, რომ სპორტსმენი მოსწავლე არასოდეს დაკარგავს სპორტზე სიარულის მოტივაციას, ან გოგონას აღარასოდეს ექნება ხატვის მოტივაცია, თუმცა მათი ამჟამინდელი მდგომარეობა სხვა ვითარებაზე მეტყველებს.

ამ დებულების მიხედვით, მასწავლებლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მოსწავლე, რომელიც განმეორებით იქცევა ცუდად, ამ პერიოდში ცუდი საქციელისთვის უფრო მეტად არის მოტივირებული, ვიდრე კარგისთვის. მოსწავლე, რომელიც არაფერს აკეთებს, უსაქმურობისთვის მეტად მოტივირებულია, ვიდრე სწავლისთვის. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებლებმა საჭიროა გაზარდონ ამ მოსწავლეების მოტივაცია.

მეორე მნიშვნელოვანი დებულება: მოსწავლე მოტივირებულია გამოავლინოს ქცევა, რომელიც კომპლექსური, შიდა და გარე ფაქტორებით არის განპირობებული.

მოსწავლე შინაგანად მოტივირებულია, როდესაც ქცევის სასიამოვნო შედეგები ამ ქცევის ბუნებრივ გამოვლენასთან არის დაკავშირებული. ამგვარად, თუ ის შინაგანად მოტივირებულია, რომ წაიკითხოს, კითხულობს, იმიტომ რომ მოსწონს, თუ რაიმე ახალს გაიგებს, კარგი მოთხრობა სიამოვნებას ანიჭებს და წიგნის კითხვის დროს ისვენებს. გარე მოტივაცია ვლინდება, როდესაც ადამიანი ისეთი სასიამოვნო შედეგის მისაღებად მოქმედებს, რომელიც ქცევის ბუნებრივ გამოვლენასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. მაგალითად, პატარა ბავშვები

„მოსწავლეთა ქცევისა და დისციპლინის საკითხების გაანალიზების შემდეგ პრაქტიკოსმა მასწავლებელმა მართვის გეგმის სტრუქტურა უნდა მიუსადაგოს მოსწავლეების საჭიროებებს. კლასის მართვის გეგმის სტრუქტურირების დონე განისაზღვრება იმით, რამდენად ბევრი საქმის გაკეთება მოუწევს მასწავლებელს საკლასო აქტივობების დროს მოსწავლეების წარმატების მისაღწევად.“

იმისათვის, რომ ყველა მოსწავლე აკადემიური მოსწრების მხრივ წარმატებული იყოს, საჭიროა, მასწავლებელს ჰქონდეს მაღალი და დადებითი მოლოდინი. კვლევების შედეგები აჩვენებს იმას, რასაც საღი აზრი გვკარნახობს: დაბალი მოლოდინი განაპირობებს მოსწრების დაბალ დონეს.

„მამას“ და „დედას“ სხვა სიტყვებზე უფრო ხშირად წარმოთქვამენ. ეს იმ სასურველი რეაქციების გამო ხდება, რომლებსაც ისინი მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანებს აღუძრავენ. მოსწავლე ესწრება გაკვეთილებს და განაგრძობს იმ დავალებების შესრულებას, რომლებიც არ მოსწონს, თუმცა სჭირდება მაღალი ნიშნები და კარგი მუშაობის შედეგად წინ მიიწევს საკუთარი მიზნის მისაღწევად.

ქცევათა უმრავლესობისთვის მოტივაცია, ჩვეულებრივ, შერეული ტიპისაა, ე.ი. როგორც შინაგანი, ასევე გარე ფაქტორებით არის განპირობებული.

მესამე მნიშვნელოვანი დებულება გულისხმობს ადამიანის შინაგანი მოტივაციისა და პროფესიონალიზმის ურთიერთკავშირის ჩართვას კონკრეტულ საქმეში.

მოსწავლე, რომელიც სწავლაში წარმატებულია, უფრო ადვილად მიიღებს რთული კურსის შესწავლის გამოწვევას, ვიდრე მოსწავლე, რომელმაც წარსულში აკადემიური წარუმატებლობა განიცადა. ამ დებულების ძირითადი აზრი ის არის, რომ რაიმე ახლის შესწავლის საწყის ეტაპზე, ან როდესაც შესასწავლი საგანი რთულია, ზოგიერთი მოსწავლე სწავლისათვის აუცილებელი ქცევების მიმართ შინაგანად არ არის მოტივირებული. ამ კონცეფციის შემდგომ დეტალს წარმოადგენს „მოლოდინისა და ღირებულების მოტივაციის თეორია“. ეს თეორია პირველად ფიზერმა გამოიყენა (1982) და ადამიანის მოტივაცია წარმოაჩინა ამ ფორმულის სახით:

მოლოდინი X ღირებულება = მოტივაცია

ამ ფორმულაში მოლოდინი განსაზღვრულია, როგორც „მოლოდინის ხარისხი, რომელიც ადამიანს წარმატებული საქმის შემთხვევაში აქვს“, ხოლო ღირებულება არის „ღირებულების ხარისხი, რომლის მიხედვითაც ადამიანი წარმატების თანმდევ ჯილდოს ზომავს“. ამ თეორიის სიძლიერე მდგომარეობს იმის გაცნობიერებაში, რომ მოტივაციის დონე ნებისმიერ საქმეში არის ფუნქცია, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად სურს პიროვნებას/მოსწავლეს, მიიღოს წარმატების თანამდევი ჯილდო და რამდენად აქვს მას ამ საქმის წარმატების მოლოდინი.

ამ ფორმულის მიხედვით, მთავარი ასპექტი ისაა, რომ მოლოდინისა და ღირებულების განმსაზღვრელია მოსწავლის რწმენა და არა მასწავლებლის რწმენა.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის მიმართ მაღალი მოლოდინის მნიშვნელობის გააზრება.

იმისათვის, რომ ყველა მოსწავლე აკადემიური მოსწრების მხრივ წარმატებული იყოს, საჭიროა, მასწავლებელს ჰქონდეს მაღალი და დადებითი მოლოდინი. კვლევების შედეგები აჩვენებს იმას, რასაც საღი აზრი გვკარნახობს: დაბალი მოლოდინი განაპირობებს მოსწრების დაბალ დონეს. მოსწავლეებზე განუზომელ გავლენას ახდენს დამოკიდებულება მათი მოსწრებისა და ყოფაქცევის მიმართ. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გამოხატოს მაღალი მოლოდინი ყველა მოსწავლის მიმართ როგორც აკადემიური, ისე ყოფაქცევის კუთხით. ეს მოსწავლეთა პრობლემებისა და სიძნელეების უგულებელყოფას არ გულისხმობს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც უნდა შენარჩუნდეს მაღალი, თუმცა რეალისტური მოლოდინი მოსწავლეთა მიმართ.

ყოველთვის აქტუალური იყო და არის მოსწავლეებთან პირადი ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობის გააზრება.

მრავალ ადამიანს მუდამ ახსოვს უსაყვარლესი მასწავლებლის სახელი. ძნელია, თითოეული მოსწავლისათვის უსაყვარლესი მასწავლებელი იყო. თუმცა, თუ მოსწავლეებთან პირადი ურთიერთობის დამყარებას შეეცდება მასწავლებელი, ის დადებით გავლენას მოახდენს მათ ცხოვრებაზე.

მოსწავლეთა წარმატებისათვის მეტად მნიშვნელოვანია

როგორც დადებითი განწყობა, ასევე პირადი ურთიერთობა. თუკი ბავშვები იგრძნობენ, რომ მასწავლებელს სინამდვილეში არ აღელვებს, როგორი მოსწრება ექნებათ, შეიძლება არც გადადგან ნაბიჯები წარმატების მისაღწევად. თუკი იგრძნობენ, რომ მასწავლებელი დაინტერესებულია მათი წარმატებით, მაგრამ სათანადოდ არ ზრუნავს მასზე, შეიძლება არ გაუჩნდეთ წარმატების მიღწევის სურვილი. დადებითი განწყობა და პირადი ურთიერთობა წარმოადგენს კლასის მართვის ორ ფუნდამენტურ ნაწილს. რომელიმე მათგანის არარსებობის შემთხვევაში მთლიანი სტრუქტურა სრულყოფილი არ იქნება.

მასწავლებლის მხრივ აუცილებელია წარმატების მიღწევის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება.

საჭიროა, რომ მასწავლებლებმა მოსწავლეები დამოკიდებულების, ხასიათის თავისებურებებისა და ქცევების შესახებ სპეციფიკური ინფორმაციით უზრუნველყონ, რაც დაეხმარება მათ, წარმატებას მიაღწიონ სკოლასა და ცხოვრებაში. სამწუხაროდ, არსებობენ მოსწავლეები, რომელთაც სჯერათ, რომ სკოლაში წარმატება შეუძლებელია მათთვის, ვინც განსაკუთრებული ოჯახიდან არ არის. არსებობენ ისეთებიც, ვისაც ჰგონია, რომ სკოლაში წარმატება დამატებით ფაქტორებზეა დამოკიდებული. მასწავლებლის პასუხისმგებლობის ნაწილია, გააგებინოს მოსწავლეებს, რომ ყველას ერთნაირად შეუძლია წარმატების მიღწევა. მისცეს მათ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამის მოხერხება.

წარმატების მიღწევის სახელმძღვანელო რეკომენდაციებში უნდა აირეკლებოდეს მაღალი და კეთილშობილური იდეალები.

მათ უნდა წარმოაჩინონ მასწავლებლის იმედი, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ შესასწავლი მასალის შინაარსს, არამედ იმ დამოკიდებულებას ან მოქმედებებსაც ისწავლიან, რომლებიც მათ დაეხმარება, წარმატებას მიაღწიონ კლასში ან სხვა კლასებში, სადაც მომავალში მოხვდებიან და, ზოგადად, ცხოვრებაში.

მიუხედავად სტრუქტურის დონისა, წარმატების მიღწევის სახელმძღვანელო რეკომენდაციები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლოა ამან მოსწავლეებს დიდი სარგებლობა მოუტანოს. ეს განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როცა კლასში ან სკოლაში ბევრი პრობლემური მოსწავლე სწავლობს. პრობლემურ მოსწავლეებს ხშირად აკლიათ ცოდნა ან მოტივაცია, რათა ხასიათის ის თვისებები გამოამჟღავნონ, რომლებიც აღმზრდელებს უნდათ, სჭირდებათ ან მოელიან.

მასწავლებელმა შეიძლება ასეთი წარმატების მიღწევის სახელმძღვანელო შეიმუშაოს:

1. გქონდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა;
2. ყოველთვის სცადეთ;
3. გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ;
4. ითანამშრომლეთ სხვებთან;



5. ყველას პატივისცემით მოეპყარით (საკუთარი თავის ჩათვლით).

წარმატების მიღწევის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავება მხოლოდ პირველი ეტაპია. მასწავლებელმა უნდა გადააქციოს ისინი კლასის ცხოვრების მუდმივ შემადგენელ ნაწილად.

მოსწავლეთა ქცევისა და დისციპლინის საკითხების გაანალიზების შემდეგ პრაქტიკოსმა მასწავლებელმა მართვის გეგმის სტრუქტურა უნდა მიუსადაგოს მოსწავლეების საჭიროებებს. კლასის მართვის გეგმის სტრუქტურირების დონე განისაზღვრება იმით, რამდენად ბევრი საქმის გაკეთება მოუწევს მასწავლებელს საკლასო აქტივობების დროს მოსწავლეების წარმატების მისაღწევად.

თამარ მოსიაშვილი

ცნობისმოყვარეობიდან ცოდნისმოყვარეობამდე

მე არ მაქვს რაღაც გასაოცარი ტალანტი. უბრალოდ, ცნობისმოყვარე ვარ.

აინშტაინი

1. შესავალი

სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება ზრდის მასწავლებლის ინტერესს და, რაც მთავარია, მოსწავლისთვის სასწავლო პროცესი სახალისო ხდება. მასწავლებელსაც და მოსწავლესაც ამ მრავალფეროვნების დახმარებით შეუძლიათ ეფექტურად გაართვან თავი რუტინას.

სწავლების მრავალფეროვნების შესახებ დისკუსიები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს. გლობალური საგანმანათლებლო საზოგადოება ცდილობს იპოვოს გადაჭრის გზები და დასახოს განვითარების სტრატეგიები. სიახლეების ძიება და სასწავლო მეთოდების მრავალფეროვნება განიხილება როგორც წარმატების საფუძველი. მოსწავლეთა უკეთესი შედეგების მიღწევა დაფუძნებულია რწმენაზე, რომ:

- მოტივირებული და დაინტერესებული მოსწავლე უკეთ სწავლობს;
- მოტივირებული მოსწავლე იძენს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ შეუძლია მისი გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში;
- მოსწავლეთა დაინტერესება შესაძლებელია მაშინაც კი, როდესაც შეზღუდულია რესურსები.

ამ სტატიაში განვიხილავთ ცნობისმოყვარეობის როლს სასწავლო პროცესში, კერძოდ, როგორაა შესაძლებელი ცნობისმოყვარეობის საფუძველზე მოსწავლეთა მოტივაციისა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის გაზრდა.

2. რა არის ცნობისმოყვარეობა?

სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართვა და მათი მოტივაციის ზრდა შეუძლებელია, თუ მათ ცნობისმოყვარეობას უგულებელვყოფთ. ცნობისმოყვარეობა რეალობის კვლევის ინსტრუმენტია. ის გვაიძულებს დავაკვირდეთ გარემომცველი სამყაროს მრავალ ასპექტს, ჩვენს შინაგან სამყაროს, გავიაზროთ მათი უნიკალურობა. ცნობისმოყვარეობის გამო დასმული კითხვებით იწყება მეცნიერული აზროვნება. ბავშვები ხშირად სვამენ კითხვებს: რატომ? საინტერესოა, რატომ ხდება ასე? როდესაც აბაზანაში ვწვები, რატომ იწევს წყლის დონე? რამდენი ჭიაყელა ცხოვრობს ჩვენს ბაღში? ცა რატომაა ლურჯი? ცნობისმოყვარეობა აძლიერებს აზროვნებას. ალბერტ აინშტაინი თვლიდა, რომ მეცნიერული აღმოჩენის პროცესი ცნობისმოყვარეობასთან ხანგრძლივი ბრძოლის შედეგია.

სასწავლო პროცესში ცნობისმოყვარეობის როლზე მოსაზრებები გამოთქვეს მასწავლებლებმა, როდესაც მათთან განვიხილავდით წარმოსახვითი განათლების საკითხებს (2013 წელი, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ციკლი). მათ უპასუხეს კითხვებს: რა არის ცნობისმოყვარეობა? რა როლი აკისრია მას ბავშვის ცხოვრებაში? გთავაზობთ მოსაზრებებს, რომლებიც კარგად ასახავს ცნობისმოყვარეობის არსს და ცდილობს დაგვანახვოს მისი მნიშვნელობა საგაკვეთილო პროცესში.

ცნობისმოყვარეობა არის მდგომარეობა, როდესაც მოსწავლეს უჩნდება სურვილი, შეისწავლოს ახალი მასალა. ამ მიზნით მასწავლებელი ქმნის გაკვეთილის დრამატურგიას, რომელსაც გარკვეულწილად იდუმალი იერი და შინაარსი აქვს. ცნობისმოყვარეობით ანთებული მოსწავლე მიჰყვება მასწავლებელს და თავად ხდება საგაკვეთილო პროცესის აქტიური მონაწილე. თუ მათემატიკაში მასწავლებელი ბავშვებს ციფრებს უხსნის, მან უნდა შეძლოს გააცოცხლოს მოვლენები და ფაქტები, მიანიჭოს გადატანითი მნიშვნელობა.

ცნობისმოყვარე ბავშვს ყველაფერი აინტერესებს, სვამს კითხვას: რატომ? მას სურს, მისთვის უცნობი მოვლენა, ამბავი დაშალოს, რათა იპოვოს პასუხი, პასუხის ძიების პროცესში კი თავად ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროდუქტის შემქმნელი. ამ დროს მოსწავლის დასმულ კითხვას მასწავლებელი ბოლომდე არ პასუხობს და ცდილობს, მოსწავლემ თავად აღმოაჩინოს პასუხი ან ახალი მოსაზრება შემოგვთავაზოს. თუ ბავშვი ანთებულია ამ გრძნობით, მას აქვს ჯადოსნობისა და სასწაულის შეგრძნება. ბავშვისთვის ჯადოსნობისა და სასწაულის შეგრძნება სრულიად ბუნებრივია, რადგან ის იზრდება ზღაპრებით, მათ შორის – ჯადოსნური ზღაპრებითაც. ჯადოსნური ზღაპარი კი ისეთი ზღაპარია, სადაც ყველაფერია შესაძლებელი, როდესაც ზებუნებრივი ადამიანის ხელშია და მას ეხმარება წარმატების მიღწევასა და ბოროტის დამარცხებაში. ცნობისმოყვარეობა გარკვეულწილად ოცნების სამყაროს უკავშირდება, სადაც ლოგიკური აზროვნების უნარი შერწყმულია ოცნების უკიდეგანო სამყაროსთან. ცნობისმოყვარეობას აღძრავს ქართული ზღაპრების დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“, ხოლო ზღაპრების დასასრული პოზიტიური და ოპტიმისტურია: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“. რაც ამ ორ ფრაზას შორის ხდება, ბავშვის ცნობისმოყვარეობის გაღვიძების არაჩვეულებრივ შესაძლებლობას წარმოადგენს.

ბუნებისმეტყველებაში მრავლადაა ფაქტები, როდესაც ცნობისმოყვარეობა ბავშვს საშუალებას აძლევს, დაინახოს მოვლენა სხვა კუთხით. ხშირად მოვლენის მიზეზი ნათლად არ ჩანს. ამ დროს ანალიზი უფრო საინტერესო ხდება, მოსწავლეს უჩნდება კითხვები: რა ხდება სინამდვილეში? რატომ ხდება? რა შედეგს მივიღებთ? ამგვარად წარმართული საგაკვეთილო პროცესი ბავშვისთვის უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება.

სასწავლო პროცესში ცნობისმოყვარეობის გამოყენების მიზნით საინტერესო კონცეფციას გვთავაზობს წარმოსახვითი განათლების ავტორი, საიმონ ფრაიზერის უნივერსიტეტის პროფესორი კირან იგანი (Kieran Egan). მისი მიდგომის საფუძველს ლევ ვიგოტსკის სოციალურ-კულტურული თეორია წარმოადგენს. იგანმა შეაჯამა ვიგოტსკის იდეები სწავლისა და წარმოსახვის შესახებ. წარმოსახვის საფუძვლად იგანი ცნობისმოყვარეობას მიიჩნევს.

რა არის წარმოსახვა? იგანი თვლის, რომ წარმოსახვა შესაძლებელზე და არარსებულზე ფიქრის უნარია. სწორედ ეს უნარი ამდიდრებს რაციონალურ აზროვნებას. ამ გზით იქმნება ახალი სახეები და ემოციები, ადამიანი ისრუტავს ახალ იდეებს, აფასებს მათ, მიუჩენს შესაბამის ადგილს ნასწავლ საკითხებს შორის და ფიქრობს: აი, ეს რაში გამომადგება?

მოსწავლის ცნობისმოყვარეობა განათლების მიზნის მიღწევას აიოლებს. იგანი გამოყოფს განათლების სამ ძირითად მიზანს, რომლის მიღწევაც თანამედროვე სკოლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. სკოლა მოსწავლეს უნდა დაეხმაროს: სოციალიზაციაში, კონკრეტული საგნის სწავლასა და საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებაში/ინდივიდუალურ განვითარებაში.

არ შეიძლება სკოლაში მხოლოდ ერთი მიზნის სტიმულირება დანარჩენი ორის ხარჯზე. შეხედულებები და ღირებულებები მოსწავლეს ვერ ჩამოუყალიბდება, თუ მას არ შეუძლია იდეებისა და მოსაზრებების სკეპტიკურად განხილვა, თუ მოსწავლის ცოდნა მხოლოდ თეორიებისა და იდეების კრებულია და მისი გამოყენება საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუძლებელია. ინდივიდუალური განვითარება კი სწავლა-სწავლების პროცესის საფუძველი უნდა იყოს.

თუ მასწავლებელი ამ სამი მიზნის საფუძველზე მოახერხებს გაკვეთილის მიზნის ფორმულირებას, ამით ხელს შეუწყობს მოსწავლეების სოციალიზაციას და მათ ინდივიდუალურ განვითარებას, გაუმჯობესდება მოსწავლეების აკადემიური მიღწევები. სწორედ ეს წარმოადგენს მასწავლებლის სოციალურ ფუნქციას ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში.

იგანი წერს: „მასწავლებლებს შეუძლიათ მიიპყრონ მოსწავლეების ყურადღება, გააღვიძონ მათი წარმოსახვა და ემოცია, რათა მათ გაიღრმაონ სამყაროს შესახებ ცოდნა“ (იგანი, 2012).

„სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება ზრდის მასწავლებლის ინტერესს და, რაც მთავარია, მოსწავლისთვის სასწავლო პროცესი სახალისო ხდება. მასწავლებელსაც და მოსწავლესაც ამ მრავალფეროვნების დახმარებით შეუძლიათ ეფექტურად გაართვან თავი რუტინას.“

> **სწავლების მრავალფეროვნების შესახებ დისკუსიები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს. გლობალური საგანმანათლებლო საზოგადოება ცდილობს იპოვოს გადაჭრის გზები და დასახოს განვითარების სტრატეგიები. სიახლეების ძიება და სასწავლო მეთოდების მრავალფეროვნება განიხილება როგორც წარმატების საფუძველი.**

3. როგორ გავუღვივოთ მოსწავლეს ცნობისმოყვარეობა?

გთავაზობთ მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვივების ორ ინსტრუმენტს: **ამბავი** და **ბინარული დაპირისპირებები**.

ამბავი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შემეცნებითი ინსტრუმენტია. სხვადასხვა საკითხზე შეთხზული ან მოძიებული ამბები მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს, ისინი ახდენენ შესასწავლი საკითხის გადამუშავებას, გააზრებას წარმოსახვის გამოყენებით.

ბინარული დაპირისპირებები ცოდნის მოწესრიგებისა და კატეგორიებად დაყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი ინსტრუმენტებია. ამგვარ დაპირისპირებას თითქმის ყველა ამბავში ვხვდებით. ყველაზე ძლიერი დაპირისპირებებია: კარგი/ცუდი, უსაფრთხოება/შიში, შეჯიბრი/თანამშრომლობა. ამგვარი დაპირისპირების ფონზე წარმართული სწავლების პროცესი ემოციურია და ზრდის მოსწავლის ჩართულობას.

ეს ინსტრუმენტები მოსწავლეებს შესასწავლი საკითხის მრავალ განზომილებას დაანახვებს. ისინი შეძლებენ განივითარონ საყოველთაოდ აღიარებული და მკაცრი წესების სკეპტიკური განსჯის უნარი, რიგ შემთხვევებში – მათთან ბრძოლის უნარიც.

სასწავლო აქტივობები და საკლასო გარემო მოსწავლეებს უნდა უღვიძებდეს და უვითარებდეს შემოქმედებითობას, ცნობისმოყვარეობას, წარმოსახვას. მხოლოდ ასე შეძლებს მასწავლებელი, მოსწავლე „აიძულოს“, რომ წაიკითხოს, შექმნას, დაწეროს, იმსჯელოს, განიხილოს. ასე გარდაიქმნება ცნობისმოყვარეობა სწავლის წყურვილად. ამ დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესი, ხოლო მასწავლებელი, რომელიც სოციალური ფუნქციის მატარებელია, მოახერხებს როგორც სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების მიღწევას, ასევე ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი, მთელი ცხოვრების განმავლობაში საჭირო უნარების განვითარებასაც. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ის, რასაც უზნაძე უწოდებს ინტელექტუალური მოთხოვნილების (ცნობისმოყვარეობა) სწავლის წყურვილში გადაზრდას.

4. ამბავი და ბინარული დაპირისპირებები როგორც სამეცნიერო ცოდნის მიღების საშუალება

გთავაზობთ მაგალითს, როგორ შეიძლება მოსწავლეების წარმოსახვისა და ცნობისმოყვარეობის გააქტიურება სასწავლო პროცესში ამბების შეტანითა და ბინარულ დაპირისპირებებზე მოსწავლეთა დაფიქრებით.

მოსწავლეთა წარმოსახვის გააქტიურებისა და საგაკვეთილო პროცესში მათი ემოციური ჩართულობის გაზრდის მიზნით, დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- რა ამბავს შეიტყობენ მოსწავლეები?
- გაკვეთილის მიზნის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან;
- რითია მნიშვნელოვანი ეს გაკვეთილი? როგორ მოვახერხოთ მოსწავლეების ემოციური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში? როგორ გავზარდოთ მათი ცნობისმოყვარეობა?
- ბინარული დაპირისპირებები – რა წინააღმდეგობას შეიცავს შესასწავლი თემა? რა ალტერნატივები არსებობს ამ წინააღმდეგობის დასაძლევად? რა მხატვრული სახეებით შეიძლება ამ წინააღმდეგობის, დაპირისპირების გამოსახვა?

ბუნებისმეტყველება

ბუნებისმეტყველების სწავლებისას, მეოთხე კლასში, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია საარსებო გარემოსთან ორგანიზმის შეგუების თავისებურებების, სტრუქტურული და ქცევითი შეგუების სახეებისა და ორგანიზმთა ნიშან-თვისებების ადაპტაციური მნიშვნელობის შესწავლა (ესგ. ბუნ IV.2).

ბუნებისმეტყველების ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლისას ფრინველი დოდოს დრამატული ამბავი მასწავლებლებს მოსწავლეების ცნობისმოყვარეობის გაღვივებაში დაეხმარება.

ამბავი, რომელსაც მოსწავლეები შეიტყობენ

ფრინველი დოდო

ინდოეთის ოკეანეში, კუნძულ მავრიკიზე, ბინადრობდა ფრინველი დოდო. ის საკმაოდ დიდი ზომის ფრინველი იყო და 25 კილოგრამს იწონიდა. იგი მიწაზე ჩამოცვენილი ერთ-ერთი მცენარის თესლით იკვებებოდა. ამ კუნძულზე მტაცებლები არ ბინადრობდნენ. დოდო იმდენად უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, რომ ბუდეს პირდაპირ მიწაზე იკეთებდა, დებდა კვერცხებს, ჩეკავდა და ზრდიდა წიწილებს. დროთა განმავლობაში მან ფრენის უნარი დაკარგა.

ოთხი საუკუნის წინ კუნძული მავრიკი დიდი გემების პორტად გადაიქცა. მეზღვაურებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ფრინველი, რომელმაც ფრენა არ იცოდა. დოდო მეზღვაურებისთვის საკვების ახალ წყაროდ იქცა. შემდეგ ადამიანებმა კუნძულზე ღორები და მაიმუნები შეიყვანეს. ცხოველებმა დაიწყეს დოდოსა და მისი წიწილების განადგურება.

მეზღვაურების გამოჩენიდან ასი წლის შემდეგ დოდო კუნძულზე დიდი იშვიათობა გახდა. 1681 წელს კუნძულზე ამ სახეობის უკანასკნელი ფრინველი მოკლეს.

გაკვეთილზე შეტანისას აუცილებელია, ამბავში აღმოვაჩინოთ ყველაზე დრამატული მონაკვეთი. ამ ამბავში ყველაზე დრამატული ფრინველ დოდოს გადაშენებაა. მისმა გადაშენებამ სრულიად შეცვალა კუნძულ მავრიკიზე ეკოლოგიური წონასწორობა (დოდოს გადაშენებამ გაქრობის საფრთხის წინაშე დააყენა ის მცენარე, რომლის ნაყოფითაც ის იკვებებოდა. ამ მცენარეს მეცნიერებმა „დოდოს ხე“ უწოდეს). ამ პრობლემის მთავარი მიზეზი ადამიანების გულგრილობა იყო, საკვების მოპოვების მიზნით მათ უმოწყალოდ დახოცეს ფრინველები. ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს კაცობრიობა ამ ტიპის საშიშროების წინაშე. ერთია, მოსწავლემ გაიაზროს ეკოლოგიური წონასწორობა უსაფრთხოების მიზნით და მეორეა, ემოციურად განიცადოს ეკოლოგიური წონასწორობის მწვავე შედეგები და გამოიმუშაოს სწორი დამოკიდებულება.

ასევე მნიშვნელოვანია ტექსტში ბინარული დაპირისპირებების აღმოჩენა. დოდოს შემთხვევაში **ბინარული დაპირისპირებებია: საკვების მოპოვებისთვის ბრძოლა** (საკვების მოპოვების მიზნით მეზღვაურები უმოწყალოდ ხოცავენ ფრინველ დოდოს) და **მშვიდობიანი თანაცხოვრება** ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით.

მასწავლებელი აკვირდება, რამდენად დაინტერესა შეთავაზებულმა „დრამამ“ მოსწავლეები, გადაიზარდა თუ არა მათი ცნობისმოყვარეობა ცოდნის წყურვილში. მათ მიერ შექმნილი „პროდუქტები“ ასახავს მეცნიერულ ვარაუდებსა და მათ ემოციურ დამოკიდებულებებს.

მოსწავლეთა სწავლის პროცესზე დაკვირვებისთვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

ა) **მასწავლებელი** სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ის მიზეზები, რომელთა შედეგადაც დოდო გადაშენდა და შეავსონ ცხრილი.
მოსწავლეები ავსებენ ცხრილს.

მიზეზი:	შედეგი:
....	ფრინველი დოდო გადაშენდა.

ბ) **მასწავლებელი** მოსწავლეებს უსვამს კითხვებს:
1. რომელი ცოცხალი ორგანიზმის გადაშენებამ შეაჩერა „დოდოს ხის“ გამრავლების პროცესი?
2. რა ემართებოდა მცენარის თესლს ფრინველის საჭმლის მომნელებელ სისტემაში?
3. რატომ უწოდეს მეცნიერებმა ამ მცენარეს „დოდოს ხე“?

გ) **მასწავლებელი** ქმნის მოსწავლეთა ჯგუფებს, ურიგებს მათ ფორმატის ფურცლებს, მარკერებს და სთხოვს შეასრულონ დავალება.

სამუშაო ჯგუფებში – გადავარჩინოთ დოდო

შენ უკვე იცი, როგორ გადაშენდა ფრინველი დოდო. ისიც იცი, რომ ამ ფრინველის გადაშენებით საფრთხე ერთ-ერთი მცენარის გამრავლებასაც შეექმნა. რომ არა მეცნიერთა კვლევები, ეს მცენარეც გადაშენდებოდა. წარმოიდგინე, რომ კუნძულ მავრიკიზე ცხოვრობ. ფრინველი დოდო გადაშენების საფრთხის წინაშეა. მასწავლებელმა დაგავალა, შექმნა გეგმა ფრინველი დოდოს გადასარჩენად.

დ) **დაასრულე წინადადება:**
დოდო არ გადაშენდებოდა, რომ

გაკვეთილზე მოსწავლის ცნობისმოყვარეობა მასწავლებლის ყველაზე ძლიერი მეკავშირეა. მისი იგნორირება იწვევს მოსწავლის გაუცხოებას და ის თავის ფიქრებს, ოცნებებს, აზრებს, წარმოსახვას ვერ უკავშირებს შესასწავლ საკითხს. ცნობისმოყვარეობის გაღვივების ორი ინსტრუმენტი (სხვა ინსტრუმენტებთან ერთად) – ამბავი და ბინარული დაპირისპირებები – წარმოადგენს მოსწავლეების მნიშვნელოვან მოტივატორს. ამ მიდგომის დანერგვამდე მასწავლებლებმა საკუთარ თავს უნდა დაუსვან კითხვები: რა ბარიერებს ხვდება მოსწავლე სასწავლო პროცესში, როდესაც ვერ ხერხდება მისი ცნობისმოყვარეობის რეალიზება? საერთოდ, რა არის სწავლა-სწავლების პროცესი – ინფორმაციის გადაცემა, კოგნიტური უნარების განვითარება თუ აღზრდის პროცესში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება? ეს არის კითხვები, რომელთა პასუხებიც ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც სკოლების საჭიროებები, მოსწავლის შინაგანი სამყარო და პიროვნული გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მანანა ბოჭორიშვილი, ნანა გაბისონია. ბუნება. საქართველოს მაცნე. (2009): (25-26)
2. ჩიქსენტმიჰაი, გელდერი, ბუსტრომი. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, წარმოსახვითი განათლება. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. (2012): (199-211)
3. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016

თამთა კობახიძე

შიდასასკოლო შეფასების მექანიზმები

> შეფასება რთული პროცესია და ბევრი თავისებურებით ხასიათდება. წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობის კუთხით გააზრებული აქვს მისი მნიშვნელობა – შედეგით, შესაძლებელია, პროცესის გაუმჯობესება.

ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემა წარმოადგენს. ორგანიზაციულ მენეჯმენტში იგი წარმატებული შედეგის ერთ-ერთ გარანტად გვევლინება. შეფასება რთული პროცესია და ბევრი თავისებურებით ხასიათდება. წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობის კუთხით გააზრებული აქვს მისი მნიშვნელობა – შედეგით, შესაძლებელია, პროცესის გაუმჯობესება.

აფასებენ გარე და შიდა შემფასებლები. ორგანიზაციამ ობიექტური სურათის მისაღებად სასურველია ორივე ფორმას მიმართოს. გარე შემფასებლად, შესაძლებელია, მოვიაზროთ მაკონტროლებელი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები და ა.შ. მრავალ ქვეყანაში გარე შეფასება საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. შიდა შეფასებას დაწესებულება საკუთარი რესურსებით საკუთარი შეხედულებისამებრ გეგმავს. ჩვენი სტატიის თემას სწორედ ორგანიზაციის შიდა შეფასება წარმოადგენს. შევეცდები, შემოგთავაზოთ მარტივი და პრაქტიკული მეთოდები და მექანიზმები შეფასებისა და მონიტორინგისათვის.

შეფასება-მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და მის მუდმივ გაუმჯობესებას ემსახურება. აუცილებელია, სასკოლო საზოგადოების წევრებმა პასუხი გასცენ რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას, რომლებიც შესაძლოა სულაც არ მოგვეჩვენოს რთულად, თუმცა თითოეულ მათგანზე ამომწურავი პასუხის მისაღებად დიდი ძალისხმევაა საჭირო. თავდაპირველად უნდა ჩამოვყალიბდეთ იმაზე, თუ

1. რის შეფასება გვსურს?
2. ვინ უნდა შეაფასოს?
3. როგორ უნდა შეფასდეს (მეთოდები, ხერხები)?
4. რა სიხშირით უნდა შეფასდეს?

რის შეფასება გვსურს – პირველ ეტაპზე სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რა სფეროები უნდა შეფასდეს – სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, სასკოლო გარემოს, მასწავლებელთა და მშობელთა თანამშრომლობის ხარისხის და ა.შ.

ვინ უნდა შეაფასოს – ირჩევენ ადამიანებს, რომლებიც კონკრეტულ მიმართულებაზე იქნებიან პასუხისმგებელნი. მაგ: გაკვეთილს კათედრის ხელმძღვანელები აფასებენ, კათედრის მუშაობას – დირექტორის მოადგილე და მასწავლებლები და ა.შ.

როგორ უნდა შეფასდეს – აღნიშნული ეტაპი გულისხმობს მეთოდოლოგიის შერჩევას შეფასების მიზნის შესაბამისად. მაგ: სასკოლო გარემოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს გამოკითხვით, დაკვირვებით და ა.შ.

რა სიხშირით უნდა შეფასდეს – დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვაფასებთ. მაგ: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრესის დიაგნოსტიკური შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს წელიწადში ორჯერ, სემესტრების დასასრულს. ამით სკოლას საშუალება ექნება, მუდმივად ადევნოს თვალი პროგრესს.

სკოლის ადმინისტრაცია და შეფასების პროცესში ჩართული პირები თავად შეიმუშავებენ და აყალიბებენ, როგორი შეფასების სისტემის დანერგვა სურთ, იზიარებენ თუ არა წარმატებულ სკოლებში არსებულ პრაქტიკას. არ არსებობს მეთოდოლოგიის კონკრეტულად განსაზღვრული ჩამონათვალი, რომელიც აუცილებლად შეფასებას ან მონიტორინგის პროცესს ეკუთვნის.



მას შემდეგ, რაც ზემოხსენებულ პირველ და მეორე შეკითხვაზე სასკოლო საზოგადოება პასუხს გასცემს, იწყება მნიშვნელოვანი ეტაპი – მეთოდოლოგიის შერჩევა და პროცესის დაგეგმვა. შეფასებისა და მონიტორინგის სახელმძღვანელოს მიხედვით შეფასება პასუხობს კითხვას – ვახორციელებთ თუ არა ღონისძიებებს შესაფერისად. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას ინფორმაციის სანდოობა წარმოადგენს. ამავე სახელმძღვანელოს მიხედვით, შეფასების ეტაპები შემდეგნაირადაა გამიჯნული (შესაძლებელია, იგი ჩვენს სასკოლო სისტემასაც მოვარგოთ):

1. **წინარე შეფასება** ხორციელდება სისტემის შემუშავების/ფორმულირების ადრეულ სტადიაზე, სასწავლო წლის დასაწყისში, რაც გულისხმობს ფუნდამენტურ კვლევას სასტარტო პოზიციის შესაფასებლად.
2. **შუალედური შეფასება** – ტარდება პროცესის მიმდინარეობის დროს, სემესტრის დასასრულს, რათა შეფასდეს პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედოს მიზნის მისაღწევი გზები.
3. **რეტროსპექტული შეფასება** – ხორციელდება პროცესის დასრულების შემდეგ. მას შეიძლება წლის დამამთავრებელი შეფასებაც ეწოდოს. ამით სკოლის ადმინისტრაცია იღებს ინფორმაციას, როგორ განხორციელდა დაგეგმილი სამუშაოები; რა პროგრესი განიცადა ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციამ.
4. **კომპლექსური შეფასება** – ეს არის საბოლოო შეფასება სკოლისა და დამოუკიდებელი, გარე ექსპერტების მიერ. რამდენიმე წელიწადში ერთხელ (სკოლის მაგალითზე 3 ან 6), რითაც ორგანიზაცია აჯამებს საერთო შედეგებს.

შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი. რა განსხვავებაა ამ ორ ცნებას შორის? მონიტორინგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მუდმივად ინფორმაციის შეგროვებას და მის ანალიზს „თვალყურის სადევნებლად“ და იმის გასაკონტროლებლად, თუ „რა ხდება“. მონიტორი მეთვალყურეობს და აკონტროლებს პროცესს. შეფასება აზუსტებს, რამდენად სწორად განვახორციელეთ დაგეგმილი სამუშაო და პერი-

„შეფასება-მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და მის მუდმივ გაუმჯობესებას ემსახურება. აუცილებელია, სასკოლო საზოგადოების წევრებმა პასუხი გასცენ რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას, რომლებიც შესაძლოა სულაც არ მოგვეჩვენოს რთულად, თუმცა თითოეულ მათგანზე ამომწურავი პასუხის მისაღებად დიდი ძალისხმევაა საჭირო.“

ოდულად ამზადებს ნიადაგს „კი“ ან „არა“-ს ტიპის კითხვებისათვის. უშუალოდ შეფასების პროცესი ხელს უწყობს მონიტორინგს.

შეფასება შეიძლება იყოს ეპიზოდური, მაგალითად, სემესტრში ერთხელ, წელიწადში ერთხელ და ა.შ. მონიტორინგი კი თავისი არსით რეგულარულია. შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში სრულიად დასაშვებია გამოვიყენოთ მსგავსი მეთოდები: დაკვირვება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, ანკეტირება და ა.შ. ამ შემთხვევაში პროცესის ორგანიზატორი თავად ირჩევს მიზნის შესაბამის მეთოდებს. დღესდღეობით ფართომასშტაბიანი პროგრამებისა და პროექტების შესაფასებლად მონიტორინგის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სკოლაშიც:

1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა;
2. ინტერვიუ;
3. ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენება;
4. ექსპერტთა პანელი – ითვალისწინებს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნას შესაფასებლად. სამუშაო ჯგუფის წევრები არიან დამოუკიდებელი ექსპერტები; ისინი რამდენიმე შეხვედრისა და ფუნდამენტური განხილვის შემდეგ ერთობლივ პოზიციას აფიქსირებენ;
5. SWOT ანალიზის მეთოდი და ა.შ.

სკოლაში შეფასებისა და მონიტორინგის გამართული სისტემის აწყობა რთულ და ხანგრძლივ მუშაობასთან ერთად ფინანსურ და ადამიანურ რესურსებსაც მოითხოვს. პროცესის უკეთესად გასააზრებლად სტატიის მომდევნო ნაწილში შემოგთავაზებთ პრაქტიკულ მაგალითებს სხვადასხვა ტიპის სკოლისთვის.

ამჯერად შევეცდებით, პროცესის უკეთ წარმოსადგენად განვიხილოთ თითოეული ნაბიჯი ვირტუალური სკოლის მაგალითზე.

საწყის ეტაპზე ადმინისტრაცია მასწავლებლებთან (შესაძლებელია კათედრის ხელმძღვანელებთან) ერთად სასწავლო წლის დაწყებამდე ცდილობს პასუხი გასცეს იმ 4 შეკითხვას, რომლებზეც სტატიის პირველ ნაწილში გვქონდა საუბარი. შედეგები, სავარაუდოდ, ასე გამოიყურება:

1. უნდა შეფასდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, სასკოლო გარემო და ინფრასტრუქტურული მდგომარეობა;
2. შეფასების პროცესში ჩართული იქნებიან დირექციის წევრები (დირექტორი და მოადგილეები), კათედრის ხელმძღვანელები და სურვილის შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს წევრები. ამ ფორმალურ თუ არაფორმალურ გაერთიანებას პირობითად შეიძლება შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი ვუწოდოთ.
3. შეფასებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი გუნდი შეარჩევს შესაფერის მეთოდოლოგიას:
   ა) მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების მიზნით ისინი შეისწავლიან მონაცემებს სასკოლო ჟურნალებიდან (განმსაზღვრელი შეფასება), კათედრის პორტფოლიოებიდან (შემაჯამებელი დავალებების შესრულების ანგარიშები, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიშები), შეადგენენ დიაგრამას და გამოკვეთენ კონკრეტულ საგნებში აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელს საგნების მიხედვით;
   ბ) სასკოლო გარემოს სფეროს დაყოფენ ორ მიმართულებად – ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის შეფასებად და სასკოლო კულტურის შეფასებად. მეთოდად ირჩევენ გამოკითხვას, ინტერვიუს, მეორადი მონაცემების შესწავლასა (დირექციისა და მასწავლებლების თვითშეფასების ანგარიშები, დისციპლინური კომიტეტის ოქმები) და ფოკუსჯგუფს.
   გ) ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესაფასებლად ჯგუფი ირჩევს დაკვირვებას და მეორეული მონაცემების შესწავლას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ არსებული სტანდარტებით შენობის მდგომარეობის, ფართისა და მატერიალური რესურსის სხვა მახასიათებლებით. ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტაციის შესწავლის გზით ვადგენთ, რამდენად აკმაყოფილებს შენობის მდგომარეობა მოსწავლეთა საჭიროებებს.
4. ჯგუფი თანხმდება, რომ ყველა ზემოაღნიშნული მიმართულების შეფასება მოხდება წელიწადში ორჯერ – სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს.

სტატიის მომდევნო ნაწილებში დეტალურად გავეცნობით კითხვარის შედგენის, ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფის ჩატარების პრინციპებს და კვლევის სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ სკოლაში.

წარმოვიდგინოთ, თითქოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების დროს აღმოჩნდა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი მათემატიკაში 6 ქულას შეადგენს. სასკოლო გარემოს შეფასებისას დადგინდა, რომ სკოლაში ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, რაც დირექციის მხრიდან არასწორი კომუნიკაციის შედეგია. ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესწავლისას გამოიკვეთა პრიორიტეტული პრობლემა სკოლაში – სველი წერტილების სათანადოდ მოწესრიგება. სკოლის დირექცია შეფასების ჯგუფთან ერთად იწყებს იმ გზების შემუშავებას, რაც აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

ამისათვის დირექციამ შეიმუშავა ერთ წელზე გათვლილი სამოქმედო გეგმა. წლის მანძილზე მიზნების ჩამონათვალი ასე გამოიყურება (პირობითად, 4 მიზანი):

1. მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგები, ინტეგრირებული გაკვეთილები, შეხვედრები გამოცდილების გაზიარებისათვის);
2. მათემატიკის კათედრის აღჭურვა რესურსებით და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;
3. მასწავლებელთა წახალისება მოტივაციის გაზრდის მიზნით;
4. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით სასკოლო კონკურსის დაგეგმვა მათემატიკაში და წარმატებული კლასის წახალისება.

სასურველია, მონიტორინგის განხორციელების მიზნით შედგეს პირობითი სქემა, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მიღებულ შედეგს და დაგვეხმარება შედეგების საბოლოო შეფასებაში. მსგავსი პრინციპით შედგება სქემა თითოეულ მიზანზე, რომელიც სასკოლო გარემოსა და ინფრასტრუქტურას შეეხება.

მონიტორინგის სქემა ერთი მიზნისთვის:

მიზანი	აქტივობა	მონიტორინგის მეთოდი	შესრულების ვადა	განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	დადასტურება	შენიშვნა
1. მათემატიკოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	ტრენინგი	1. დაკვირვება 2. ინტერვიუ (ტრენერთან, მსმენელთან)	1. ---------- 2. ----------	დირექტორის მოადგილე	ტრენინგის ანგარიში, ტრენინგზე დასწრების აღრიცხვის ფურცელზე	
	ინტეგრირებული გაკვეთილები	დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი (შედეგებზე მასწავლებლთან); მეორეული მონაცემების ანალიზი (გაკვეთილის გეგმის გადახედვა)	----------	დირექტორის მოადგილე; კათედრის ხელმძღვანელი.	გაკვეთილის გეგმა; დაკვირვების აღწერის ფორმა; ფოკუსჯგუფის ჩანაწერი	

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიზნის ნაწილში იწერება სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გამოვლენილი პრობლემა, რომელიც მიზნად იქცა. აქტივობის გრაფა აზუსტებს მისაღწევ გზებს – რა კონკრეტულ ქმედებებს განვახორციელებთ წარმატებისათვის. მონიტორინგის მეთოდის ნაწილში ვწერთ იმ კონკრეტულ მეთოდოლოგიას, რომლის საშუალებითაც სკოლის გუნდი პროცესის მუდმივ კონტროლსა და შემოწმებას განახორციელებს შესაბამისი ვადისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით. მნიშვნელოვანია ასევე, გავითვალისწინოთ დადასტურების ნაწილი. ეს ჩვენ მიერ განხორციელებული ქმედებების ნამდვილობის მაჩვენებელია, რაც შედეგების სანდოობას უზრუნველყოფს.

მსგავსი ცხრილის წარმოება სკოლის ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს, კომპლექსური და საბოლოო შეფასებისას უფრო სწრაფად მოახდინონ ინფორმაციის მოძიება, გაითვალისწინონ შედეგები სამომავლოდ და შექმნან სკოლაში ხარისხის მართვის საკითხებთან დაკავშირებული ინსტიტუციური მეხსიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს კონკრეტული მეთოდი, რომელიც შეფასების ან მონიტორინგის პროცესის აუცილებელი მახასიათებელი იქნება. მეთოდს ვირჩევთ მიზნის შესაბამისად. ამ ორი კომპონენტის შესაბამისობა მნიშვნელოვანია სანდო შედეგისა და პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისათვის.

მაია ფირჩხაძე

მასწავლებლისა და ჯგუფური მუშაობის როლი უნივერსალური სასწავლო ქმედებების ფორმირებაში

ჯგუფური მუშაობის უპირატესობა ისაა, რომ იგი თითოეულ მოსწავლეს აძლევს აზროვნების, საუბრის და მოქმედების საშუალებას, რადგან სხვა ადამიანის მიერ დასმული თუნდაც მარტივი შეკითხვა უკვე წარმოადგენს ძლიერ სტიმულატორს შემეცნებითი და აზროვნებითი პროცესების გააქტიურებისთვის.

ჯგუფი, ანუ, როგორც ფილოსოფოსები მიუთითებენ, დიადა - ესაა ადამიანის, როგორც სოციალური არსების, განვითარების ელემენტარული და ამავე დროს უნივერსალური ფორმა, რადგან ჯგუფებში ყველა შესაძლებლობაა პიროვნული, შემეცნებითი და სოციალური განვითარებისთვის. მოზარდის მიერ აქ შეძენილი ინტელექტუალური, სოციალური და პიროვნული გამოცდილება მიმართულია როგორც საკუთარი თავისკენ, ასევე შემდეგში დამოუკიდებელი ცხოვრებისკენაც, ამიტომ ჯგუფში მუშაობის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ რის საფუძველზე ითვისებს ბავშვი ჯგუფში მუშაობის წესებს, როდესაც ის სკოლაში მიდის? რამდენად გამოცდილია ის ამ კუთხით?

სკოლაში მისვლისას მოზარდს მცირე გამოცდილება უკვე აქვს. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია:

- უსიტყვოდ, კრიტიკის გარეშე ენდოს უფროსს (ეს გამოცდილება მიღებული აქვს უშუალო ემოციური ურთიერთობით);
- იმიტირება (ესაა გამოცდილება საგნობრივი მანიპულაციის საფუძველზე);
- სხვადასხვა როლის შესრულება (თამაშით მიღებული გამოცდილება).

ეს გამოცდილება იძლევა საშუალებას, ვასწავლოთ ბავშვს ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა – თანამშრომლობა სასწავლო პროცესში, ანუ ჯგუფური მუშაობა.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ პირველი სუბიექტი, რომელთანაც სწავლის დასაწყისში მასწავლებელს აქვს ურთიერთობა, არის არა ცალკეული მოსწავლე, ინდივიდი, არამედ ერთად მომუშავე ბავშვების ჯგუფი. მოსწავლეებში ასეთი თანამშრომლობის აუცილებლობას წარმოშობს დაუკმაყოფილებლობა, არასრული ინფორმაციის შევსების ან ქმედების სურვილი. ამ მოთხოვნას, თავის მხრივ, რეფლექსიური ბუნებაც აქვს: იმისთვის, რომ ეს მოთხოვნილება გაუჩნდეს, მოსწავლემ სწორად უნდა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები და სუსტი მხარეები. სწორედ ჯგუფში, თანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეების გარმოცვაში გამოიკვეთება სასწავლო-თანამშრომლობითი ღონისძიებების პერსპექტივები, რომელთა საფუძველზეც მოხდება:

- სხვადასხვა დამოკიდებულების ჩამოყალიბება შემეცნებითი პროცესების მიმართ, განსხვავებული შეხედულებების, პოზიციებისა და კონფლიქტური სიტუაციების გამოკვეთა;
- სასწავლო დამთელი რიგი სხვა ამოცანების გადაწყვეტა;
- პრობლემების გადაწყვეტის, რეალიზების გეგმების დასახვა;
- შედეგების შეფასება.

შესაბამისად, ჯგუფში მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა სახის უნივერსალური სასწავლო ქმედებისთვის:

- პიროვნული განვითარებისთვის;
- თანამშრომლობითი (მარეგულირებელი) თვისებების

ჩამოყალიბება-განვითარებისთვის;

- შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებისთვის;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის.

ჯგუფური მუშაობის უპირატესობა ისაა, რომ იგი თითოეულ მოსწავლეს აძლევს აზროვნების, საუბრის და მოქმედების საშუალებას, რადგან სხვა ადამიანის მიერ დასმული თუნდაც მარტივი შეკითხვა უკვე წარმოადგენს ძლიერ სტიმულატორს შემეცნებითი და აზროვნებითი პროცესების გააქტიურებისთვის.

აქედან გამომდინარე, ჯგუფი წარმოადგენს იმ მინიმალურ ერთეულს, რომელზეც აიგება მომავალი სასწავლო თანამშრომლობა. მაგრამ ამ ურთიერთობებს თავისებური სირთულეებიც ახლავს, თავისი განსაკუთრებული მხარეები:

„მოსწავლე-მასწავლებელი“ – მუშაობის თავისებურებები

სასწავლო პროცესში თანამშრომლობის სწავლას ანუ ჯგუფურ მუშაობას მოსწავლე მასწავლებელთან ურთიერთობით („მასწავლებელი-მოსწავლე“) იწყებს. ამიტომ მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს:

- გარკვეული ნორმები, ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე შეძლებს დავალებების შეასრულებას;
- ისეთი სავარჯიშოები, რაც აიძულებს მოსწავლეს, იპოვოს თანამშრომელი, პარტნიორი, მეწყვილე, ჯგუფელი; დაინახოს საჭირო მონაცემების შეგროვების, მოპოვების აუცილებლობა და საამისოდ შეძლოს სივრცესა და დროში ორიენტაცია და გადაადგილება.

იმ მიდგომებიდან, რომლებსაც ასეთ დროს ეფექტურად იყენებს მასწავლებელი, გამოიკვეთება:

- ისეთი დავალებები, რომლებიც მოსწავლის ყურადღებას, ორიენტაციას წარმართავს რამდენიმე მიმართულებით: მიცემული დავალების შესრულებისკენ და მასწავლებლის ქმედებისკენ;
- დავალებები, რომლებსაც არ აქვთ გადაწყვეტის გზა; რომლებიც შეუძლებელს ხდიან მასწავლებლის დავალების შესრულებას;
- დავალებები, რომლებიც არასაკმარის მონაცემებს შეიცავენ და ამის გამო მოსწავლემ არა მარტო უარი უნდა თქვას მათ შესრულებაზე, არამედ უნდა მოსთხოვოს მასწავლებელს არასაკმარისი მონაცემების მიზეზების ახსნა;
- დავალებები, რომლებითაც განისაზღვრება, შეძლებს თუ არა მოსწავლე ორიენტაციას ობიექტურად შესაძლებლისკენ (ან თუნდაც შეუძლებლისკენ); შეძლებს თუ არა შესაფერისი მოქმედების განხორციელებას (ამ დროს მასწავლებელი „კულტურულ ნორმებში“ მოქმედებს: აზუსტებს მოსწავლის მიერ გამოთქმულ აზრს, გამოხატავს პატივისცემას მისი აზრის მიმართ, მოჰყავს არგუმენტები, მადლობას უხდის მუშაობისთვის).

მასწავლებლის მიერ ყველა ამ ნორმის მუდმივი გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება ერთმანეთთან ურთიერთობაში, რის საფუძველზეც ისინი მიაღწევენ სრულ სასწავლო დამოუკიდებლობას. მასწავლებელი ვალდებულია, დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი თავის, თავიანთი საქმის ორგანიზებაში.

ალგორითმი

მასწავლებლის ქმედება, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობის გამოყენებისკენ, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ხაზობრივი (დროში თანმიმდევრული) და კონცენტრირებული (შინაარსის მიხედვით) ალგორითმი (სქემა 1):

სქემა 1



ამის მიხედვით, მასწავლებელს, როგორც ჯგუფური მუშაობის ორგანიზატორს, მოუწევს შემდეგი როლების შესრულება:

- ჯგუფებისთვის სამუშაო მიმართულების განსაზღვრა;
- სამუშაოს პროცედურული კონტროლი;
- ოპონირება;
- რეფლექსია.

ყველაზე მარტივად ამის წარმოსახვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის

დაგეგმვისას პასუხობს რამდენიმე შეკითხვას:

- რისთვის მჭირდება ეს სამუშაო?
- რა ადგილს იკავებს იგი მოცემული თემისა თუ გაკვეთილის შესწავლაში?
- რა შედეგი მინდა მივიღო?

მოცემულ კითხვებზე პასუხის შემდეგ მასწავლებელი უკვე აირჩევს ჯგუფური მუშაობის შესაფერის ფორმას (სქემა2):

სქემა 2



ფორმის განსაზღვრის შემდეგ დგება პრაქტიკული მოქმედების დრო – იწყება ჯგუფებში მუშაობა. **ჯგუფური მუშაობა მოიცავს გარკვეულ ტექნოლოგიურ თავისებურებებს: მასწავლებლის/სწავლების მხრივ** – განხილვას, ერთობლივ და ინდივიდუალურ სწავლას, ვარჯიშს/ავტომატიზებას და შემოწმებას. **მოსწავლეთა მხრივ მასში შედის მოსწავლის პოზიციის განსაზღვრა** – დიალოგში მონაწილე მოსწავლეებისთვის და, ზოგადად, ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეთათვის თანაბარუფლებიანი პოზიციების უზრუნველყოფა, მუშაობისას მასწავლებლისა და მოსწავლის პოზიციების რიგრიგობით ცვლა.

ჯგუფური მუშაობის პროცესის აუცილებელი ნაწილია რეფლექსია. იგი თავისი არსით აუცილებლად გულისხმობს საკუთარი ქმედებების გააზრებას, მათ რეგულაციას. შესაბამისად, **რეფლექსიის ამოცანაა, ჯგუფი და თითოეული მოსწავლე აყალიბებდნენ თავიანთ წარმოდგენებს მომხდარი მოვლენების შესახებ.** რეფლექსია განსაკუთრებით აუცილებელია დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის, რათა ის სასწავლო პროცესის სუბიექტი გახდეს. ამ გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენს შემდეგის გააზრება: „მე მცოდნე ადამიანი ვარ – ის, ვინც რაღაც იცის“ და „მე უცოდინარი ვარ, არაფერი ვიცი“. როდესაც დგება „მასწავლებელი-მოსწავლე“ პოზიცია, „მცოდნე“, ცხადია, უფროსის მხარესაა. როცა თანატოლების ჯგუფია, პოზიცია „მცოდნე-უცოდინარი“ გაურკვეველია, პროცესს თან ახლავს კამათი, აზრთა ურთიერთგაცვლა. ამავე დროს რეალური ვითარებაც გამოიკვეთება.

მაგრამ როგორ გამოვიწვიოთ რეფლექსია? მისი დაბადება ნამდვილ სასწაულს შეგვიძლია შევადაროთ, მისი სწავლა შეუძლებელია: უფროს ადამიანს არ შეუძლია გიპასუხოთ, აგიხსნათ, როგორ ახდენს რეფლექსირებას. შეიძლება მხოლოდ პირობების შექმნა, რომლის დროსაც რეფლექსიის ნაპერწკალი მეტნაკლები სიზუსტით გაანათებს ბავშვის შემეცნებას. იმ პერიოდში, როდესაც ბავშვის ქმედება ჯერ კიდევ არაა გააზრებული, არაა დამოუკიდებელი, გაცილებით მომგებიანია, რეფლექსიისას პარტნიორი იყოს ასევე არასრულწლოვანი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლი ადამიანი, ვიდრე ზრდასრული პიროვნება. აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფურ მუშაობას, რომლის დროსაც მასწავლებლის ჩარევა მინიმალურია (სქემა 3).

რეფლექსიამ, შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები შეიტანოს ჯგუფური მუშაობის მომზადებისა და ორგანიზების ფორმატში. ცხადია, არ იგულისხმება, რომ შესაძლებელია მოსწავლეთა ჯგუფის ერთხელ და სამუდამოდ ორგანიზება: ცვლილებებს იწვევს არა მარტო სამუშაოს ხასიათი, რომლის მიხედვითაც ხდება ჯგუფის ფორმირება, არამედ, ზრდასთან ერთად, მოსწავლეთა განსხვავებული აზროვნება და ქცევაც, რომელიც ჯგუფების ფორმირებისა და პროდუქტიულობის მიღწევისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია. ჯგუფურ სამუშაოს მაშინაც შეიძლება მიმართოს მასწავლებელმა, როდესაც



სქემა 3

არ არსებობს სასკოლო საგანი, სამეცნიერო დისციპლინა, რომლის შესწავლისთვისაც ამ ფორმების გამოყენება არ იყოს სასარგებლო, მაგრამ ყველაფერი ისევ მასწავლებლის ინტერესამდე დადის – მთლიანად მასზეა დამოკიდებული ჯგუფური მუშაობის როგორც უნივერსალური სასწავლო ქმედების ფორმირების ორგანიზაცია. მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, გახდნენ უნივერსალური უნარების მფლობელები.

ბავშვები გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებიან: რეფლექსიის ფაზაში ხშირად სწორედ ჯგუფური სამუშაოა სასკოლო თანამშრომლობის, საქმიანი და პირადი ურთიერთობების გამოხატვის ყველაზე ეფექტური საშუალება.

ცხადია, დაწყებით საფეხურზე რეფლექსიის სწავლებისას მასწავლებელი ერთბაშად ყველა საშუალებას ვერ გამოიყენებს, ისევე როგორც ერთბაშად არავინ ასწავლის გაყოფას და გამრავლებას. მთავარია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ზუსტად რეფლექსია უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ, კომუნიკაციურ და ინტელექტუალურ განვითარებას.

მაგალითები დაწყებით საფეხურზე რეფლექსიის განვითარებისთვის:

- ზეპირი განხილვა;
- გაკვეთილის განმავლობაში მომხდარი მოვლენების, ანუ გაკვეთილის ვიზუალური – სახვითი ანდა გრაფიკული გამოხატვა (თუნდაც ერთი დღის, ან ერთი კვირის, ან ერთი თვის);
- სხვადასხვა საგანმანათლებლო სიტუაციაში განცდილი გრძნობებისა და შეგრძნებების ვერბალური აღწერა;
- ანკეტის წერილობით შევსება;
- თამაში – მეტაფორების გამოყენება, სადაც მოსწავლე მესამე პირში მოგვითხრობს თავის თავზე და თავის ჯგუფზე, უსმენს სხვა მოსწავლეების მონათხრობსაც.

შეკითხვები განხილვისთვის:

- რა ისწავლე ახალი?
- რომელი წინარე ცოდნა დაგეხმარა დავალების შესრულებაში?
- რისი ცოდნა გამოგადგება მომავალში?
- კონკრეტულად რა დაგეხმარა პრობლემის გადაწყვეტაში?
- რომელი საშუალებები გამოიყენე გაკვეთილზე (შეადგინე ცხრილი, დახაზე სქემა და ა.შ.)?
- კმაყოფილი თუ ხარ ჯგუფელების მუშაობით?
- როგორ ფიქრობ, ისინი თუ არიან შენით კმაყოფილები?
- რა გზით მიხვედით შეთანხმებულ მუშაობამდე?
- რაში შეაქებდი შენს თავს?
- რას შეცვლიდი შენს მოქმედებაში?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
- და ა.შ.

რეფლექსიისას ბავშვებმა არა მარტო სირთულეები უნდა გამოყონ, არამედ ამ სირთულეების გადაწყვეტის გზებიც უნდა წარმოიდგინონ, რადგან სწორედ ასეთი ტიპის რეფლექსიაა კონსტრუქციული. ამ შემთხვევაში სწავლის სირთულეების (როგორც ცხოვრებისეული სირთულეების მოდელის) დაძლევა საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის. ეს დაეხმარება მათ, უკეთესი გახადონ გარემომცველი სამყაროც და საკუთარი თავიც.

ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ არ არსებობს სასკოლო საგანი, სამეცნიერო დისციპლინა, რომლის შესწავლისთვისაც ამ ფორმების გამოყენება არ იყოს სასარგებლო, მაგრამ ყველაფერი ისევ მასწავლებლის ინტერესამდე დადის – მთლიანად მასზეა დამოკიდებული ჯგუფური მუშაობის როგორც უნივერსალური სასწავლო ქმედების ფორმირების ორგანიზაცია. მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, გახდნენ უნივერსალური უნარების მფლობელები.

ეკატერინე ყიფიანი

საკლასო ოთახში მოსწავლეებს შორის არსებული ურთიერთობების შეფასება

განათლების მაღალი ხარისხის მისაღწევად ტარდება რეფორმები, რომლებიც ითვალისწინებს მასწავლებლების გადამზადებას, სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების შეცვლას, საკლასო გარემოს გაუმჯობესებას, გაკვეთილის ჩატარების ინოვაციურ გზებს. ინოვაციურ გაკვეთილში იგულისხმება გონიერი დაფის, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტი-გაკვეთილები.

სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების ცოდნის შეძენის პროცესს და მის დინამიკას. ამიტომაც დღეს მასწავლებლებს გვირჩევენ, ჩავერთოთ კვლევის პროცესში. ყოველ სკოლას და თითოეულ კლასს აქვს მისთვის დამახასიათებელი სოციალური გარემო. კლასში არსებული ურთიერთობების შესწავლა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა.

დღევანდელი საჯარო სკოლის კლასებში ოცდაათი-ორმოცი მოსწავლის ყოფნა ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა კერძო სკოლებში კლასში თექვსმეტ მოსწავლეზე მეტს არ რიცხავენ. შესაბამისად, უფრო მეტი შრომა უწევთ საჯარო სკოლის მასწავლებლებს, თუ სურთ, რომ კლასში არც ერთი მოსწავლე არ დარჩეთ უყურადღებოდ. 45-წუთიან გაკვეთილზე თითოეული მოსწავლისთვის თითო წუთია გამოყოფილი. ერთწუთიანი აქტიურობის შემდეგ დარჩენილი დროის განმავლობაში მოსწავლე მოთმინებით უნდა ელოდოს და უნდა ისმინოს სხვების საუბარი, ისიც – ნაჩქარევი და ხანმოკლე. ამ სირთულის დასაძლევად ექსპერტები გუნდურ მუშაობას გვირჩევენ. ინოვაციური გაკვეთილის ერთ-ერთ ფორმად სწორედ კლასის პატარა ჯგუფებად დაყოფა და გუნდური მუშაობა ითვლება.

სასწავლო მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით, განათლების სპეციალისტებმა დავიდ ვრეიმ და კრისტინა კუმპულაინენმა შეისწავლეს საკლასო ოთახში მიმდინარე ურთიერთობები. მათ ანალიზის ერთეულად აიღეს მოსწავლეთა ჯგუფი და იქ გაჩენილი ურთიერთობები სამ განზომილებაში განიხილეს. ეს განზომილებებია: მოსწავლეთა შორის ვერბალური ურთიერთობების ფუნქცია, კოგნიტური პროცესები და სოციალური მდგომარეობა. მოცემული ფუნქციური ანალიზი ეყრდნობა მოსწავლეთა ვერბალურ უნარს, კოგნიტური და სოციალური პროცესები კი ყურადღებას ამახვილებს მონაწილეთა შორის ურთიერთობის დინამიკაზე. სამივე კომპონენტი შეისწავლება ჯერ განცალკევებულად, შემდეგ კი ერთობლივად, რამდენადაც თითოეული მათგანი ავსებს დანარჩენ ორს და მხოლოდ მათი ერთობლივად შესწავლის საფუძველზე შეიძლება სრულყოფილი დასკვნის გამოტანა.

საფეხური 1: ვერბალური ურთიერთობის ფუნქციური ანალიზი

მოსწავლეთა შორის ვერბალური ურთიერთობის ფუნქციური ანალიზი ადგენს იმ მიზნებს, რასაც სასაუბრო ენა ემსახუ-

რება მოცემულ მომენტში, და ასევე, იმ სტრატეგიებს, რასაც თითოეული მოსწავლე იყენებს ურთიერთობისას. ყურადღება ექცევა მეტყველებაში გამოყენებულ სიტყვებს და მათ დანიშნულებას. მოსწავლეთა სამეტყველო ენის ფუნქცია მჭიდრო კავშირშია როგორც სასაუბრო თემატიკასთან, ასევე სიტუაციის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციასთან, რაც თითოეული მოსწავლის სოციოკულტურული მდგომარეობის ამსახველია.

სასაუბრო ენის ფუნქცია ასახავს როგორც პიროვნებათა შორის, ასევე შიდაპიროვნულ მიზნებს. ეს მიზნები და განზრახვები, ერთი მხრივ, გამოხატავს კოგნიტურ უნარებს, მეორე მხრივ კი, პიროვნულ და პიროვნებათა შორის, ანუ სოციალურ ურთიერთობებს.

ენის ფუნქციის განსაზღვრა ეყრდნობა მოსაუბრეთა მიერ ნაგულისხმევის ამოცნობას. ამისთვის საჭიროა პირდაპირი დაკვირვება, აუდიომასალის შეგროვება და მოსწავლეთა გამოკითხვა. საუბრის ერთი ეპიზოდი შეიძლება რამდენიმე ფუნქციას ემსახურებოდეს.

სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა შორის საუბრი განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. საუბრის დანიშნულება შესაძლოა იყოს: ინფორმაციის მიწოდება, რაიმეს აღწერა (ექსპოზიცია), მსჯელობა, შეფასება, კითხვის დასმა, პასუხის გაცემა, ორგანიზება, განსჯა (დათანხმება ან უარყოფა), კამათი, კომპოზიცია, გამეორება, კარნახი, ხმამაღლა კითხვა, სწავლება, გამოცდილების გაზიარება და ემოციების გამოხატვა. ჩამოთვლილი მიზნებიდან ზოგიერთი აქტივობის მახასიათებელია, მაგ., კარნახი და ხმამაღლა კითხვა, ზოგი – კოგნიტური თვისებებისა (ინფორმაციის მიწოდება, მსჯელობა, შეფასება), სხვები კი სოციალურ მდგომარეობას ავლენს (ემოციების გამოხატვა, პასუხის გაცემა, განსჯა). თუმცა ამგვარი დაჯგუფება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ გარკვეული მიზანი ზემოხსენებული სამი განზომილებიდან მხოლოდ ერთ-ერთში თავსდება. თითოეული მათგანი სამივე მაჩვენებელს – სოციალურ დამოკიდებულებებს, კოგნიტურ თვისებებს და სასაუბრო აქტივობებს ავლენს. სასაუბრო მიზნები არაა წინასწარ განსაზღვრული კატეგორიები. მხოლოდ მოსწავლეთა შორის საუბრის დამთავრების შემდეგ ხდება ამ ფუნქციების მისადაგება საუბრის გარკვეულ ნაწილთან.

თუ განვიხილავთ მაგალითს, უფრო ნათელი გახდება ვერბალური ურთიერთობის ფუნქციური ანალიზის გამოყენების გზები. მაგალითად, ორი გოგონა, ელიზა და მერი იგონებენ და ერთად წერენ მოთხრობას სასკოლო ჟურნალისთვის.

ელიზა: მოდი, ასე დავიწყოთ, რომ ერთ დღეს ბიჭები წავიდნენ სასაფლაოზე.

მერი: ჰო, და მათ თან წაიღეს ფარანი და საჭმელი.

როგორც ჩანს, ორივე გოგონა ასრულებს შემოქმედებით წერას, ე.ი ორივე მათგანი იყენებს ენის კომპოზიციურ ფუნქციას. რადგან ამბავი გამოგონილია, ისინი იყენებენ ფანტაზიას, ანუ წარმოსახვით ფუნქციას. ელიზას საუბარი ემსახურება საორგანიზაციო მიზნებსაც, როდესაც ის ამბობს: „მოდი, ასე დავიწყოთ...“, მერი მას ეთანხმება, ე.ი. იყენებს განსჯით ფუნქციას. ასე რომ, ელიზას საუბარი ემსახურებოდა კომპოზიციურ, წარმოსახვით და საორგანიზაციო, მერისა კი – კომპოზიციურ, წარმოსახვით და განსჯით მიზნებს.

ვერბალური ურთიერთობის ანალიზის სისტემა იძლევა არა მარტო თვისებრივი, არამედ რაოდენობრივი ანალიზის შესაძლებლობასაც. მისი საშუალებით შეისწავლეს სასწავლო ორგანიზაციის ორი სტილი: მასწავლებლის მიერ მართვადი, ანუ მასწავლებელზე ორიენტირებული და მოსწავლეთა ჯგუფზე ორიენტირებული სწავლება. ორივე შემთხვევაში საკლასო აქტივობები ეფუძნებოდა ზეპირ დავალებებს. გამოკვლევა ჩატარდა საბერძნეთში 7-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებთან. რვა გაკვეთილის ანალიზი მოიცავდა დაკვირვებას და ხმის ჩანაწერების დამუშავებას. გამოკვლევამ მნიშვნელოვანი განსხვავებები აჩვენა სამეტყველო ფუნქციების გამოყენებებს შორის ამ ორი სტილის სწავლების დროს.

> **სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების ცოდნის შეძენის პროცესს და მის დინამიკას. ამიტომაც დღეს მასწავლებლებს გვირჩევენ, ჩავერთოთ კვლევის პროცესში. ყოველ სკოლას და თითოეულ კლასს აქვს მისთვის დამახასიათებელი სოციალური გარემო. კლასში არსებული ურთიერთობების შესწავლა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა.**

ცხრილი 1. მასწავლებელსა და მოსწავლეთა ჯგუფზე ორიენტირებული სწავლების დროს ენობრივი ფუნქციის გამოყენების სიხშირის სქემა

ენის ფუნქცია	მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლება (%)	მოსწავლეთა ჯგუფზე ორიენტირებული სწავლება (%)
წინასწარ განზრახული	25,1	1,5
საპასუხო	28,6	2,3
რეპროდუქციული	7,6	2,8
კითხვითი	7,6	3,6
გამოცდილებითი	3	1,5
საინფორმაციო	10,5	19,3
განსჯითი	9,4	18,2
ჰიპოთეტური	1,1	3,1
საკამათო	2,4	7,0
აფექტური	1,3	4,5
საორგანიზაციო	2,5	16,2
კომპოზიციური	0,6	6,1
ევრიკისტული (heuristic -ევრიკა)	0,3	4,2
წარმოსახვითი	0,2	4,0
აღწერილობითი (ექსპოზიციური)	0,0	1,1
ექსტრავერტული ფიქრი	0,0	4,5

ისეთი ფუნქციები, როგორიცაა მიზნობრივი, საპასუხო, წარმოებითი, კითხვითი და გამოცდილებისეული ხშირად იჩენს თავს მასწავლებლის მიერ მართვადი გაკვეთილების დროს. ჯგუფზე ორიენტირებული სწავლებისას კი ენის ყველა ფუნქციის გამოვლენა ხდება. მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებისას საერთოდ არ აღინიშნება გარე ფიქრის, ანუ ექსტრავერტული ფიქრის (external thinking) და ექსპოზიციური ფუნქციები; წარმოსახვითი, ევრიკაისტული და კომპოზიციური ფუნქციები ვლინდება, მაგრამ ძალიან დაბალი მაჩვენებლით. ამ გამოკვლევამ მოსწავლეთა ვერბალური ურთიერთობის ფუნქციური ანალიზის საშუალებით აჩვენა, რომ ორი სხვადასხვა სტილის სწავლების დროს მოსწავლეთა ენობრივი გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

საფეხური 2: კოგნიტური გადამუშავების ანალიზი

კოგნიტური გადამუშავების ანალიზი ასახავს მოსწავლეთა მიერ გარკვეული დავალების შესასრულებლად არჩეულ გზებს და წარმოაჩენს მათი მუშაობის სტრატეგიებს და არჩეულ პოზიციას ცოდნის, სწავლისა და პრობლემის მიმართ. კოგნიტური გადამუშავება დინამიკური და სოციალური ბუნებისაა, რადგან მოსწავლეს ეს უნარი უვითარდება სოციოკულტურული ურთიერთობების დროს.

მოსწავლეთა კოგნიტური უნარის სამ ფორმას გამოყოფენ: პროცედურულს, ინტერპრეტაციულს და კვლევაძიებითს და დავალებიდან აცდენილს.

- პროცედურული დამუშავების უნარი გულისხმობს დავალების რუტინულ შესრულებას, რისთვისაც არაა საჭირო დაგეგმვა და ფიქრი. ამ დროს არ ხდება აზრების ჩამოყალიბება და დავალება სრულდება თანმიმდევრულად კრიტიკისა და მსჯელობის გარეშე. მოსწავლის საქმიანობა ორიენტირებულია შედეგზე და ინფორმაციის პროცედურულ დამუშავებას ემსახურება.
- ინტერპრეტაციული და კვლევაძიებითი დამუშავება გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც ყურადღება ეთმობა დავალების შესასრულებელი სტრატეგიების, გეგმების და ჰიპოთეზების მოსინჯვას. მოსწავლეთა საქმიანობა ასახავს მათ ენთუზიაზმს და ჩართულობას შესასრულებელ დავალებაში.
- დავალებიდან აცდენილი კოგნიტური მდგომარეობის დროს მოსწავლეები არ ასრულებენ დავალებას, თამაშობენ, საუბრობენ სხვა თემაზე ან მოქმედებენ დაბნეულად.

საფეხური 3: სოციალური გადამუშავების ანალიზი

სოციალური გადამუშავების ანალიზის მიზანია ჯგუფის წევრების სოციალური სტატუსის და მათ შორის ურთიერთობების სახელდება და დახასიათება. სოციალური ურთიერთობის ფორმა შეიძლება იყოს თანამშრომლობა, მასწავლებლობა, კამათი, ინდივიდუალური მუშაობა, დომინანტობა, კონფლიქტი და დაბნეულობა. ეს უკანასკნელი ჩნდება მოსწავლეთა შორის გაუგებრობის დროს. კონფლიქტი ასახავს შეუთანხმებლობის არსებობას სოციალურ დონეზე. დომინანტობა აჩვენებს ჯგუფში ძალების და სტატუსების უთანასწორო გადანაწილებას. ინდივიდუალური და დომინანტური ფორმები თანამშრომლობის საპირისპირო ურთიერთობებია. ინდივიდუალური მუშაობის დროს მოსწავლეებს შორის შეთანხმება არაა. კამათი და მასწავლებლობა თანამშრომლობითი ურთიერთობის მაჩვენებელია. კამათის დროს ისინი საუბრობენ, განსჯიან და ერთად წყვეტენ პრობლემას. მასწავლებლობის დროს კი მოსწავლეები ეხმარებიან ერთმანეთს.

ჯგუფში ურთიერთობის ფუნქციური ანალიზისგან განსხვავებით, რაც საუბრის მიმდინარეობით განისაზღვრება, კოგნიტური და სოციალური გადამუშავების ზუსტი წესები არ არის შემუშავებული. ეს ორი პროცესი ეფუძნება ურთიერთობის მსვლელობაზე დაკვირვებას.

აღნიშნული ანალიტიკური მეთოდის შესაჯამებლად კარგი საშუალებაა მისი ცხრილის სახით წარმოდგენა.

ცხრილი 2. ჯგუფში არსებული ურთიერთობის ანალიტიკური სქემა

გაზზომილება	ანალიტიკური კატეგორიები	აღწერილობა
კოგნიტური გადამუშავება	ინტერპრეტაციული და კვლევა-ძიებითი პროცედურული დავალებიდან აცდენილი	კრიტიკული აქტივობა, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, ჰიპოთეზების შემოწმებას, შეფასებას, ექპერიმენტს. აქტივობა გულისხმობს ორგანიზებას და შესრულებას. აქტივობა არ შეესაბამება დავალებას.
სოციალური გადამუშავება	თანამშრომლობა მასწავლებლობა კამათი ინდივიდუალურობა დომინანტობა კონფლიქტი დაბნეულობა	ერთობლივი შრომა თანაბარი წვლილის შეტანით ურთიერთდახმარება რაციონალური კოგნიტურ-სოციალური კონფლიქტი არ ხდება სხვათა აზრის გათვალისწინება უთანასწორო მონაწილეობა შეუთანხმებლობა სოციალურ და აკადემიურ დონეზე დავალების გაუგებრობა
	საინფორმაციო მსჯელობა შემაფასებელი კითხვითი	ინფორმაციის მიწოდება საკითხის გარჩევა სამუშაოს ან მოქმედების შეფასება კითხვების დასმა

საუბრის ფუნქციები	საპასუხო	პასუხების გაცემა
	საორგანიზაციო	მოწესრიგება ან გაკონტროლება სიტუაციის
	განსჯა	დათანხმება ან დაუთანხმებლობა
	კამათი	ინფორმაციის, აზრის, მოქმედების აწონ-დაწონვა
	კომპოზიციური	ტექსტის შექმნა
	გახსენება-გადამეორება	ტექსტის გადამეორება
	კარნახი	ტექსტის კარნახი
	ხმამაღლა კითხვა	ტექსტის წაკითხვა
	გამეორება	ნათქვამის გამეორება
	გამოცდილება	გამოცდილების გახსენება და გამოხატვა
	აფექტური	ემოციების გამოხატვა

ცხრილი 3.ურთიერთობის დინამიკა ჯონსა და გარის შორის

გაკვეთილი: მათემატიკა
მოსწავლეები: გარი და ჯონი
სამუშაო დრო: 11:05 - 11:30

დრო		მონაწილეობა	დიალოგის ტექსტი	ენის ფუნქცია	კოგნიტური პროცესი	სოციალური პროცესი	კონტექსტი (შენიშვნა)
11:16	147	ჯონი	სად არის დიდი სამკუთხედი?	საინფორმაციო	ძებნა	ჯონი ოდნავ დომინირებს	მოსწავლეები ეძებენ სწორ ფიგურებს
	148	გარი	ااا, ჰოო	ემოციების გამოხატვა			გეომეტრიული ფიგურის აგება
	149	ჯონი	ესენი გადააწყე	საორგანიზაციო			
	150	გარი	ჰაჰა, რას ეძებ?	ემოციების გამოხატვა და საინფორმაციო		გარი იწყებს თანამშრომლობას	
	151	ჯონი	ცენტრში დასადებ სამკუთხედს. . . ეს ცოტა რთული დავალებაა. . .	პასუხის გაცემა და შეფასება	ახსნა		
	152	გარი	ამაზე რას იტყვი?	მსჯელობა გამოხატული კითხვის ფორმით	ვარაუდი		
	153	ჯონი	ეს შეიძლება. .. მგონი ორი ასეთუ სჭირდება	მსჯელობა			
	154	გარი	არა, მასე არაა	მსჯელობა			
	155	ჯონი	მაჩვენე... მმ... მოდი შემდეგ დავალებაზე გადავიდეთ. ეს ამოვხსნათ, იმიტომ რომ უფრო ადვილია. ის უნდა გააკეთო, რასაც ხედავ. აი, ეს უნდა იყოს.	ორგანიზება, შეფასება, მსჯელობა	საორგანიზაციო სამუშაოები, ვარაუდი	ჯონი ისევ ოდნავ ავლენს დომინირებას	
	156	გარი	ამ პატარა ფიგურებს გულისხმობ?	მსჯელობა კითხვის სახით		გარი იწყებს თანამშრომლობას	
	157	ჯონი	კი, ამათ	პასუხის გაცემა			
	158	გარი	და ამ დიდებზე რას ფიქრობ?ისინი მასავით დიდია.	მსჯელობა	ვარაუდი		
	159	ჯონი	მე მგონი. . . (გაურკვეველი პასუხი)				
	160	გარი	არ ვიცი,	ინფორმირება			
	161	ჯონი	ეს ცოტა უფრო სქელია, ეს კიდევ ძალიან პატარა.	მსჯელობა	ბარათების შედარება		
	16	გარი	არა, ეს არაა	მსჯელობა			
	163	ჯონი	ისე ყველა ერთი და იგივეა	მსჯელობა			
	164	გარი	მოდი ორივე ვსინჯოთ	ორგანიზება			
	165	ჯონი	მოდი. აი ეს ქვემოთ რომ დევს, ხო? უფრო დიდი რომაა. აი, გამომართვი.	ორგანიზება, მსჯელობა, ორგანიზება	საორგანიზაციო სამუშაოები		
	166	გარი	არა, მე ეგ არ მინდა	შეუთანხმებლობა		სოციალური კონფლიქტი	

კლასში მიმდინარე ურთიერთობების შესასწავლად გამოიყენება ანალიტიკური სქემები, რომლებშიც აღირიცხება დრო, მოსაუბრეთა სახელები, წინადადებები, ენის ფუნქცია, კოგნიტური და სოციალური პროცესები და კონტექსტუალური შენიშვნები. სქემა სტრუქტურული ფორმისაა და კლასში არსებული კომპლექსური პროცესის გასამარტივებლად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. სტრუქტურული სქემა მკვლევარს საშუალებას აძლევს, დაუბრუნდეს საუბრის ჩანაწერის წინა მონაკვეთს და გადახედოს მის ინტერპრეტაციას. ამგვარი უკუკავშირი ზუსტი და სარწმუნო ანალიზის საფუძველია.

45-წუთიან გაკვეთილზე თითოეული მოსწავლისთვის თითო წუთია გამოყოფილი. ერთწუთიანი აქტიურობის შემდეგ დარჩენილი დროის განმავლობაში მოსწავლე მოთმინებით უნდა ელოდოს და ისმინოს სხვების საუბარი, ისიც – ნაჩქარევი და ხანმოკლე. ამ სირთულის დასაძლევად ექსპერტები გუნდურ მუშაობას გვირჩევენ. ინოვაციური გაკვეთილის ერთ-ერთ ფორმად სწორედ კლასის პატარა ჯგუფებად დაყოფა და გუნდური მუშაობა ითვლება.

მოცემულ გამოკვლევაში განხილულია საკლასო ურთიერთობების შესწავლის მეთოდოლოგია. აქ განხილული ანალიზის სისტემა ერთ-ერთია იმ მრავალ შეფასების მეთოდს შორის, რომლებიც კლასში მიმდინარე რთული პროცესების ასახსნელად შეიქმნა. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი კვლევა ჩატარდა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ განათლების სფეროს სპეციალისტებს კვლავაც მიაჩნიათ, რომ ისინი კლასში არსებული „შავი ყუთის“ გაშიფვრის საწყის ეტაპზე არიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

David Wray and Kristina Kumpulainen, Researching classroom interaction and talk

ანა ჯანელიძე

ბავშვების ესთეტიკური კულტურა და უფლებრივი გაძლიერება

> უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გამოკვეთილმა ტენდენციებმა, როგორიცაა ბავშვის უფლებების დისკურსის გაძლიერება, ბავშვობის ახალი სოციოლოგია და ფსიქოლოგია, განათლების კვლევების ტრადიციული მეთოდებისადმი კრიტიკული თეორიების წინ წამოწევა, ხელი შეუწყო მრავალფეროვანი მეთოდების საშუალებით ბავშვობის კულტურის მულტიდისციპლინურ კვლევას.

ბავშვების კულტურის კვლევა სოციოლოგების, ანთროპოლოგებისა და განათლების სპეციალისტებისთვის, უკვე რამდენიმე ათწლეულია, ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მკვლევარები ბავშვების კულტურის სხვადასხვა ასპექტს შეისწავლიან: ბავშვობის ისტორიულ და კულტურულ კონსტრუქციებს (რას წარმოადგენს ბავშვობა სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში), თამაშს, თანამედროვე მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, მეგობრობას და ა.შ. აღნიშნულ საკითხებს, ტრადიციულად, განვითარების ფსიქოლოგიის დარგი იკვლევდა, რაც საკითხის მხოლოდ ლიმიტირებული პერსპექტივიდან დანახვის საშუალებას იძლეოდა. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გამოკვეთილმა ტენდენციებმა, როგორიცაა ბავშვის უფლებების დისკურსის გაძლიერება, ბავშვობის ახალი სოციოლოგია და ფსიქოლოგია, განათლების კვლევების ტრადიციული მეთოდებისადმი კრიტიკული თეორიების წინ წამოწევა, ხელი შეუწყო მრავალფეროვანი მეთოდების საშუალებით ბავშვობის კულტურის მულტიდისციპლინურ კვლევას. ბავშვობის კულტურის კვლევები ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს 21-ე საუკუნის განათლებისთვის. ის საშუალებას გვაძლევს, ჰოლისტურად დავინახოთ ბავშვისა და მოზარდის სწავლისა და განვითარების პროცესი; ქმნის შესაძლებლობებს განათლებაში ისეთი ცვლილებების განხორციელებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვების, როგორც ჯგუფის, ინტერესებსა და დამოკიდებულებებს სწავლა-სწავლების პროცესში. სტატია მიმოიხილავს ესთეტიკური გამოცდილების როლს ბავშვის უფლებრივ გაძლიერებასთან მიმართებით (empowerment) და საკითხის რელევანტურობას ზრდასრულთა კულტურისათვის. გაძლიერება მოიაზრებს ბავშვის მიერ საკუთარი დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების გამოხატვისა და გათვალისწინების შესაძლებლობებს, საკუთარ ცხოვრებაზე ძალაუფლების ზრდას.

უილიამ კორსარო ბავშვების კულტურის ერთი-ერთი წამყვანი მკვლევარია, რომელიც მრავალწლიან ეთნოგრაფიულ კვლევებს ახორციელებს სკოლამდელი და დაწყებითი განათლების დაწესებულებებში. ბავშვების ყოველდღიურობის შესწავლისას კორსარო საგანმანათლებლო სივრცეში ითავსებს ე.წ. „არაკომპეტენტური ზრდასრულის“ როლს, რაც მეტად აახლოებს მას ბავშვებთან.[1] ეს განსაკუთრებული სტატუსი მკვლევარს საშუალებას აძლევს, თავი დააღწიოს ზრდასრულის ავტორიტეტს (მაგალითად, ბავშვები მას არ მიმართავენ კონფლიქტების მოგვარებისთვის), მოიპოვოს ბავშვების ნდობა და უნიკალური პოზიციიდან შეისწავლოს მათი კულტურა, ურთიერთობის ძალაუფლებრივი ასპექტები.

კორსაროსა და სხვა მკვლევართა მიერ განხორციელებული კვლევები წარმოაჩენს ბავშვების მიერ ესთეტიკური ფორმების გამოყენების მრავალ მაგალითს, რომლებიც ხელს უწყობს მათ გაძლიერებას ზრდასრულთა მიერ დომინირებულ სამყაროში. ესთეტიკური გამოცდილება ბავშვების ყოველდღიური კულტურის ნაწილია. მეტიც,

ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ბავშვებს საკმაოდ კარგად შეუძლიათ ხელოვნების აღქმა და კრიტიკა.[2] ქვემოთ განვიხილავთ ბავშვების დრამატულ თამაშს, იმპროვიზებულ ვოკალიზაციებს და ზრდასრულთა ხელოვნების სამყაროში მონაწილეობას, როგორც ესთეტიკური გზებით ბავშვების გაძლიერების ნიმუშებს.

ბავშვების ძალაუფლება ზრდასრულთა მიერ დომინირებულ სამყაროში

მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე კორსარომ ბავშვების კულტურის თეორიული საფუძვლების გადახედვისას შემოიტანა ახალი ცნება: ინტერპრეტაციული რეპროდუქცია. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ბავშვები ზრდასრულთა კულტურის პირდაპირ გადაღების ნაცვლად თავიანთი კულტურის კონტექსტში „გაიაზრებენ" და „თარგმნიან" მას და ამით ზეგავლენას ახდენენ ზრდასრულთა კულტურაზე.[3] შესაბამისად, აღნიშნული შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ძალაუფლებრივი ურთიერთობა, სადაც ინტერპრეტაციული რეპროდუქციის საშუალებით ბავშვების კულტურა გარკვეულწილად განაპირობებს ზრდასრულთა კულტურის შეცვლას. ამის მიუხედავად, კულტურათა უმრავლესობა ბავშვებს ნაკლებკომპეტენტურ არსებებად წარმოაჩენს, რომლებსაც სჭირდებათ სწავლება და გარკვეული კონტროლი, განსაკუთრებით – ადრეულ ასაკში. უსაფრთხოების დაცვისა და აღზრდის მიზნით, ბავშვებს მუდმივად ახსენებენ წესებს, დასაშვებ და მიუღებელ ქცევას და ა.შ. მათ იშვიათად ეკითხებიან აზრს და კიდევ უფრო იშვიათად ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს სერიოზული საკითხების გადაწყვეტისას. იმავდროულად, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც აშშ-ის გარდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული, აყალიბებს ბავშვის უფლებას, გამოთქვას აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც უკავშირდება მას. მათ მოსაზრებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად (მუხლი 12). კონვენციის 31-ე მუხლი კი აღიარებს ბავშვის უფლებას, „თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას". კონვენციის პრინციპების შესაბამისად, ზოგიერთ კულტურაში მზარდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა მოსაზრებებს და მათ ხმას. მაგალითად, ნორვეგიის საბავშვო ბაღებსა და სკოლებში გადაწყვეტილების მიღების, პოლიტიკის განსაზღვრისა და დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების ჩართვას, მათი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გაცნობასა და გათვალისწინებას.[4] სკანდინავიის სხვა ქვეყნებშიც აქტუალურია დებატები საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეების ეფექტური და რეგულარული ჩართვის შესახებ.

ესთეტიკა და ძალაუფლება

ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ რანსიერი ესთეტიკასა და ძალაუფლებას შორის კავშირს შეისწავლის. რანსიერის მიხედვით, ესთეტიკური რევოლუცია სათავეს მე-19 საუკუნის რომანტიზმიდან იღებს. ავტორი თვლის, რომ სწორედ ამ პერიოდში დასრულდა ესთეტიკური პროდუქტის აღქმისა და დაფასებისთვის განსაზღვრული წესების ეპოქა.

ფოტოს წყარო: http://www.metrokids.com/MetroKids/March-2011/Tour-amp-Explore-Art-Museums/

„...ესთეტიკური რევოლუცია გულისხმობს იდეას, რომ ნებისმიერი რამ წარმოადგენს მასალას ხელოვნებისთვის, ისე რომ, ხელოვნება აღარ არის მართული მისი თემით, იმით, რის შესახებაც ის საუბრობს: ხელოვნებას შეუძლია ერთნაირად ისაუბროს ყველაფრის შესახებ" (გვ. 205).

ამდენად, რანსიერის ესთეტიკური რევოლუციის კონცეფცია გულისხმობს, ერთი მხრივ, ესთეტიკური დისკურსის, მეორე მხრივ კი, ესთეტიკური პროდუქტის შემქმნელის/მომხმარებლის „ემანსიპაციას". მაგალითად, პირველი შემთხვევის ილუსტრირებისთვის რანსიერი განიხილავს მხატვრულ ლიტერატურას, რომელშიც თანაბარი

ყურადღება ეთმობა, ერთი შეხედვით, პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან საკითხებსა და გმირებს. მეორე შემთხვევაში კი ის განმარტავს, რომ ესთეტიკური წესებისა და სტანდარტების გაქრობის ფონზე ნებისმიერს შეუძლია იყოს ხელოვნების აღმქმელი და შემქმნელი.

> „ამის მტკიცებულებაა, რომ ირგვლივ ყველგან ლექსებია, ყველგან ნახატებია. ეს აგრეთვე უკავშირდება მთელი რიგი აღქმის ფორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ყველგან შევამჩნიოთ მშვენიერება. ეს გულისხმობს სილამაზის სრულ ანონიმიზაციას (მალარმეს „ორდინარული“ მშვენიერება). მე ვფიქრობ, ეს არის ყველაზე ძირეული – თანასწორობისა და ანონიმურობის იდეა“[5] (გვ. 205).

ესთეტიკური გათანაბრების და ანონიმურობის კონცეფციები შეგვიძლია ბავშვობის კულტურასაც მივუსადაგოთ. აღნიშნული საკითხები რელევანტურია ბავშვებისთვის, სოციალური ჯგუფისთვის, რომელსაც, როგორც წესი, მცირე ძალაუფლება გააჩნია საკუთარ ცხოვრებაზე. მაშინ, როდესაც ბავშვებს ბევრ სხვა სფეროში შესაძლოა „ხმა“ წართმეული ჰქონდეთ, ესთეტიკური გამოცდილება, თუ ის ზრდასრულთა ესთეტიკური გამოცდილების ღირებულებას გაუთანაბრდება, შესაძლოა მნიშვნელოვან გამაძლიერებელ ინსტრუმენტად იქცეს ბავშვების თვითრწმენის, თვითშეფასებისა და შემოქმედებითი განვითარებისთვის.

> ბავშვებისგან მოვითხოვთ „სწორად“ ხატვას, სიმღერასა და ცეკვას, მათი იმპროვიზებული და არანაკლებ ღირებული შემოქმედება კი ყურადღების მიღმა გვრჩება.



ნაშრომში „ემანსიპირებული მაყურებელი“ რანსიერი განიხილავს ძალაუფლების საკითხს თეატრის მაგალითზე. ის აკრიტიკებს მაყურებლის, როგორც დრამატული ნამუშევრის პასიური აღმქმელის ტრადიციულ როლს და ასკვნის, რომ ძალაუფლებრივი თანასწორობის მიღწევა მსახიობებსა და მაყურებლებს შორის შესაძლებელი ხდება მაყურებლის ემანსიპაციით, რომელიც აქტიურად გაიაზრებს, თარგმნის და განაახლებს მის მიერ აღქმულ სათქმელს.[6] პროცესში ამგვარი თანამონაწილეობა, ძალაუფლებრივი გათანასწორება ანუ გაძლიერება რელევანტურია ბავშვების კულტურაშიც. ხშირად ხელოვნებისა და, ზოგადად, ესთეტიკური პროდუქტის მიმართ ბავშვთა დამოკიდებულებები და მოსაზრებები უმნიშვნელოდ მიიჩნევა. ბავშვებისთვის დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ინტერპრეტირების შესაძლებლობების შექმნა აძლიერებს მათ და ხელს უწყობს ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.[7]

ბავშვების ესთეტიკური გამოცდილება როგორც გზა გაძლიერებისკენ

ბავშვების დრამატული თამაში ბევრი მახასიათებლით ჰგავს ზრდასრულთა თეატრს.[8] ის უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის ხშირი და საყვარელი საქმიანობაა. დრამატული თამაშის დროს ბავშვები გაწაფული მსახიობები არიან და იმავდროულად საჭიროებისამებრ იცვლიან თამაშის მონაწილის პერსპექტივას: რეჟისორს ანაცვლებს მსახიობი, დრამატურგი, კოსტიუმების დიზაინერი და სხვა. კორსაროს მიერ სხვადასხვა გარემოში განხორციელებული დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ბავშვების დრამატული თამაშები, როგორც წესი, ძალაუფლებისა და კონტროლის საკითხებს უკავშირდება. ბავშვები ირგებენ ზრდასრულთა როლებს და ამ გზით ძალაუფლებას იღებენ თა-

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

თეონა ბექიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ გარეშე დარჩენილები

მშობლის და სამშობლოს სიყვარულს არც ლაპარაკი სჭირდება და არც სწავლა, მაგრამ თუკი სამშობლო ღარიბია, არეულ-დარეული და შენთვის არ სცალია, შვილებს ის ხომ მაინც უნდა ვასწავლოთ, რაც მაგარი გაკეთებულა, როგორ აღიქვან, როგორ გაითავისონ და როგორ მიიღონ სიამოვნება.

მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა საქართველოზე დალაგებული, მდიდარი, წინ წასული. რადგან ესაა ჩვენი სამშობლო, ჩვენ ეს გვიყვარს, ეს გვეძვირფასება, მაგრამ მოდიან თაობები და მათთვის ჩვენი, საბჭოთა მონობაში დაბადებულების „ტყვე სამშობლოს“ მიმართ ნათქვამი გაცვეთილი ფრაზები უკვე ყალბი და უსუსურია. ისინი რაციონალურ კითხვებს სვამენ, ყველა შეგრძნებას მხოლოდ საკუთარ ტყავზე ცდიან და გიჩნდება სურვილი, თავი გაიმართლო, აქ რომ გააჩინე და მძიმე პასუხისმგებლობასთან ერთად, ამ პატარა ქვეყნის შვილობამ რომ არგუნათ, რაღაც სიტკბოებაც შესთავაზო, რაღაც საამაყო, რაღაც ისეთი, მსოფლიო ღირებულებაც რომ აქვს და თან ქართულია.

თხუთმეტიდან ოც წლამდე ასაკისას მეგობრებთან ერთად ხმამაღლა მცირედი შესვენებებით „ვეფხისტყაოსანი“ ალბათ 5-6-ჯერ მაინც წამიკითხავს. მახსოვს სიხარული, აღფრთოვანება და ყველაზე მთავარი, სიამოვნების განცდა. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი გვესმოდა, ამას, რაღა თქმა უნდა, ვერც დღეს დავიჩემებ, ვერც იმას ვიტყვი, იმ 90-იანებში ჩვენ ირგვლივ ყველა ამით იყო დაკავებული-მეთქი, მაგრამ ჩვენ რა გზითაც მივედით ამ სიამოვნებამდე, თანამედროვე ბავშვებისთვის ეს გზაც ნაკლებად არსებობს. ვისაც ცოტა მაინც გვიყვარდა ლიტერატურა, ბევრს ვკითხულობდით. მაშინ მეტი გასართობი არც იყო, თანაც რომ გვეტყოდნენ, მაგარიაო, გვჯერდა და მანამდე ვუკირკიტებდით, სანამ რამეს თუ ვერ გავიგებდით, რაღაცას ვიგრძნობდით მაინც.

ახლა უფრო ძნელია „ვეფხისტყაოსნამდე“ მისვლა. დღევანდელი ბავშვი გაცილებით კრიტიკულია, დროც ნაკლები აქვს (ამ ტექსტის მეცხრე კლასში სწავლებაც ძალიან საკამათოა, იქნებ ჯობს, უარი ვთქვათ ქართული ლიტერატურის სწავლების ქრონოლოგიურ პრინციპზე), ხშირად ქართულის მასწავლებელიც სცოდავს, ცუდად ხსნის, ბევრ საზეპიროს აძლევს, ის კი – ერთს რომ შეიძულებს, მერე ვეღარ ხვდება, რატომ უნდა მოიწონოს პოემა ვიღაც მტირალა კაცზე.

და ვაყრუებთ ბავშვებს, ყურებში ბამბას ვუცობთ და მერე ვუყვირით: – გაიგეთ, რა მაგარიაო! კიდევ კარგი, ხშირად ჰყოფნით გამბედაობა, დაგვცინონ. თორემ სიამოვნებით მოვიტყუებდით თავს, რომ ყველაფერი კარგადაა.

არადა, რუსთაველის პოემის სწავლებისას თავისუფლად შეიძლება თანამედროვე ადამიანის, მოქალაქის აღზრდა, თუკი ჩვენ თვითონ შეევცდებით დავინახოთ და მოვისმინოთ 21-ე საუკუნის „ვეფხისტყაოსანი“.

ავთანდილი და ტარიელი რომ ერთმანეთს „უცხოობით არ დაჰრიდებენ“ და პირველივე ნახვაზე გადაეხვევიან, თანამედროვე ადამიანისთვის გადარჩენის ნათელი მაგალითია, რადგან დღეს ის გაცილებით მარტოა.

გვახსოვს, როგორი მარტოები ვიყავით 14 წლისანი? მთელი სამყარო ჩვენი მტერი გვეგონა. ვჯანყდებოდით, მაგრამ მაინც უფრო ვგავდით ჩვენს მასწავლებლებს, მშობლებს, ბებია-ბაბუებსაც კი, ვიდრე ჩვენი შვილები – ჩვენ.

ესენი ჩვენზე მარტონი არიან. სწრაფად ვითარდება სამყარო, ჩვენ სულ სხვა ბავშვობა გვაქვს გამოვლილი, ესენი სულ სხვას ცხოვრობენ. თანავუგრძნობთ მათ ამ მარტოობაში?

დღეს ადამიანი შეძლებისდაგვარად თავისუფლდება და ნაკლებად ცხოვრობს მშობლების, მასწავლებლების, მეზობლების, ნათესავების კარნახით, მაგრამ გასაჭირშიც რომ აღარ დაუდგნენ გვერდით, სხვანაირი ხარო?! სოლიდარობა უცხოს მიმართ, – „ვეფხისტყაოსანში” ბევრი რამაა ამგვარ თემებზე სასაუბროდ. თუ მივეცით საშუალება, თვითონ იმსჯელონ საკუთარ მარტოობაზე, უცხოობაზე ილაპარაკონ, საკუთარ გასაჭირს მოჰყვნენ, თუ დავანახეთ, რომ მათი პრობლემები ჩვენთვის, თუნდაც ასაკით განსხვავებულებისთვის, მნიშვნელოვანია, იქნებ გვენდონ და ერთი ფარდა მაინც ჩამოვხსნათ „ვეფხისტყაოსანს”.

ქართულ ლიტერატურას ქმედითი ქალები აკლია. გენდერული პრობლემები ახალ თაობას ძალიან აინტერესებს. ვესაუბროთ მოსწავლეებს იმაზე, თუ ვისი ცნობისმოყვარეობითა და უკომპრომისობით იწყება ქმედება „ვეფხისტყაოსანში“. ეჭვი მაქვს, რუსთაველის სწავლებისას თინათინის როლი დიდწილად იჩქმალება.

დასასრული მომდევნო გვერდზე ▶

„ვეფხისტყაოსნის“ გარეშე დარჩენილები

წინა გვერდიდან

როსტევანს თავისი მეფური ღირსების აღდგენა ტყუილის ფასად უწევს, როცა საკუთარ თავს და ქვეშევრდომებს აჯერებს, რომ უცხო მოყმე მოჩვენებაა. ვალაპარაკოთ ბავშვები ადამიანებზე, რომლებიც თავს იტყუებენ. მივცეთ იმაზე მსჯელობის საშუალება, რაც თვითონ იციან. ტყუილს ხომ ჯერ კიდევ ჩვენზე მეტად გრძნობენ.

ერთ-ერთი ძლიერი გენდერული სტერეოტიპია, კაცი რომ არ უნდა ტიროდეს. თანამედროვე ფსიქოლოგია კარგად გვიხსნის, როგორ იქცევა აგრესიად შეკავებული გრძნობები. საზოგადოებაში, სადაც ქალი უფრო ჩაგრულია, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ბიჭებს უხარიათ, თუკი ეტყვი, რომ კულტურა მათზეც ძალადობს. რამდენი აღიარებს, რომ ტირილის უფლება მასაც აქვს? შეიძლება იმაზეც იმსჯელონ, ადრე სად და რისთვის იხარჯებოდა ეს აგრესია. თუ სწორად დავგეგმავთ, იქნებ ტარიელის ცრემლები, რომლებიც ხელს უშლით ხოლმე სიუჟეტის მიღებაში, პირიქით, მათთვის ყველაზე თანამედროვე, გასაგებ აქტად იქცეს. ცოტა ჰიპერბოლას დავიხმარებთ, ცოტა ენის ესთეტიკის ცვლილებებზე ვესაუბრებით და მათ კეთილგანწყობას მაინც მივაღწევთ, რომ არ შეეშინდეთ იმ ერთი შეხედვით განსხვავებული სამყაროსი, რომელიც „ვეფხისტყაოსანშია“ და რომელიც, თუ მოვინდომებთ, თავისუფლად შეგვიძლია თანამედროვე საკითხავად ვაქციოთ.

თუკი მოსწავლეებს დისკუსიას ვთავაზობთ, თუკი ვეკითხებით, როგორია მათი თვალით დანახული სამყარო და მათი ჩამონათვალი ბუნების მრავალფეროვნებიდან ადამიანებზე ვერ გადადის, ე. ი. მანამდე ძალიან დავაშავეთ, ძალიან დავაშინეთ და იქნებ „ვეფხისტყაოსნით“ მაინც ვასწავლოთ, რომ „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ თითოეული ადამიანის განსხვავებულობასა და თავისუფლებას ნიშნავს.

გიორგი კეკელიძე

დაგვიანებული ბოდიში

სამი მწვანე გვქონდა და ერთი სტაფილოსფერი. საახალწლოდ გვიყიდეს. მანამდეც ვაფეთქებდით. გამოზოგვით. სხვადასხვა მეთოდით – ბოთლში. სკოლის ქვეშ რომ სარდაფია, იქ. პარალელურ კლასელის კაპიუშონში. პიროტექნიკა. ასაფეთქებლები. მე შევაგდებ! – ვთქვი ოდნავი ყოყმანით, მაგრამ ამაყად. მანამდე ცოტა ვითათბირეთ. მეზობლებმა. ბავშვებმა. კაშუტიჩს, უბნის გიჟს, ავთო ცერცვაძეს, პირი ღია ჰქონდა და ისე ეძინა. დედამისი მეორე სართულზე წვებოდა. ეს – ქვევით, ტელევიზორთან, დაღლილ ტახტზე. თვითონაც დაღლილი. რაღაც უცხოთი. ეძინა კაშუტს. შეიძლება ის რუსი გოგო ესიზმრებოდა, ჯარში ყოფნისას, სადაც „გააგიჟეს“, როგორც ამბობდნენ. სოფელში წყლის დასალევად რომ შევიდნენ და ღუმელთან ოდნავ გაკვირვებული იჯდა – ის გოგო. შეიძლება ჭიდაობა, რომელსაც „გაგიჟდა“ და ვერ გაყვა. შეიძლება კარაქი ესიზმრებოდა. კარაქის ჭამა განსაკუთრებით უყვარდა. ან ყავა ხუთი კოვზი შაქრით. შეიძლება არაფერი ესიზმრებოდა. კაშუტს ეძინა. შევაგდე და კაშუტი გამოვარდა. ჩვენც გავვარდით. წამით მოვიხედე უკან, კაშუტიჩი იყურებოდა სადღაც გაურკვეველი მიმართულებით და მომეჩვენა, რომ ცახცახებდა. მესამე დღეს, სკოლიდან მომავალს, უცებ მითხრა: „არ გინდა ბუძია მაი შენ“. მივიღე უტიფარი სახე, „მე არ ვყოფილვარ, ავთოია“, – უნდა მეთქვა, მაგრამ სწრაფად ჩამიარა. მომეჩვენა, რომ ისევ ცახცახებდა. გუშინ კაშუტიჩი მომკვდარა. უბნის გიჟი. მე მინდა დაგვიანებული ბოდიში შევუთვალო. სიცოცხლეში ვერ შევძელი. რადგან ასე უფრო ადვილია, ავთოია. შენ ადვილად გამიგებ. იქ ისედაც ყველაზე უფრო შენ გესმოდა ჩემი.

ბაბუაჩემი სხვა რანგის კაცი გახლდათ. გარე-ამბებისა, სხვათა თვალის და საკუთარი რეპუტაციის დიდად დამკვირვებელი. სირცხვილიანი. მე კი ახირებული, საშინელი ბავშვი. აი, სამყარო მის ირგვლივ რომ ბრუნავს წაღმა-უკულმა და ხან ჩერდება კიდეც. ჰოდა, მე ერთი, საყმაწვილო ჰალსტუხი მქონდა, სიგრძეში ჩემთვისაც პატარა – საგანგებოდ. ავიჩემე და დიდი ომის შედეგად, რომელშიც მთელი ოჯახი ჩაერთო – პოზიცია/ოპოზიციად – არგუმენტებით: „ბაღანას ასე უნდა, რა მოხთება, ერთხელ ქენით!“ VS „ნუ გააბდლეთ ამხელა კაცი, რას მიდიხართ ყაზილარის ჭკუაზე“ – ბაღანამ გაიმარჯვა. მთელი გზა უყურებდა ბაბუაჩემს ორსანტიმეტრიანი ჰალსტუხით, გაწითლებული სახით, ზომაზე მეტად ხელზე მოჭერილი ხელით მივყავდი სკოლაში. ახლა ვხვდები, თუ როგორ რცხვენოდა და ითმენდა. ძალიან ითმენდა. ამისთვისაც ბოდიში.

ბებიაჩემი, ნათელა, სტუდენტობისას, როცა ზაფხულობით ჩავდიოდი, ჩემ გვერდით წვებოდა. ისევ პატარა ვეგონე – თაფლიანი კოვზით, ფეხები დაითბილეო, მეუბნებოდა ძილის წინ. ძილისას მის სუნთქვას ვაკვირდებოდი, ეგეთი აკვიატება ადრეც მქონდა – სიტყვებით ცოტა რთულად გამოდის ამის თქმა, რატომ. უფრო სწორედ, წაფილოსოფოსება გამოდის – ვაკვირდებოდი, იმიტომ რომ ვიცოდი, ადრე თუ გვიან შეწყდებოდა და წამისშეჩერების ამბავზე ვფიქრობდი და მსგავსი ფუჭი ამბები. ეს იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა. მასაც ვუყვარდი. ამის მიუხედავად, ხშირად მიწყენინებია. საშინლადაც. დღემდე ვნანობ – ერთხელ მეგობრებთან ერთად ვიყავი სურებში, ზაფხულში, თვითონც გვახლდა და ღამით ტუალეტისთვის რომ გავდიოდი, ბავშვობისას რომ მეუბნებოდა, ეგრე მითხრა: „გადააფსი ბებია ბალკონიდან, აფერი არ უჭირს“. იმხელა ვუყვირე, ახლაც ყურები მტკივა. და სინდისიც. თვითონ მეორე დღეს ცრემლი ედგა თვალში. არაფერი უთქვამს. ნათელა წლების წინ გარდაიცვალა. „გურული დღიურების“ წერა მის გამო დავიწყე. ახალ წელს ვულოცავ, სადაც არის – კვირიკეთის სასაფლაოზე თუ სამოთხეში. თუ სამოთხე არის, სამოთხეში იქნება.

მორალის მასწავლებლად მე ვერ გამოვდგები. ეს ბლოგი არ გახლავთ მოწოდება – „ბავშვებო, დროულად მოიხადეთ ბოდიში“. ალბათ ახლაც ვერ შევძლებდი, არ ვიცი, ვერ გეტყვით. ადამიანები უცნაური არსებები ვართ. სხვადასხვაგვარი. ამოუცნობი. ეს ბლოგი სხვა რამისკენ მოწოდებაა. ასევე კარგი რამისკენ. დაფიქრდებით და თქვენვე მიხვდებით.

უქმეებმა გადაიარა, შობის არდადეგებიც მოვილიეთ, სკოლაში დაბრუნების რთული და, ამავე დროს, სასიხარულო დღეებიც დაიწყო. ვიცი, ძალიან ძნელია, დილის ძილს, დასვენებას, საინტერესო წიგნების კითხვას, ოჯახის წევრებთან ერთად საახალწლო ეიფორიით ტკბობას თანდათანობით გადაეჩვიო და ისევ სასკოლო რუტინაში ჩაება.

ამ სტატიაში იმ რამდენიმე რესურსს გაგიზიარებთ, რომლებსაც თავი სწორედ საშობაო არდადეგებზე მოვუყარე და გაკვეთილებზე გამოყენებას ვაპირებ. ზოგიერთ წიგნს, საიტს, ელექტრონულ თუ სხვა სახის რესურსს გაგაცნობთ ან გაგახსენებთ.

მაშ ასე, მომყევით:

1. ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა / ბესარიონ ჯორბენაძე ; რედ. გიორგი გოგოლაშვილი. თბ., 1997

როდესაც მოსწავლეებთან ენობრივ საკითხებზე საუბარს ვიწყებთ, როგორც წესი, მათ ზოგჯერ ცინიკურ, წინასწარ უარყოფითად განწყობილ დამოკიდებულებას ვიღებთ – აუ, სერიები და მწკრივები, უღლება, ბრუნება, არ გეზარებათ, მას?

მაგრამ თუ კი ვისაუბრებთ ენაზე როგორც კულტურულ ფენომენზე, როგორც სტიქიაზე, როგორც ცოცხალ არსებაზე, როგორც ჩვენი ყოფიერების სახლზე, რომელიც ჩვენი ბედისწერაცაა, სისხლის შემადგენლობაც და ჰაერიც, რომელსაც ვსუნთქავთ, – მათი დამოკიდებულება აუცილებლად შეიცვლება და ერთი შეხედვით მოსაწყენ გრამატიკულ წესებსაც საინტერესო მხარეს და გამოყენებას უპოვიან.

შესანიშნავი ენათმეცნიერის ეს წიგნი მისი ლექციების ჩანაწერებს, ჩანიშნულ საკითხებს, იდეებს და გეგმებს მოიცავს, იგი მისმა მოსწავლეებმა შეადგინეს და ძალიან ბევრი საინტერესო აქტივობის განხორციელების სტიმულსაც მოგცემთ.

2. ციფრული ფოტომატიანე, ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი: http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3946

ეპოქას ხსნით? მწერლის ბიოგრაფიაზე საუბრობთ? ისტორიული თუ კულტურული კონტექსტი გაინტერესებთ? იქნებ ნაწარმოებში ასახული მხატვრული გამონაგონი უფრო ხელშესახები, უფრო ადვილად დასანახი გინდათ გახადოთ? იქნებ რომელიმე კონკრეტულ მწერალს ან მისი ნაწარმოების პროტოტიპს ეძებთ? მაშინ აუცილებლად უნდა ეწვიოთ ეროვნული ბიბლიოთეკის და ჯეოსელის ამ საოცარ ფოტოპროექტს, რომლისთვისაც უამრავი ფოტოს გაციფრება მოხდა პირადი არქივებიდან, საოჯახო ალბომებიდან თუ სხვადასხვა კოლექციიდან.

აქ სრულიად სასწაული და განსაკუთრებული ფოტოების პოვნა შეგიძლიათ. იქნებ რომელიმე მათგანი თქვენი მოსწავლეების თხზულების თემაც გახდეს, იქნებ მოთხრობის სიუჟეტიც შთაგაგონოთ ან სულაც ძალიან საინტერესო სასკოლო ღონისძიება დაგაგეგმვინოთ.

მოატანინეთ საოჯახო ალბომები თქვენს მოსწავლეებს და შექმენით კონკრეტულად თქვენი კლასის მოსწავლეების ციფრული ფოტომატიანე. ძალიან, ძალიან საინტერესო და სახალისო იქნება.

3. კომიქსი როგორც სწავლების საშუალება

არ გიფიქრიათ, რომ ნაწარმოების დასურათება, განსაკუთრებით – კომიქსად

დიანა ანფიმიადი

რამდენიმე რესურსი თქვენი საინტერესო გაკვეთილებისათვის

გარდაქმნა უფრო გაუადვილებს თქვენს მოსწავლეებს მის გაგებას თუ შეყვარებას? განსაკუთრებით დაბალ კლასებში ძალიან კარგი იქნება ეს აქტივობა: აიღეთ რომელიმე ქართველი მწერლის საპროგრამო ნაწარმოები და თქვენს მოსწავლეებთან ერთად დახატეთ, კომიქსად აქციეთ ის. თვალსაჩინოებად გამოგადგებათ რამდენიმე კლასიკური ნაწარმოების კომიქსები, მაგალითად, ასეთი:

http://www.shortlist.com/entertainment books/classic-literature-turned-into-comic-books

4. ლიტერატურული რუკა

იცოდით, რომ ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები და მათი სახლ-მუზეუმების შესახებ ინფორმაცია ერთ საიტზე შეგიძლიათ იპოვოთ?

http://www.pencenter.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8&Itemid=14

ნახეთ საქართველოს ლიტერატურული რუკა, გაიგეთ თქვენი საყვარელი მწერლების შესახებ მეტი.

5. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი

დარწმუნებული ვარ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ძალიან კარგად იციან ამ საოცარი წიგნის არსებობის შესახებ, სადაც გენიალური ქართველი პოეტი, გალაკტიონ ტაბიძე, ისეთივე ცოცხალია, ისეთივე აქტიურია, როგორიც თქვენი ნებისმიერი მოსწავლე საკლასო დისკუსიისას.

დღიურების, ჩანაწერების, არქივის და უამრავი სხვა მასალის გამოყენებით თავადაც შესანიშნავმა პოეტმა, ვახტანგ ჯავახაძემ, შექმნა წიგნი გალაკტიონზე, რომელიც ერთდროულად წიგნიცაა და ფილმიც, რომანიც და დოკუმენტური პროზაც.

სულ ახლახან ამ წიგნის ახალი, შევსებული ვერსია გამოიცა.

6. 50 ქალი საქართველოდან

ქალ ავტორებზე საუბარი გსურთ? თანასწორობასა და ქალთა უფლებებზე ყურადღების გამახვილება გინდათ? მაშინ ეს ლინკი აუცილებლად დაგეხმარებათ, 50 საინტერესო, განათლებული, განსაკუთრებული ქართველი ქალი მოღვაწის ბიოგრაფია თქვენს გაკვეთილებს სრულიად სხვა მიმართულებას მისცემს:

http://www.feminism-boell.org/ka/kategoriebi/kalta-muzeumi

წარმატებას გისურვებთ!



ელიზბარ ელიზბარაშვილი

ტაუტომერია

რაც იყო, რაც არის და რაც მომავალში იქნება – ყველაფერი კანონზომიერია. შემთხვევითობა არ არსებობს. დაბადება და სიკვდილი, შენება და ნგრევა, მშვიდობა და ომი, ბედნიერება და ტკივილი, ცივილიზაციათა აღმოცენება-აღზევება თუ მათი დაქცევა-გადაშენება კანონზომიერია – თითოეული მათგანი რაღაც კანონს ემორჩილება. მთელი ჩვენი კვლევა-ძიება თუ რელიგიები ამ კანონზომიერებების ჩაწვდომისათვის არის მომართული. მრავალსაუკუნოვანი დაუღალავი წვალების შედეგად რამდენიმეს მივაგენით კიდეც და საქვეყნოდ დასანახად დიდი ზარ-ზეიმით სცენაზე გამოვფინეთ, მაგრამ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ იდუმალების ფარდის უკან, ღრმა ტალანებშია მიმოფანტული...

კანონებს ჩვენ არ ვქმნით. ეს კანონები სამყაროს გაჩენამდე შეიქმნა და თვით სამყარო ამ კანონებით შექმნეს. ნიუტონმა, ფარადეიმ, ლავუაზიემ თავის დროზე სწორედ ამ ბნელ ტალანებში ხეტიალისას იპოვეს „თავიანთი“ კანონები, ისტორიის მტვერი ჩამოაცილეს, დავარცხნ-გაასუფთავეს და საზეიმოდ გამოდგეს სცენის განათებულ ნაწილში ჩვენს დასანახად... მაგრამ ჯერ კიდევ უამრავი მოვლენაა ჩვენს გარშემო, რომელსაც ვერც ერთი ჩვენთვის ცნობილი კანონით ვერ ვხსნით და ჩვენი დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობის დასაოკებლად „დაუწერელი“ კანონის ცნება შემოვიღეთ...

ქიმიაში ბუტლეროვისა და სხვათა დანატოვარი კანონების თანახმად, ორგანული ნაერთის მოლეკულის აგებისას რამდენიმე მარტივი წესით (კანონით) თუ ვისარგებლებთ, სტრუქტურის დაწერა ბურთების ერთმანეთთან ჩხირებით შეერთების თამაშად შეიძლება იქცეს – ამოცანად, რომლისთვის თავის გართმევას საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვიც შეძლებს. თუმცა შეცდომის თავიდან ასაცილებლად რამდენიმე დაუწერელი (უფრო სწორად, ჯერ ვერ დაწერილი) კანონიც უნდა გავითვალისწინოთ.

ნახშირბადატომებს შეუძლიათ განუსაზღვრელი რაოდენობით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ჯაჭვში ჩართონ ორი ან მეტი ვალენტობის ელემენტები, გარე „ორბიტაზე“ კი წყალბადატომები გაცვალონ ნებისმიერ ელემენტზე ნებისმიერი რაოდენობით (თეორიულად მაინც). ავიღოთ, მაგალითად, რამდენიმე ნახშირბადის, წყალბადისა და ჟანგბადის ატომი. მათი ერთმანეთთან შეერთებისას უზენაესი კანონია ვალენტობა: ნახშირბადატომი ყოველთვის ოთხ ელემენტს უნდა უკავშირდებოდეს, ჟანგბადი-ორს, ხოლო წყალბადი – ერთს:













მაგრამ არ შეიძლება დავწეროთ (ავაგოთ) ისეთი სტრუქტურა, რომელშიც ჰიდროქსილის ჯგუფი და ორმაგი ბმა ერთსადაიმავე ნახშირბადატომთან იქნება ჩანაცვლებული:

ასეთი ნაერთი მაშინვე უნდა გადაჯგუფდეს – გარდაიქმნას სხვა ნივთიერებად:

ვინ ან რა კრძალავს ამ ორი ფუნქციური ჯგუფის ერთად ყოფნას, ჯერჯერობით ნათლად ბოლომდე ვერ ჩავწვდით, თუმცა მოვლენას კი მივანიჭეთ სახელი ტაუტომერია. სწორედ ამ აკრძალვის შედეგია, ალკინებზე წყლის მოქმედებით სპირტები რომ არ მიიღება არასოდეს...

ვერ აგიხსენით ტაუტომერიის არსი მთლად გასაგებად? მას სამოქალაქო საზოგადოებაში ინტერესთა კონფლიქტი ეწოდება...

მაშში გამოგონებულ სიტუაციებზე. დრამატულ თამაშებში ძალაუფლება გამოიხატება როგორც ძლიერი ზრდასრულების როლების გათამაშებით, ასევე ძალაუფლებრივი თვალსაზრისით სუსტი პერსონაჟების დაუმორჩილებელი ქცევის თამაშით. კორსარო აღნიშნავს, რომ ბავშვებს „სურთ, თავად შექმნან და ემოციურად გაიზიარონ ის ძალაუფლება და კონტროლი, რომელსაც ზრდასრულები ფლობენ“[8] (გვ. 115). დრამატულ თამაშში ძალაუფლების თემის დომინანტურობა მიუთითებს მის მნიშვნელობაზე ბავშვების კულტურაში. ამ როლების გათამაშება მათ რეალური ძალაუფლების განცდას უმყარებს.

ნორვეგიელი მკვლევარის, იან სვერ კნუდსენის კვლევები იმპროვიზებულ ვოკალიზაციებს გამოყოფს, როგორც გაძლიერებისთვის ბავშვების მიერ გამოყენებულ ერთ-ერთ ესთეტიკურ სტრატეგიას.[9] იმპროვიზებული ვოკალიზაციები ხშირია ბავშვების კულტურაში. ასეთებია, მაგალითად, თამაშ-თამაშით სპონტანური ღიღინი, მელოდიური ფრაზების დაუსრულებელი გამეორება ან ნაცნობი სიმღერების ახლებური, შემოქმედებითი ვერსიების შექმნა. გარდა იმისა, რომ იმპროვიზებული ვოკალიზაცია საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობების შესწავლის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს განწყობის შექმნას, ის კომუნიკაციურ როლსაც ასრულებს. საუბრისას იმპროვიზებული ვოკალიზაციების დამატება ბავშვების სათქმელს მეტ ძალას, ინტენსიურობასა და შინაარსს სძენს. მეტიც, იმპროვიზებული ვოკალიზაციები ზოგჯერ შეიძლება გავიაზროთ, როგორც „ძალაუფლების, სტატუსის, შეჯიბრის ან სუფთა სიხარულის კომუნიკაცია“. ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული დრამატული თამაშების შემთხვევაში, იმპროვიზებული ვოკალიზაციების საშუალებით ბავშვები ხელს უწყობენ და აძლიერებენ თავიანთ კულტურას.

ხელოვნების მუზეუმები ის სივრცეა, რომელიც ესთეტიკური გზებით ბავშვების გაძლიერების საშუალებას იძლევა.კვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვები ადრეული ასაკიდანვე წარმატებით და კომპეტენტურად ართმევენ თავს ხელოვნების მუზეუმის გიდობას. გამოცდილების სიმწირისა და მხოლოდ მინიმალური ინსტრუქციების ფონზე ბავშვებით წარმატებით ითვისებენ მუზეუმის გიდის როლს და პროცესს საკუთარი უნიკალური გამოცდილებითა და შეხედულებებით ამდიდრებენ. ასეთი გამოცდილება სასარგებლო არა მხოლოდ ბავშვებისთვისაა, არამედ ზრდასრულებისთვისაც, რომლებსაც შესაძლებლობა ეძლევათ, ბავშვების საინტერესო პერსპექტივის გაზიარებით გაიფართოვონ თვალსაწიერი.

ზემოთ მოყვანილი პირველი ორი მაგალითი განიხილავს ბავშვების მიერ გაძლიერების მცდელობას ესთეტიკური ფორმების საშუალებით. მესამე მაგალითი კი აღწერს ბავშვების გაძლიერების შესაძლებლობებს სპეციალურად შექმნილ სიტუაციასა და გარემოში, სადაც ბავშვებს ესთეტიკური გამოცდილების მიღების საშუალება ეძლევათ ძალაუფლებრივი, ზრდასრულების მიერ დომინირებული როლის განხორციელების გზით. ასეთი სიტუაციები ქმნიან გარემოს, სადაც ბავშვებს უსმენენ და მათი მოსაზრებები ღირებულია. აღნიშნული საკითხები წინ სწევს ხელოვნების სფეროში ბავშვების მონაწილეობის უფლების საკითხს, რომელიც უფრო და უფრო აქტუალური ხდება. თუკი ხელოვნება იძლევა გაძლიერების საშუალებას, მაშასადამე, მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროში ბავშვების ხმა მოსმენილ იქნას. ესთეტიკის ანონიმურობისა (ესთეტიკური განცდის გამომწვევი შესაძლოა იყოს ნებისმიერი ობიექტი) და ესთეტიკური თანასწორობის ცნებები (ესთეტიკური განცდები შესაძლოა განიცადოს ნებისმიერმა) გვთავაზობს პერსპექტივას, რომელიც ბავშვების ხელოვნებასა და კულტურულ პროდუქტს ზრდასრულთა პროდუქტის თანასწორად წარმოაჩენს. მნიშვნელოვანია კულტურული და საგანმანათლებლო სივრცეების გამოყენება, რათა ბავშვებს მიეცეთ გამოცდილების მიღების, საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვის, გაძლიერებისა და შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში (მუსიკა, სახვითი ხელოვნება, თეატრი). მაშინ, როდესაც რიგ ქვეყნებში (მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები) ასეთმა პრაქტიკამ წარმატებით მოიკიდა ფეხი, ბევრ ქვეყანაში ხელოვნების სფერო, სამწუხაროდ, ბავშვთა „ემანსიპირებისთვის“ არ გამოიყენება. აქ ყურადღება ექცევა, ტრადიციულად, ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში გარკვეული უნარ-ჩვევების და პრინციპების დაუფლებას. ასეთი დამოკიდებულება საქართველოშიც ხშირია: ბავშვებისგან მოვითხოვთ „სწორად“ ხატვას, სიმღერასა და ცეკვას, მათი იმპროვიზებული და არანაკლებ ღირებული შემოქმედება კი ყურადღების მიღმა გვრჩება.

შენიშვნები:

1 Corsaro, W.A. (2003). *We're friends right? Inside kids' cultures.* Washington, D.C.: Joseph Henry Press.

2 Weier, K. (2004). Empowering young children in art museums: letting them take the lead. *Contemporary Issues in Early Childhood, 5* (1), 106-116.

3 Corsaro, W. A. (1993). Interpretive reproduction in children's role play. *Childhood, 1*, 64-74.

4 Bae, B. (2010). Realizing children's right to participation in early childhood settings: some critical issues in a Norwegian context. *Early Years: An International Journal of Research and Development, 30* (3), 205-218.

5 Hallward, P. (2003). Politics and aesthetics. An interview with Jacques Ranciere. *Angelaki Journal of Theoretical Humanities 8* (2), 191-211

6 Ranciere, J. (2009). *The emancipated spectator*. London, UK.: Verso.

7 Prentice, R. (2000). Creativity: a reaffirmation of its place in early childhood education. *Curriculum Journal, 11* (2), 145-158.

8 Guss, F. (2005). Reconceptualizing play: aesthetic self-definitions. *Contemporary Issues in Early Childhood, 6* (3), 233-243

9 Knudsen, J.S. (2008). Children's improvised vocalizations: learning, communication, and the technology of the self. *Contemporary Issues in Early Childhood, 9* (4), 287-296

ქეთევან ოსიაშვილი

სასკოლო შფოთიანობა და მისი გავლენა ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე

ემოციური მდგრადობა და სტაბილურობა ნებისმიერი საქმის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ემოციურ წონასწორობასა და სულიერი კომფორტის განცდას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო პერიოდში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსწავლის ქცევითი და სასწავლო პრობლემების ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობად მის ემოციურ ცხოვრებაში მომხდარი სერიოზული ცვლილებები იქცევა ხოლმე.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბავშვის ემოციური არამდგრადობისა და არასტაბილურობის სხვადასხვა ფორმას გამოყოფენ. ბავშვის განცდები და შიშები, რომლებიც სასკოლო ცხოვრებას უკავშირდება, შეიძლება ძალიან ინტენსიური და მდგრადი გახდეს. ასეთ ემოციურ დარღვევებს სპეციალისტები სხვადასხვანაირად იხსენიებენ.

ტერმინი **სასკოლო ნევროზი** გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსწავლეს აღენიშნება „უმიზეზო“ პირღებინება, ტემპერატურის მომატება, მუცლისა და თავის ტკივილები და, ამასთან, ეს ყველაფერი – დილაობით, როცა ბავშვის სკოლაში წასვლის დრო ახლოვდება. არდადეგების პერიოდში და უქმე დღეებში ეს სიმპტომები რატომღაც ქრება.

სასკოლო ფობია აღნიშნავს სკოლასთან დაკავშირებული შიშის უკიდურეს ფორმას. მას შესაძლოა არც კი ახლდეს სხეულებრივი სიმპტომები, მაგრამ სამედიცინო ჩარევის გარეშე მისგან გათავისუფლება ძნელია.

ემოციური არამდგრადობის შედარებით მსუბუქ ფორმას წარმოადგენს **სასკოლო შფოთიანობა**.

სასკოლო შფოთიანობა – ეს არის ემოციური არაკეთილდღეობისა და დისკომფორტის განცდა, რომელიც დაკავშირებულია რაღაც ცუდის, არასასიკეთოს მოლოდინთან, წარუმატებლობისა და ხიფათის წინათგრძნობასთან.

შფოთვა და მღელვარება ამა თუ იმ დოზით მუდამ თან სდევს ბავშვის სასწავლო საქმიანობას ნებისმიერ, თვით საუკეთესო სკოლაშიც კი. უფრო მეტიც – ადამიანის აქტიური შემეცნებითი საქმიანობა ყოველთვის ერთგვარი მღელვარებისა და შფოთვის ფონზე მიმდინარეობს, რაც ბუნებრივია. ბავშვში შფოთვის, მღელვარების სრული არარსებობა სიგნალი უნდა იყოს პედაგოგებისა და მშობლებისთვის. სასწავლო საქმიანობაში ყოველგვარ შფოთვას და მღელვარებას მოკლებულნი არიან უზრუნველი, დაუდევარი და ინფანტილური ბავშვები, რომლებსაც სასწავლო მოტივაცია არ გააჩნიათ.

შფოთვა სასწავლო პროცესში წარმატების აუცილებელ პირობასაც კი წარმოადგენს. თუმცა, არცთუ იშვიათად, საქმე გვაქვს შფოთვის დესტრუქციულ გამოვლენასთან. ეს მაშინ, როცა შფოთვა დეზორგანიზებას უწევს ბავშვის საქმიანობას და სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მას წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. ამ დროს ბავშვს ცუდის, არასასიკეთოს მოლოდინი უჩნდება. შფოთიანი ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან წარუმატებლობის მიმართ და მწვავედ რეაგირებენ მასზე. ავადმყოფურად ეშინიათ მარცხის და ხშირად უარს ამბობენ იმ დავალებებზე, რომელთა შესრულებისას სირთულეებს განიცდიან – ამით ისინი მარცხის თავიდან აცილებას ცდილობენ.

სასკოლო შფოთიანობის უარყოფითი შედეგები ხშირად იმითაც ვლინდება, რომ ინტელექტუალურ განვითარებაზე ზემოქმედებით არასასურველ გავლენას ახდენს დივერგენტულ (კრეატიულ, შემოქმედებით) აზროვნებაზე, რომლისთვისაც აუცილებელია ისეთი პიროვნული თვისებები, როგორებიცაა გამბედაობა, სითამამე, შიშის უქონლობა სიახლეებთან შეხვედრისას.

შფოთიან ბავშვებს აქვთ მავნე, ნევროზული ხასიათის ჩვევებისადმი (ფრჩხილების კვნეტა, თითის წოვა, თმების წიწკვნა-ამოგლეჯა, ონანიზმი) მიდრეკილება. საკუთარი სხეულით მანიპულირება ამცირებს ასეთი ბავშვების ემოციურ დაძაბულობას და ამშვიდებს მათ.

მართალია, სასკოლო შფოთიანობა ემოციური არამდგრადობის შედარებით მსუბუქი ფორმაა, მაგრამ ის შეიძლება გადაიზარდოს

უფრო რთულ ფორმებში და ნევროზის ერთ-ერთ წინაპირობადაც იქცეს. ამდენად, აუცილებელია მუშაობა მის დასაძლევად.

საკორექციო მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს შფოთიანობის მიზეზი, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია.

სასკოლო შფოთიანობის მიზეზებია:

- ბავშვის თანდაყოლილი, ნერვულ-ფსიქიკური ორგანიზაციის ბუნება;
- მშობლების გადაჭარბებული მოთხოვნები და ზედმეტი სიმკაცრე („ყველაფერი უნდა გაკეთდეს საუკეთესოდ"; „კარგად სწავლა მხოლოდ უმაღლესი ქულების მიღებას ნიშნავს");
- სწავლების სისტემისა და მასწავლებლის დამოკიდებულების თავისებურებანი;
- მუდმივი სტრესი და სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებიდან მიღებული ნეგატიური ინფორმაციის ნაკადის უარყოფითი ზემოქმედება ბავშვის ფსიქიკაზე;
- მშობლების ჰიპერმზრუნველობა, ზედმეტი მღელვარება და შიში, რაიმე არ დაემართოს მათ შვილს;
- სკოლის ხშირი ცვლა და ახალ პირობებსა და თანაკლასელებთან გართულებული სოციალური ადაპტაცია. სოციალური დამოკიდებულებების ცვლილება ბავშვისთვის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს;
- სასკოლო ცხოვრების დასაწყისში სკოლაში სწავლისთვის მზაობის არასათანადო დონე;
- სწავლისთვის საჭირო ინტელექტუალური ბაზის დეფიციტი;
- ოჯახური პრობლემები;
- აღზრდის მოუქნელი, დოგმატური სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, უნარებსა და მიდრეკილებებს;
- ბავშვის იძულებითი, ძალდატანებითი მონაწილეობა ისეთ საქმეებში, რომლებიც არ აინტერესებს;
- ორიენტაცია ნიშანზე და არა შემეცნების პროცესზე;
- ოჯახისა და სკოლის მიერ ბავშვის მიმართ წაყენებული მოთხოვნების წინააღმდეგობრივი ხასიათი და შეუთავსებლობა;
- წინააღმდეგობა მშობლების პრეტენზიების მაღალ დონესა და ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს შორის;
- პატივისცემის, ყურადღების, აღიარებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა;
- მუდმივი ცვლილებები გარე სამყაროში, ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევა;
- აღზრდის ავტორიტარული სტილი, მოთხოვნებისა და შეფასებების არათანამიმდევრულობა;
- დიდი მოცულობის დავალებები და ბავშვის შიში, რომ თავს ვერ გაართმევს მათ;
- დროის მცირე მონაკვეთში განმეორებადი შეფასებით-საგამოცდო სიტუაციები.

ევროპული სკოლის IV-IX კლასებში ბავშვთა ემოციური მდგომარეობის შესასწავლად ფსიქოლოგიური კვლევა ჩატარდა. კვლევაში 216-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. კვლევა ტარდებოდა ფილიპსის სასკოლო შფოთიანობის კითხვარით, რომელიც სტანდარტიზებულ ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდიკას წარმოადგენს და საშუალებას იძლევა, შევაფასოთ არა მხოლოდ დონე სასკოლო შფოთიანობის, არამედ სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული შფოთვის განცდების თავისებურებანი, გამოვყოთ ფაქტორები, რომლებიც დომინანტურ როლს ასრულებს ემოციური არამდგრადობის აღმოცენებაში.

სასკოლო შფოთიანობის ძირითადი ფაქტორების შინაარსობრივი დახასიათება:

1. **ზოგადი შფოთიანობა სკოლაში** – ბავშვის ზოგადი ემოციური მდგომარეობა, დაკავშირებული სკოლის ცხოვრებაში მისი ჩართულობის სხვადასხვა ფორმასთან;
2. **სოციალური სტრესის განცდა** – ბავშვის ემოციური მდგომარეობა, რომლის ფონზეც ვითარდება მისი სოციალური კონტაქტები (პირველ რიგში, თანატოლებთან);
3. **წარმატების მოთხოვნილების ფრუსტრაცია** – არახელსაყრელი ფსიქიკური ფონი, რომელიც საშუალებას არ აძლევს ბავშვს, დაიკმაყოფილოს წარმატების მოთხოვნილება მაღალი შედეგების მიღწევით და ა.შ.
4. **თვითგამოხატვის შიში** – უარყოფითი ემოციური განცდები ისეთ სიტუაციებში, სადაც საჭიროა საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა;
5. **ცოდნის შემოწმების შიში** – ნეგატიური დამოკიდებულება და შიშის განცდა სიტუაციებში, სადაც მოწმდება ბავშვის ცოდნა, მიღწევები, შესაძლებლობები (განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს საჯაროდ ხდება);
6. **შიში, რომ ვერ გაამართლებს გარშემო მყოფთა მოლოდინს**, ორიენტაცია სხვათა შეხედულებებსა და აზრებზე საკუთარი შედეგების, ქცევებისა და აზრების შეფასების დროს, შფოთვა იმ შეფასებების გამო, რომელსაც სხვებისგან იღებს, რადგანაც მუდმივად უარყოფითი შეფასების მოლოდინშია;
7. **დაბალი ფიზიოლოგიური მდგრადობა სტრესის მიმართ** – ფსიქოფიზიოლოგიური ორგანიზაციის თავისებურება, რომელიც ხელს უშლის ბავშვს, შეეგუოს სტრესოგენული ხასიათის სიტუაციებს და ზრდის არაადეკვატური, დესტრუქციული რეაგირების ალბათობას შფოთვის შემცველ გარემო ფაქტორებზე;
8. **მასწავლებლებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები და შიშები** – სკოლაში უფროსებთან ურთიერთობისას საერთო ნეგატიური ფონის არსებობა, რაც აქვეითებს მოსწავლის აკადემიურ წარმატებას.

კვლევის შედეგად მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა როგორც ცალკეული მოსწავლეების შფოთიანობის დონე, ასევე კლასების მიხედვით მოსწავლეთა ჯგუფებში არსებული მდგომარეობაც. რაც შეეხება სკოლის საერთო მაჩვენებელს, ის ქვემოთ დიაგრამის სახით არის წარმოდგენილი:

> **პიროვნების ფორმირება სკოლისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს და სასწავლო პროცესიც ისე დაიგეგმოს, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში სერიოზულმა პრობლემებმა არ იჩინოს თავი.**

დიაგრამა

გამოკვლევაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა:
სულ 216 მოსწავლე (120 ბიჭი და 96 გოგო)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რვა ფაქტორიდან არც ერთის მიხედვით არ აჭარბებს სასკოლო შფოთიანობის მაღალი და მომატებული დონე ნორმალურს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სასკოლო შფოთიანობის მაღალი დონის მქონე თუნდაც ერთმა ბავშვმა შეიძლება საგრძნობლად შეცვალოს ფსიქოლოგიური კლიმატი კლასში და სასწავლო-საგაკვეთილო პროცესს სერიოზული პრობლემებიც კი შეუქმნას, აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება იმ ფაქტორებზე, რომლებიც დომინანტურ როლს ასრულებს ცალკეულ მოსწავლეებში შფოთიანობის დონის მომატებაში. როგორც გამოკვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, ჩვენს მოსწავლეებში შფოთიანობის გამომწვევ ფაქტორებს შორის დომინანტურია: მეოთხე (ცოდნის შემოწმების სიტუაციის შიში), მეხუთე (თვითგამოხატვის შიში) და მერვე (მასწავლებლებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები და შიშები) ფაქტორები (იხ. დიაგრამა).

ცოდნის შემოწმების სიტუაციის შიში – იმ მოსწავლეებს, რომელთა შფოთიანობასაც აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს (მომატებული დონე – 26%-თან, მაღალი დონე – 11%-თან), მიაჩნიათ, რომ მასწავლებლები მათ ზედმეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, რის შედეგადაც შესაძლოა უარყოფითად შეაფასონ ისინი. ნეგატიური შეფასებები კი, თავის მხრივ, ძალიან მტკივნეულია მოზარდებისთვის და საფრთხეს უქმნის მათ მდგომარეობას თანატოლთა შორის, მათ თვითშეფასებას. ამასთან ერთად, ამ მოსწავლეებს იმდენად აკლიათ საკუთარი თავის, საკუთარი ცოდნისა და ძალების რწმენა, რომ მხოლოდ მოლოდინიც კი ცოდნის შეფასებისა მათში მღელვარებას და შფოთვას იწვევს. მასწავლებელთან ურთიერთობა ასეთი ბავშვებისათვის მხოლოდ ნეგატიური ემოციებით არის დატვირთული.

თვითგამოხატვის შიში – კვლევის შედეგებში ეს ფაქტორი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი (მომატებული დონე აღირიცხა გამოკითხული მოსწავლეების 26%-თან, მაღალი დონე – 10%-თან). ის ბავშვები, რომელთათვისაც შფოთიანობის მიზეზი თვითგამოხატვის შიშია, უარყოფით ემოციებს განიცდიან ისეთ სიტუაციებში, სადაც თავი სხვებს უნდა წარუდგინონ. ეს, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ ისინი საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ საკუთარ თავს, მაგრამ იმავდროულად უკიდურესად ეგოცენტრულები არიან და თავი „სამყაროს ცენტრად" მიაჩნიათ. თვითაღქმის ეს წინააღმდეგობრიობა საშუალებას არ აძლევს მათ, ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი თავი და სათანადოდ წარდგნენ გარშემო მყოფთა წინაშე. მეორე მხრივ, ამ ასაკში ბავშვი ხშირად განიცდის ისეთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც არ ესმის და რცხვენია, ამიტომ უჩნდება მისწრაფება, ჩაიკეტოს, დაუმალოს თავისი შინაგანი სამყარო გარშემო მყოფებს.

მასწავლებლებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები და შიშები – გამოკვლევაში მონაწილე მოსწავლეთა 4%-თან სასკოლო შფოთიანობის დონეს მაღლა სწევს მასწავლებლებთან ურთიერთობა – მათ მიერ ბავშვის ცოდნის შემოწმება, კომენტარები და ქულებით გამოხატული შეფასებები. როგორც დიაგრამიდან ჩანს, მომატებული დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 36% – სწორედ აღნიშნულ ფაქტორთან ფიქსირდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასწავლებელთან ურთიერთობა და მისი შეფასებების მოსმენა ბავშვისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნულ ურთიერთობაში არსებული პრობლემები საკმაოდ მაღლა სწევს სასკოლო შფოთიანობის დონეს. კვლევაში მონაწილე მოსწავლეების 60%-ს მასწავლებლებთან ურთიერთობაში არავითარი განსაკუთრებული პრობლემა და შიში არ აქვს, მათთვის ეს ურთიერთობა საკმაოდ იოლად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ საკორექციო პროგრამა ცალკეულ ბავშვებთან შფოთიანობის დონის შესამცირებლად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფსიქოლოგის მიერ ჩატარებულ საკორექციო მუშაობას თან უნდა ახლდეს სერიოზული ცვლილებები ბავშვის პედაგოგებთან, მშობლებსა და თანატოლებთან ურთიერთობაში. ამ მიზნით მომზადდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პედაგოგებისა და მშობლების მიერ საგრძნობლად შეამცირებს შფოთიანობის დონეს ცალკეულ ბავშვებთან. ამასთან, აღნიშნული რეკომენდაციების გამოყენება მუშაობის პროცესში პროფილაქტიკის კუთხითაც დიდ დახმარებას გაგვიწევს.

რეკომენდაციები სასკოლო შფოთიანობის შესამცირებლად

- მივიღოთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის. ის უნდა გრძნობდეს, რომ მას იღებენ და აფასებენ იმისგან დამოუკიდებლად, როგორ იქცევა და როგორ სწავლობს. ბავშვის უპირობო მიღება შფოთიანობის შემცირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.
- შევუქმნათ ბავშვს სათანადო პირობები და დავეხმაროთ წარმატების მიღწევაში, გავუჩინოთ წარმატებულობის განცდა.
- მოვერიდოთ ბავშვის სასწავლო შედეგების შედარებას წარმატებულ თანაკლასელთა მიღწევებთან. თითოეული მოსწავლის სასწავლო შედეგები უნდა შევადაროთ მხოლოდ მის ადრინდელ შედეგებს და შევაქოთ იმისთვის, რომ ადრინდელთან შედარებით უკეთესად შეასრულა სამუშაო.
- ნამუშევრების შეფასების დროს, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რაც კარგად არის გაკეთებული, მერე კი გამოვთქვათ კონკრეტული მითითებები იმის თაობაზე, რა არის გასაუმჯობესებელი. მნიშვნელოვანია, დავეყრდნოთ მოსწავლეების ძლიერ მხარეებს.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბავშვის ემოციური არამდგრადობისა და არასტაბილურობის სხვადასხვა ფორმას გამოყოფენ. ბავშვის განცდები და შიშები, რომლებიც სასკოლო ცხოვრებას უკავშირდება, შეიძლება ძალიან ინტენსიური და მდგრადი გახდეს. ასეთ ემოციურ დარღვევებს სპეციალისტები სხვადასხვანაირად იხსენიებენ.

- ნუ დავუშვებთ, რომ ბავშვი საკუთარ წარუმატებლობაში ჩაიკეტოს. მას აუცილებლად სჭირდება ისეთი არასასწავლო საქმიანობა, რომელშიც თვითდამკვიდრებას შეძლებს, ეს კი მოგვიანებით მის სასკოლო საქმიანობაზეც პოვებს ასახვას. რაც უფრო მეტად არის მიჯაჭვული ბავშვი სკოლას, მით უფრო მეტად უჭირს სასკოლო წარმატების მიღწევა.
- ძალიან მნიშვნელოვანია, დავანახვოთ და ვაგრძნობინოთ ბავშვს, რომ ჩვენთვის მისი მიღწევები და წარმატებები საკმაოდ მაღალი ღირებულების მატარებელია.
- ბავშვს, რომელიც გამუდმებით განიცდის მარცხს, უბრალოდ ხშირი შექება და ნაკლები საყვედური კი არ სჭირდება, არამედ შექება სწორედ მაშინ, როცა რაღაცას გააკეთებს (და არა მაშინ, როცა პასიურად ზის და ხელს არავის უშლის).
- ხანდახან უმჯობესია, თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ ბავშვს დავალებები სრულყოფილად არ აქვს შესრულებული, თუ ვიცით, რომ, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უკეთესად შესრულება არ შეეძლო.
- მოვერიდოთ მოსწავლის მუშაობის ტემპის, პიროვნული თვისებების, მეხსიერების, ყურადღების, აღქმის თავისებურებების, მოქმედების ტემპის შეფასებას.
- ვერიდოთ შფოთიანი ბავშვების გამოკითხვას გაკვეთილის დასაწყისში ან გაკვეთილის ბოლოს.
- არა უფრო მეტი, არამედ უფრო ეფექტიანად. დამატებითი დავალებების რაოდენობა ვერ გააუმჯობესებს მდგომარეობას, თუკი არ დავუკვირდებით, რა უჭირს თითოეულ ბავშვს და არ მივცემთ მას ისეთ დავალებებს, რომლებიც ეფექტიანად დაეხმარება მას ამ სირთულეთა დაძლევაში.
- ნუ დავაჩქარებთ ასეთ ბავშვებს დავალების შესრულების დროს. დაჩქარების გარეშე შესრულებული დავალება, განურჩევლად იმისა, გამოუვა თუ არა, მას შფოთიანობისთვის თავის გართმევაში დაეხმარება.
- მკაცრად ვაკონტროლოთ ჩვენი ემოციები შფოთიან ბავშვებთან ურთიერთობისას, ვინაიდან ბავშვის შფოთიანობა ბევრად არის დამოკიდებული გარშემო მყოფი ადამიანების შფოთიანობის დონეზე.
- დავეხმაროთ შფოთიან ბავშვს, გადალახოს დაურწმუნებლობა საკუთარ თავში. ამ კუთხით კარგ სამსახურს გაგვიწევს გულწრფელი შექება. ამასთან, ბავშვმა უნდა იცოდეს, რისთვის შეაქეს. სურვილის შემთხვევაში შექების მიზეზი ყველაზე სუსტ მოსწავლესთანაც კი შეიძლება მოიძებნოს.
- დავეხმაროთ ბავშვს, რომ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი ჯგუფში.
- განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ სკოლაში ახალგადმოსულ ბავშვებს, რათა უცხოდ არ იგრძნონ თავი და თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ. ამ კუთხით კარგი იქნება, თუ სასწავლო წლის დასაწყისშივე ამ ბავშვების თანატოლებისთვის წარდგენის რაიმე განსაკუთრებულ ფორმას გამოვიყენებთ.
- სასურველია შევამციროთ ნიშნის (და არა ცოდნის) ღირებულება ბავშვის თვალში.
- მხარი დავუჭიროთ და წავახალისოთ ბავშვის თუნდაც სულ მცირე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წარმატება.

P.S. სასკოლო განათლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ისეთი ფსიქოლოგიური პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის სრულფასოვან ფსიქიკურ და პიროვნულ გავითარებას. პიროვნების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ანუ სულიერ, ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. თუ ადამიანი დისკომფორტს განიცდის, პირველ რიგში, ფრუსტრაცია ემუქრება ემოციურ სფეროს, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვება შფოთიანობა როგორც საპასუხო რეაქცია სტრესულ სიტუაციაზე.

სკოლა ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება. მრავალი მისი ძირითადი თვისება და პიროვნული მახასიათებელი ცხოვრების სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება. იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდება ისინი, ბევრად არის დამოკიდებული მთელი მისი შემდგომი განვითარება. სწორედ ამიტომ პიროვნების ფორმირება სკოლისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს და სასწავლო პროცესიც ისე დაიგეგმოს, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში სერიოზულმა პრობლემებმა არ იჩინოს თავი. ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ურთიერთობებს. როგორც ერთმა მოსწავლემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მისთვის სწავლა პირველადი არ არის და ვერც იქნება; მოზარდებისთვის პირველადი ურთიერთობებია. გასულ წლებში ევროპულ სკოლაში სასკოლო მოტივაციის კვლევამ გვიჩვენა, რომ სასწავლო მოტივებს შორის დომინანტურია აღიარების, პატივისცემის, ყურადღების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. იმისთვის, რომ ბავშვმა სწავლაზე იფიქროს და კარგადაც ისწავლოს, უპირველეს ყოვლისა, ეს მოთხოვნილებები უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული. შემთხვევითი არ არის, რომ ამჯერად ჩატარებული კვლევის მიხედვითაც სასკოლო შფოთიანობის ყველაზე მაღალი დონე ურთიერთობის პრობლემებს უკავშირდება. ამდენად, აღნიშნული პრობლემების მოგვარება სასწავლო მოტივაციასაც გააძლიერებს და სწავლების ხარისხსაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

მანანა სეხნიაშვილი

საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სახვითი ხელოვნების ინტეგრირებული გაკვეთილი

„ჩვენ ხომ ის თაობა ვართ, საქართველოს ისტორია ერთი სახელმძღვანელოთი რომ ისწავლა, საქართველოს გეოგრაფია კი – როგორც საბჭოთა კავშირის რიგითი რესპუბლიკის გეოგრაფია. ახლა საქართველოს ისტორიასაც და გეოგრაფიასაც მთელ სასწავლო წელს ვუთმობთ, მაგრამ „პატრიოტ“ თაობას მაინც ვერ ვზრდით.“

დღეს უფროსი თაობისგან ხშირად გაიგონებთ საყვედურს, იკარგება ქართული სული, ტრადიციები და ადათ-წესებიო. რა თქმა უნდა, დამნაშავე ისევ სკოლა და მასწავლებელი არიან.

არადა, ჩვენ ხომ ის თაობა ვართ, საქართველოს ისტორია ერთი სახელმძღვანელოთი რომ ისწავლა, საქართველოს გეოგრაფია კი – როგორც საბჭოთა კავშირის რიგითი რესპუბლიკის გეოგრაფია. ახლა საქართველოს ისტორიასაც და გეოგრაფიასაც მთელ სასწავლო წელს ვუთმობთ, მაგრამ „პატრიოტ“ თაობას მაინც ვერ ვზრდით. ჩვენს დროს ქართული ხალხური ცეკვის საბავშვო ანსამბლი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ახლა თითქმის ყველა ბავშვი ცეკვავს, თან როგორი ცეცხლის დანთება შეუძლიათ! ჩვენს დროს არც ქართული ხალხური სიმღერა იყო აქტუალური. ეს – ჩვენს დროს, მაგრამ მამები რისი მამები არიან, შვილებს რომ არ უსაყვედურონ!

სამშობლოს სიყვარულის ლიტონი სიტყვებით სწავლება წარმოუდგენელია და ხშირად უკუშედეგიც კი მოაქვს. ეს ჩვენს თაობას კარგად აქვს გაცნობიერებული. მე-20 საუკუნის პატრიოტული სიმღერებისა და „პოეზიის“ ნიმუშების დასწავლამ „დიადი“ და „უძლეველი“ სამშობლოს (სსრკ-ს) სიყვარული ვერ შთაგვინერგა. სამშობლოს სიყვარულს საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის, ხელოვნების, კულტურის შესწავლა აღვივებს და არა თავსმოხვეული იაფფასიანი „ხელოვნების“ ნიმუშების ხმამაღალი აფიშირება, როგორც ამას კომუნისტური პარტია ცდილობდა. სიყვარულიც ცოდნასთან არის დაკავშირებული. თუ მოსწავლე გაიგებს და გაიაზრებს ქართული ანბანის ორიგინალურობასა და უნიკალურობას, ჩასწვდება ქართული არქიტექტურის სიდიადესა და ხალხური პოეზიის სილაღეს, მერწმუნეთ, ეს მეტ გავლენას მოახდენს მასზე, ვიდრე „პატრიოტული“ ლექსების დაზეპირება და შემდეგ ხმამაღლა, გამოთქმით კითხვა. მეტად დააფასებს საკუთარ კულტურას და მთების სიდიადის ძებნას კავკასიონზე დაიწყებს და არა სხვა ქვეყნების მთაგრეხილებზე, „ხასანბეგურასაც“ მეტი გრძნობით იმღერებს და ქართულ სამოსსაც უკეთ მოირგებს. ვერც სხვა ქვეყნის სიმდიდრე მოხიბლავს ისე, რომ სასწავლებლად წასულმა დარჩენა ამჯობინოს – დაბრუნდება და საკუთარ ქვეყანაზე იზრუნებს.

სიტყვა გამიგრძელდა. არადა ერთი ინტეგრირებული გაკვეთილის იდეა და რესურსები მინდა შემოგთავაზოთ. მე-9 კლასში საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას ვსწავლობთ. ამ ორი საგნის ინტეგრირება ყველაზე მარტივია. ამჯერად გთავაზობთ ისტორია-გეოგრაფიის ინტეგრირებას სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან.

თემა: საქართველოს მოსახლეობის ტრადიციები. ხალხური არქიტექტურა, ჩაცმულობა და ადათ-წესების განხილვა მარტო ერთი საგნის პრეროგატივა არ არის. სამივე საგნის საგნობრივ სტანდარტში ნახავთ შედეგებსა

და ინდიკატორებს, რომლებიც ამ თემას შეესაბამება.

გეოგრაფიის საგნობრივი სტანდარტი:

გეო. IX. 10. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ქართული ტრადიციები გეოგრაფიულ თავისებურებებთან მიმართებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკავშირებს ხალხური არქიტექტურის მრავალფეროვნებას საქართველოს ბუნებრივ პირობებთან; ადარებს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის სამოსახლოს და მსგავსება-განსხვავებებს გამოხატავს მისთვის სასურველი ფორმით (ნახატი, ცხრილი და სხვა);
- მსჯელობს საქართველოს კუთხეებში გავრცელებული ტრადიციული ჩაცმულობის, სამზარეულოსა და სუფრის თვითმყოფადობაზე, უკავშირებს მათ გარემოს თავისებურებებს, ადარებს ერთმანეთს და მსგავსება-განსხვავებებს გამოხატავს მისთვის სასურველი ფორმით (წერს თემას, აკეთებს სტენდს, ჩანახატს და სხვა).

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი სტანდარტი:

ს. გ. IX. 7. მოსწავლე იკვლევს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ნიმუშებს და შეუძლია იმსჯელოს მათ შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს, რა ხერხებით არის შენარჩუნებული და დაცული ქართულ ხელოვნებაში ხალხური შემოქმედების ტრადიციები;
- იკვლევს, რა მსგავსება და განსხვავებაა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ნიმუშებს შორის (არქიტექტურა, კედლის მხატვრობა და სხვ.).

საქართველოს ისტორიის საგნობრივი სტანდარტი

ისტ. IX. 7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის ქართული კულტურის ყველაზე წარმატებულ დარგებს;
- მსჯელობს ქართული ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების შექმნის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ.

აქტივობა: ტექსტსა და ფოტოებზე მუშაობა

მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ბარათებს.

I ბარათზე წერია ტექსტი „არქიტექტურა“;
II ბარათზე – „სამზარეულო და სუფრის ტრადიციები“;
III ბარათზე – „ქართული ხალხური სამოსელი”.

დავალება: განიხილეთ ტექსტები და დაადგინეთ:

1. რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული მდებარეობა და გარემო პირობები არქიტექტურაზე, ხალხურ სამოსელზე, სამზარეულოსა და სუფრის ტრადიციებზე.
2. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნება, ხალხური შემოქმედება დააკავშირეთ გეოგრაფიულ მდებარეობასთან.
3. დაადგინეთ, რა გავლენას ახდენს ისტორიული მოვლენები ხელოვნების ნიმუშებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნებაში.

პრეზენტაცია წარმოადგინეთ თქვენთვის სასურველი ფორმით.

არქიტექტურა

ქართული არქიტექტურა დიდი მრავალფეროვნებითა და თავისებურებით გამოირჩევა. საქართველოს ყოველ კუთხეს თავისი დამახასიათებელი არქიტექტურული სტილი ჰქონდა და საცხოვრებელი სახლებიც მხარეების მიხედვით მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ეს განსხვავება ახლა თანდათან მცირდება: საქართველოს ყველა რაიონში ფართოდ გავრცელდა ევროპული სტილი. მიუხედავად ამისა, განსხვავება მთისა და ბარის რაიონებს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მაინც საგრძნობია.

აღმოსავლეთ საქართველოს სოფლები უფრო კომპაქტურია

ჩვენს თაობას კარგად აქვს გაცნობიერებული. მე-20 საუკუნის პატრიოტული სიმღერებისა და „პოეზიის“ ნიმუშების დასწავლამ „დიადი“ და „უძლეველი“ სამშობლოს (სსრკ-ს) სიყვარული ვერ შთაგვინერგა. სამშობლოს სიყვარულს საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის, ხელოვნების, კულტურის შესწავლა აღვივებს და არა თავსმოხვეული იაფფასიანი „ხელოვნების“ ნიმუშების ხმამაღალი აფიშირება, როგორც ამას კომუნისტური პარტია ცდილობდა.

და მჭიდროდაა დასახლებული. ეზოები აქ პატარაა და ამიტომ დასამუშავებელი მიწები სოფლის გარეთაა. დასავლეთ საქართველოში საკარმიდამო ნაკვეთები გაცილებით დიდია და საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიც ერთადაა. საცხოვრებელი სახლები სხვადასხვა ეთნოგრაფიულ პროვინციაში მეტად განსხვავებულია. სვანეთსა და აღმოსავლეთ კავკასიონის კუთხეებში (თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში) უმეტესად ქვისა და ფიქლის ციხე-სახლებია. ამასთან, განსხვავება საკმაოდაა სვანური და თუშურ-ხევსურული კოშკების არქიტექტურაშიც. ამავე რეგიონებში გვხვდება 2-4-სართულიანი ჩარდახიანი სახლები, აგრეთვე ერთსართულიანი ქვითკირის სახლები მიწის ბრტყელი სახურავით (ძირითადად ფშავ-ხევსურეთში). ფიქლით აშენებული სახლები, როგორც წესი, მშრალი (დუღაბის გარეშე) წყობისაა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთისწინეთის ზონაში საცხოვრებელი სახლი ძირითადად დარბაზის ტიპისა იყო. ქვითა და აგურით აშენებულ ერთსართულიან ნაგებობას საფეხურებრივ-გვირგვინისებური გუმბათის მსგავსი გადახურვა ჰქონდა, რომელიც ბოლოვდებოდა ერდოთი – კვამლისა და სინათლისთვის დატოვებული ხვრელით. დარბაზის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით – სამცხე-ჯავახეთში, გავრცელებული იყო მიწური სახლები – მიწის სიღრმეში გამოკვეთილი ქვისკედლებიანი და მიწისსახურავიანი ნაგებობები. დასავლეთ საქართველოში, მაღალი ტენიანობისა და ჭაობიანობის გამო, უმეტესად ერთ- ან ორსართულიან ხის სახლებს აშენებდნენ, რომლებიც ხიმინჯებზე იდგა და ყავრის ორფერდა ან ოთხფერდა სახურავი ჰქონდა.

სამეგრელოსა და აფხაზეთში ფართოდ იყო გავრცელებული მოწნული, ჩალით დახურული სახლის ტიპი – ფაცხა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ახალი არქიტექტურული სტილი დამკვიდრდა: ორსართულიანი, რამდენიმეოთახიანი, ფანჯრებიანი და ხისიატაკიანი სახლები, რომლებშიც ღია კერიის ნაცვლად ბუხრები იყო ამოშენებული.

აღმოსავლეთ საქართველოში სახლები ძირითადად ქვითა და აგურით შენდებოდა, დასავლეთ საქართველოში კი – ხით. გადასახურავად ძირითადად კრამიტი გამოიყენებოდა, გურია-სამეგრელოში კი – ყავარი.

სახლის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა ხის აივანი. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტრადიციულმა არქიტექტურამ ადგილი თანამედროვე ევროპულ სტილს დაუთმო. ამჟამად ძირითად საშენ მასალად გამოიყენება აგური, ცემენტის ბლოკები, რკინა-ბეტონი და თუნუქი. განსხვავებაც სხვადასხვა კუთხეში აშენებულ სახლებს შორის მინიმუმამდე დავიდა.

სამზარეულო და სუფრის ტრადიციები

ქართული ტრადიციული სამზარეულო ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში. ეროვნული ტანსაცმლისგან განსხვავებით, ქართული სამზარეულო არა მარტო შენარჩუნებულ იქნა, არამედ ფართოდ გავრცელდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. წარსულში საქართველოს ცალკეული კუთხეების სამზარეულოებს შორის საგრძნობი განსხვავება იყო. ამჟამად ეს განსხვავება თითქმის აღარ არის და ნებისმიერ კუთხეში ფართოდ გავრცელებულია ის კერძები, რომლებიც ადრე მათთვის დამახასიათებელი არ იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ძირითადად ხორბლის პურს (შოთს, ლავაშს) აცხობდნენ, მთაში კი – ქერის ხმიადებს. დასავლეთ საქართველოში ხორბლის მაგივრობას სიმინდი ეწეოდა და ამიტომ მოსახლეობის ძირითადი საკვებიც მჭადი (იმერეთი, გურია) ან ღომი (სამეგრელო, აფხაზეთი) იყო. დასავლეთ საქართველოში ძირითადად სულგუნი და იმერული ყველია მიღებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი – გუდის ყველი. დასავლეთ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული მრავალფეროვანი მცენარეული საკვები, რომელიც ნიგვზითა და სანელებლებითაა შეზავებული (სხვადასხვა მხალეული), აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონში კი ხორცს უფრო დიდი ადგილი უკავია. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებულია ლობიო, ხაჭაპური, ხინკალი, თევზეული, მწნილი და სხვადასხვა საწებლები.

მთავარი სასმელი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ღვინოა. მხოლოდ მაღალმთიან პროვინციებში, სადაც ვენახები არ არის, ღვინოს არაყი და ლუდი ცვლის.

ქართული სუფრის ტრადიციები მკაცრ წესრიგს ემორჩილება. თამადა და სადღეგრძელოები სუფრის აუცილებელი ელემენტებია საქართველოს ნებისმიერი კუთხისათვის. სადღესასწაულო სუფრა ასევე წარმოუდგენელია სიმღერის, ცეკვისა თუ ხუმრობის გარეშე. სადღეგრძელოების თანმიმდევრობა თამადაზეა დამოკიდებული, თუმცა გარკვეული ტრადიციები ჩამოყალიბებულია და სხვადასხვა პროვინციას შორის განსხვავებებიც შეინიშნება. გურიაში, მაგალითად, პირველი სადღეგრძელო მშვიდობისაა, კახეთში კი ოჯახის ჭერს დალოცავენ ხოლმე. აღმოსავლეთ საქართველოში ბოლო სადღეგრძელო საყველაწმინდოა, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში კი სუფრაზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ წინაპრებისა და გარდაცვლილთა მოგონების სადღეგრძელოებს.

ქართული ხალხური სამოსელი

ქართული კულტურის თავისებურებანი ხალხური სამოსლის მრავალფეროვნებაშიც

გამოვლინდა. გამოირჩევა თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხევური, რაჭული სამოსელი. მამაკაცთა შესამოსლიდან ჩოხასთან ერთად აღსანიშნავია ხევსურული სამოსელი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სამოსელი ჩაქურა.

ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევს ხევსურული ქალის სამოსელი - ტალავარი, რომელიც ორიგინალური თარგითა და ჭარბი ნაქარგობით გამოირჩევა. მას შინშალის ძაფისგან ქსოვდნენ. ტალავარი რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ესენია: შალის გრძელი კაბა – სადიაცო, ზემოდან – შალისავე შემოსაცმელი ფაფანაგი ან მოკლესახელოებიანი ქოქლო. ხევსური ქალის თავსაბურავია სათაურა და მანდილი, ფეხსამოსი კი – თათები ან ქალამან-წინდა და ბაჭიჭები.

სადიაცოს ორი ძირითადი ნაწილი აქვს: მხარ-ზურგი და გულისპირი. კაბას საყელოსთან სარჩულიანი საყელო აქვს მოყოლებული, მხრებზე მოკერებულია სახელოები, ხოლო კაბის კალთებს ქვემოთ ეკერება ბრტყელი და ზოლიანი არშია, რომელსაც ეწოდება ქოქომონი. ქოქომონის ფერები განსაზღვრული კანონზომიერებითაა განლაგებული: ჯერ შავი ფერია, შემდეგ – წითელი და ლურჯი. კაბა ყელთან სამკუთხადაა ამოჭრილი, სადაც შეიძლება მიეკეროს ღილებითა და მძივებით გაწყობილი პატარა შალის ნაჭერი, ე. წ. ქოქა.

თუში ქალის სამოსი სისადავით გამოირჩევა. ერთმანეთს ენაცვლება შავი, ლურჯი და თეთრი ფერები. ძირითადი ელემენტია შალის ერთიანი კაბა - ჯუბა პერანგისებური თარგით,

დეკორაციული სახელოებით შედგენილი ტყავის სამოსელი სახელჩაქნეულა, თავზე დასადგომი კუჭურა და მოსახური მანდილი.

მამაკაცის ჩაცმულობაში, მიუხედავად საგრძნობი ერთგვაროვნებისა, მაინც ხერხდება ზოგიერთი თავისებური კომპლექსის გამოყოფა. ასეთია ხევსურული ტალავარი, რომელშიც შედის ზედატანი, პერანგი, და შარვალ-ნიფხავი, ჩოხა, მრგვლად შეკერილი ნაბდის ქუდი, შიბით ნაქსოვი ფეხსაცმელი, თათებიანი ქალამანი ჯღანი და სხვა. ჩაქურა გავრცელებული იყო აჭარაში, გურიასა და ნაწილობრივ სამეგრელოში. აჭარული კომპლექსის ელემენტებია შალის მოკლე ზედატანი, კვატუჯა ჩოხაჭონია, შალისავე ფართოუბიანი და ხვანჯრით შეკრული შარვალი ჩაქურა, ორჯიბიანი და საყელოიანი ახალუხი ზუბუნი, განიერი და გრძელი კუბოკრული აბრეშუმის სარტყელი თოლაბულუსი, ყაბალახი, ფეხსაცმელი ლაფჩინი და წინდა-პაჭიჭები. ქართლისა და კახეთის ტანსაცმლის ტიპების მსგავსებას აღნიშნავს ისტორიული წყაროები.

საშინაო დავალება: მოსწავლეებმა მოამზადონ პრეზენტაცია თავიანთი მხარის, ქალაქის ან სოფლის არქიტექტურაზე, სამოსელსა და სამზარეულოზე.

მაია ინასარიძე

მასწავლებლის შეფასება

ნებისმიერი სისტემის, მათ შორის განათლების, წარმატებისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სისტემაში ჩართული ადამიანების ანაზღაურების ინდივიდუალიზაციაა. ალბათ, ბევრ თქვენგანს ახსოვს, არცთუ შორეულ წარსულში ერთნაირ ხელფასს რომ იღებდნენ ისინი, ვინც მთელი დღის განმავლობაში სამსახურში, უარეს შემთხვევაში „ქალაქობანას“, უკეთეს შემთხვევაში, ჭადრაკს თამაშობდა და ისინი, ვის საქმიანობაზეც იდგა მთელი სამსახური. ამ მხრივ სკოლა თითქოს გამონაკლისი იყო. აქ ჭადრაკის სათამაშოდ არავის ეცალა, თუმცა ვინ როგორი მასწავლებელი იყო, რამდენად ეფექტიანად მუშაობდა და როგორ აისახებოდა ეს მოსწავლეთა მიღწევებზე, ფაქტობრივად, მხოლოდ სკოლაში მუშაობის ხანგრძლივობით (პედაგოგიური სტაჟით) იზომებოდა. მასწავლებელთა ატესტაციის პირველი ცდაც ხანმოკლე და არაეფექტური აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ამ ატესტაციის შედეგების კვლევა არ განხორციელებულა, მაგრამ ამის გარეშეც შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება: ეს შედეგები არ ასახულა სწავლება-სწავლის ხარისხზე.

დღეს, როცა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა“ დადგა დღის წესრიგში, მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, რომლებმაც შექმნეს და დანერგეს მასწავლებლის ანაზღაურების ახალი სისტემა, დაკავშირებული საქმიანობის ხარისხთან და რომელსაც საფუძვლად ამ საქმიანობის შეფასება უდევს.

საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებული ანაზღაურების სისტემის შეფასება საზღვარგარეთ არაერთგვაროვანია. მაგალითად, აშშ-ში, სადაც ასეთი სისტემა მრავალ შტატში მოქმედებს, არ არის მონაცემები იმის შესახებ, რა გავლენა მოახდინა მან მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე. მიუხედავად ამისა, „ხარისხზე მიბმული“ ანაზღაურების სქემის საშუალებით სკოლების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის კოლოსალური თანხები იხარჯება. მაგალითად, ტეხასის შტატში 2006-2009 წლებში განხორციელდა ორი პროექტი საუკეთესო მასწავლებელთა წახალისებისათვის. მხოლოდ ერთმა პროგრამამ 1148 სკოლის 50 000-ზე მეტი მასწავლებელი მოიცვა, რაზედაც დაიხარჯა 300 მილიონი დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ ტეხასი მოელოდა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესამჩნევ ზრდას, ექსპერიმენტის შედეგებმა სხვა სურათი აჩვენა. სტატია, რომელიც ამ ექსპერიმენტის შედეგებს ეხება, ასეა დასათაურებული: „კვლევა: ტეხასში მასწავლებელთა დამატებით ანაზღაურებას შედეგად მოსწრების გაუმჯობესება არ მოჰყოლია”. სათაურშივეა ყველაფერი ნათქვამი. იყო ჰიპოთეზები, რომ თითქოს თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომ მომდევნო ციკლში კიდევ უფრო სოლიდურ თანხაზე გაკეთდა განაცხადი... დასკვნა ასეთია: დანახარჯები არ არის შედეგის ადეკვატური, ამიტომ ხარისხის მიხედვით ანაზღაურების იდეას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. მათ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ნამდვილი მასწავლებლის მოტივაცია შინაგანი უნდა იყოს: მას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ამოძრავებდეს

საკუთარი საქმის სიყვარული, ინტერესი. მათი აზრით, დამატებითი ანაზღაურება ვერ იქნება სტიმული იმ მასწავლებლისათვის, რომელთაც ასეთი შინაგანი მოტივაცია არა აქვს. ხელფასის გაზრდით ადამიანი, რომლისთვისაც მასწავლებლობა შინაგანი მოწოდება არ არის, საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას არ / ვერ შეცვლის (განსხვავებით ტეხასელი მასწავლებლებისაგან, ქართველ მასწავლებლებს, საბაზო ხელფასიდან გამომდინარე, ეს გარეგანი მოტივაციაც არ აქვთ).

მიუხედავად ასეთი თვალთახედვისა, ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებობს მასწავლებლის წარმატებული საქმიანობისათვის დამატებითი ანაზღაურების პრაქტიკა, მაგრამ ამას ძირითადად სკოლის დირექტორი / დირექცია განსაზღვრავს. ერთია გასათვალისწინებელი: ამგვარი მიდგომა მაშინ არის ეფექტიანი, როცა სკოლაში არსებობს ხარისხის მართვის მწყობრი სისტემა, რომელიც სკოლის განვითარების კონცეფციის ორგანული ნაწილია. ამგვარ სისტემაში ყველაზე რთული მასწავლებლის საქმიანობის ობიექტური შეფასების მექანიზმების შემუშავებაა. „მასწავლებლის შეფასება – ეს არის პრობლემა, რომელიც დღემდე არ გადაჭრილა დამაკმაყოფილებლად, – წერდნენ მასწავლებლის საქმიანობის ექსპერტიზის სპეციალისტები – რ. პფაიფერი და მ. მაგლაუგლინი (McLauglin M.W., Pfeifer R.S. 1988. წერილში გამოყენებულია ვ.ზაგვოზდკინის სტატია „მასწავლებლის საქმიანობის ექსპერტიზა საზღვარგარეთ“, ჟურნალი „Образовательная политика“, N1, 2011). მათ მხედველობაში ჰქონდათ ის, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტების შექმნით არ მოხერხდება. უპირველეს ყოვლისა, სკოლაში უნდა დამკვიდრდეს ურთიერთობების თანამშრომლობითი კულტურა, რომლის არსიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისკენ მიმართული გარემოს შექმნაა. ამ სიტყვებს ხაზი იმათ საყურადღებოდ გავუსვით, ვისაც სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვს. სწორედ თანამშრომლობის კულტურის დამკვიდრება მოხსნის იმ ბარიერს, რომელიც ზემდგომი ორგანოების, მათ შორის დირექციის, მიერ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებსა თუ პროცედურებსა და მასწავლებლების მოლოდინებს, წარმოდგენებს შორის შეიძლება არსებობდეს. ხელმძღვანელობას სურს, რომ მასწავლებელმა დაადასტუროს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა, მასწავლებლების სურვილი კი ავტონომიის შენარჩუნება და ისეთი შეფასების არსებობაა, რომელიც მათ პროფესიულ განვითარებასა და პედაგოგიური საქმიანობის სრულყოფას შეუწყობს ხელს. სანამ ე.წ. განმსაზღვრელ შეფასებას მიიღებდეს, მას უნდა ჰქონდეს საშუალება დაადგინოს საკუთარი პროფესიული საჭიროებები, დაგეგმოს თვითგანვითარება, გამოიყენოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმა (იქნება ეს ტრენინგი, პროფესიული ლიტერატურის დამუშავება, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და სხვა), გადაიტანოს მიღებული ცოდნა და უნარები გაკვეთილზე, გაუკეთოს რეფლექსია, მიიღოს უკუკავშირი კოლეგებისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ შეაფასონ. თანამშრომლობითი ურთიერთობების არსებობა სკოლაში სწორედ მასწავლებლის ამ სურვილის დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. ასეთ ვითარებაში იზრდება ნდობის ხარისხი შეფასების მიმართ, რაც, თავის მხრივ, ამცირებს უკმაყოფილებისა და კონფლიქტების რისკს. არაერთხელ თქმულა, რომ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემის“ უპირველესი მიზანი მასწავლებელთა საქმიანობის შემოწმება კი არა, მათი პროფესიული განვითარებაა, რაც, თავის მხრივ, სწავლებასწავლის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პირობაა. მიუხედავად ამისა, მასწავლებლების დამოკიდებულება ხშირად სქემის მიმართ ნეგატიურია. მე ამას უფრო შფოთის მაღალ დონეს დავარქმევდი და ეს არც არის გასაკვირი.

> „დღეს, როცა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა“ დადგა დღის წესრიგში, მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, რომლებმაც შექმნეს და დანერგეს მასწავლებლის ანაზღაურების ახალი სისტემა, დაკავშირებული საქმიანობის ხარისხთან და რომელსაც საფუძვლად ამ საქმიანობის შეფასება უდევს.“

მასწავლებლების მაღალ შფოთიანობას მათი საქმიანობის შეფასების მიმართ ორი უმთავრესი მიზეზი განაპირობებს:

1. ეჭვი, რამდენად კვალიფიციური იქნება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფი იმისათვის, რომ ობიექტურად შეაფასოს მასწავლებლის საქმიანობა.
2. და ისევ ეჭვი: შესაძლებელია თუ არა ერთი ან თუნდაც ორი გაკვეთილით მასწავლებლის საქმიანობის ობიექტური გარე შეფასება.

ამ შფოთიანობის გადალახვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ისევ და ისევ სკოლაში თანამშრომლობითი ატმოსფეროს არსებობაა. წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ და შემდეგ ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, იყენებენ სხვადასხ-

ვა დაკვირვების (ზოგადი, ფოკუსირებული, ჩართული და ა.შ.) ფორმებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. ასეთ ვითარებაში ყველაზე კარგად ჩანს თითოეულის პიროვნული მახასიათებლებიცა და კვალიფიკაციაც. ასეთი ურთიერთობების შედეგად მასწავლებლებმა იციან, ვის შეიძლება ენდონ, ვისი საქმიანობა იმსახურებს მაღალ შეფასებას, ამავდროულად პროფესიულად ვითარდებიან. საზღვარგარეთის გამოცდილება ადასტურებს, რომ მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეფექტიანი, როცა ამ შეფასების შედეგები აღიარებული და გაზიარებულია მთელი სკოლის, ამ სკოლის მასწავლებელთა საზოგადოების მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ მოტივაციის ფაქტორებს შორის მასწავლებლების დიდი ნაწილი ასახელებს არა იმდენად ანაზღაურებას, რამდენადაც აღიარებას სასკოლო საზოგადოების მხრიდან. აღიარება შეფასების გარეშე არ მოდის, ამიტომ მას შემდეგ, რაც მასწავლებლები იზრუნებენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, ლოგიკურია შეფასდეს, რამდენად ახერხებენ ისინი საკლასო ოთახში პროფესიული განვითარების საქმიანობებით შეძენილი ცოდნისა და უნარების გადატანას.

როგორია მასწავლებლების შეფასებისადმი მიდგომები და რა ინსტრუმენტები არსებობს საზღვარგარეთ?

ავტორიტეტული ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მასწავლებლების შეფასების არსებული ხერხები არ აღმოჩნდა ეფექტიანი, რადგანაც ის ეყრდნობოდა ანგარიშგებას და მხედველობიდან რჩებოდა პროფესიული განვითარების კომპონენტი. ეს იყო ერთგვარი შემაჯამებელი შეფასება, ანუ საქმიანობის შედეგების ასახვა და არ აძლევდა პედაგოგს იმპულსს პროფესიული განვითარებისათვის. ასეთი მიდგომა მასწავლებლების მიერ არ აღიქმებოდა, როგორც შეფასება მათი პროფესიული სრულყოფისათვის. მასწავლებლის საქმიანობის ექსპერტიზა მხოლოდ მაშინ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, როცა პასუხისმგებელი პირების მხრიდან პროფესიული განვითარების აუცილებლობის დეკლარირება კი არ ხდება მხოლოდ, არამედ შეფასება სინამდვილეში სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

არსებობს შეფასების მეორე ფორმა – არაფორმალური შეფასება. მასწავლებლებს მუდმივად აფასებენ საკუთარი მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები. ცხადია, არაფორმალური შეფასების დროს დიდ როლს თამაშობს ურთიერთობები და განწყობა-დამოკიდებულებები. ასეთ შეფასებას შეიძლება ფორმალური ხასიათიც მიეცეს. მაგალითად, როცა მშობლების მხრიდან საჩივრების გამო სკოლის ადმინისტრაცია ან ზემდგომი ორგანოები ვალდებული არიან რეაგირება მოახდინონ საჩივრებზე. მათ საფუძვლიანობაში დასარწმუნებლად დირექტორმა უნდა მიიღოს კონკრეტული ზომები. თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხელმძღვანელები თავს არიდებენ არასასიამოვნო ფუნქციას – მისცენ მასწავლებელს ნეგატიური უკუკავშირი, ამიტომ გაკვეთილზე დასწრებისას ისინი თვალს ხუჭავენ სერიოზულ ხარვეზებზე და უფრო ზოგად შენიშვნებს იძლევიან. ისინი გაურბიან მასწავლებელთან პირისპირ საუბარს სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და პროფესიული საჭიროებების შესახებ. ხშირად ამის მიზეზი დირექტორთა არასათანადო მომზადებაცაა. ისინი არ ფლობენ განმავითარებელი შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, არ იციან, როგორ წარმართონ მასწავლებელთან საუბარი ისე, რომ ეს შეფასებაზე უფრო მის პროფესიულ

განვითარებას წაადგეს. სწორედ ამიტომ დგება დღის წესრიგში დირექტორების მომზადება იმ მიმართულებით, რომ მათ შეძლონ მასწავლებლებისათვის კონსტრუქციული უკუკავშირის, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული განმავითარებელი კომენტარი მიცემა.

კვლევები ადასტურებს, რომ შეფასებას მაშინ მოაქვს შედეგი, როცა მასწავლებელს შეუძლია მისი ეფექტიანად გამოყენება, ანუ შეფასებას აქვს არა სადამსჯელო, არამედ პროფესიული განვითარების ფუნქცია, მაგრამ საზღვარგარეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების დაბალი ეფექტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი შეფასების ექსპერტთა არასაკმარისი მომზადებაა, ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის განათლების სისტემის უპირველესი საზრუნავი მათს კვალიფიკაციაზე ზრუნვაა. მასწავლებლების მხრიდან შეფასების ტრადიციული ფორმების მიმართ წინააღმდეგობა იმ დროიდან არსებობს, რა დროიდანაც ეს ფორმები, ანუ თითქმის ასი წლის ისტორია აქვს. განათლების მართვის ორგანოების მიერ შემოთავაზებული შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების უმრავლესობას საფუძვლად უდევს მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ვიწრო სპექტრი. ეს ინსტრუმენტები ზედაპირული და მოუქნელია, არ ითვალისწინებს იმას, რომ მასწავლებელს პროფესიულ საქმიანობაში უწევს სხვადასხვა სახის პრობლემებთან გამკლავება და, სიტუაციიდან გამომდინარე, მათი გადაჭრის გზებიც განსხვავებულია.

ამის გარდა, მასწავლებლებს პროტესტის გრძნობა უჩნდებათ იმის გამოც, რომ შეფასების ინსტრუმენტების უმრავლესობა იქმნება მათი მონაწილეობის გარეშე. არც განათლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოები არიან უკეთეს მდგომარეობაში. შეფასების პროცედურები მათთვისაც დიდი ტვირთია და საერთო ატმოსფეროს მნიშვნელოვნად ამძიმებს.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ მასწავლებლების საქმიანობის ობიექტური, სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განსაზღვრა ძალზე რთული საქმეა. მათ შექმნაზე დახარჯული დრო და ენერგია მისგან მოტანილი სარგებლის, ანუ სწავლების შედეგების გაუმჯობესების ადეკვატური უნდა იყოს.

მოვიყვანთ მასწავლებლის შეფასების ტრადიციული ინსტრუმენტებისა და მეთოდების მაგალითებს:

გაკვეთილზე დაკვირვება. ეს ყველაზე გავრცელებული საშუალებაა სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზისათვის. დაკვირვება შეიძლება განახორციელოს დირექტორმა, გარე მონიტორმა, სხვა მასწავლებლებმა, ანუ კოლეგებმა. დაკვირვების მიზნებსა და შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ უნდა იცნობდეს მასწავლებელი, რომელსაც აკვირდებიან. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილზე დაკვირვების დროს რთულია ვალიდობისა დაცვა, ამიტომ მისი გამოყენება საბოლოო შეფასებისათვის მიზანშეწონილი არ არის. მაგრამ არც ამის გარეშე შეიძლება მასწავლებლის საქმიანობის ექსპერტიზა. რეკომენდებულია, რომ გაკვეთილს დააკვირდეს მინიმუმ ორი ადამიანი და დაკვირვების შედეგების შეჯერებული იყოს სხვა მონაცემებთან, მაგალითად, მოსწავლეთა გამოკითხვასთან.

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები, ე.წ. მატრიცები ეფუძნება მონაცემებს ხანგრძლივი ემპირიული კვლევების გზით მოპოვებული ხარისხიანი სასწავლო პროცესის მახასიათებლების შესახებ. ასეთი კვლევები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია ჩატარებული. აქედან გამომდინარე, მახასიათებლები, რომლებიც საფუძვლად უდევს დაკვირვების მატრიცებს, არ არის სტიქიურად კონსტრუირებული, ამიტომ მათი გამოყენება მასწავლებლებს შეუძლიათ საკუთარი პროფესიული საჭიროებების დადგენისა და თვითგანვითარებისათვის. ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით ტარდება პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ტრენინგები, სემინარები, მასტერკლასები და სხვ.). სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა დაკვირვების ფორმები არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, უხარისხო ინსტრუმენტების გამოყენებას კი სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ნაცვლად შეუძლია სიტუაციის გაუარესება.

შეფასების სკალები, ე. წ. „checklist"-ი, მასწავლებლის შეფასების ყველაზე ძველი ინსტრუმენტია. მას ამერიკაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში იყენებდნენ. ეს არის იმ მახასიათებლების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა ფლობდეს მასწავლებელი. სასურველია, კონკრეტული მახასიათებლის გამოვლენის ხარისხი კონკრეტულ მასწავლებელთან რამდენიმე დამოუკიდებელმა დამკვირვებელმა შეაფასოს. შეფასების სკალების გამოყენებას მრავალი პრობლემა ახლავს თან. თუ გვინდა, რომ შეფასება ვალიდური იყოს, სკალაში ასახული უნდა იყოს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ყველა მნიშვნელოვანი პარამეტრი. მასწავლებლის საქმიანობა კი იმდენად მრავალწახნაგოვანია, რომ ასეთი სკალა ძალიან ვრცელი შეიძლება გამოვიდეს და ვერც ამოწუროს გაზომვის სფეროები. მიუხედავად ამისა, არსებობს შეფასების სკალების ძალიან ბევრი და საინტერესო ვარიანტი, რომლებიც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მიიჩნევა კარგი მასწავლებლის მახასიათებლებად. მათი გაცნობა მასწავლებელს დაეხმარება საკუთარი საქმიანობის რეფლექსიაში.

მოსწავლეთა მიღწევები. ეს კრიტერიუმი, ერთი შეხედვით, ყველაზე ბუნებრივი და ლოგიკურია მასწავლებლის საქმიანობის შესაფასებლად. ყველასათვის ცხადია, რომ მასწავლებლის საქმიანობის საბოლოო პროდუქტი მოსწავლის შედეგებია. მიუხედავად ამისა, არსებობს ძალიან ბევრი არგუმენტი, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ამ კრიტერიუმის ეფექტიანობას. მოსწავლეთა მიღწევების გაზომვისას არ არის გათვალისწინებული მათი საწყისი დონე. არის სხვა ბევრი ფაქტორიც, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, მაგალითად, სოციალური ფაქტორები. საქართველოში ასეთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ რეპეტიტორო-

ბის ინსტიტუტის არსებობა. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ მასწავლებლის საქმიანობაზე მოსწავლეთა შედეგების მიხედვით, უნდა გამოვიკვლიოთ ამ შედეგების განმსაზღვრელი ფაქტორებიც, რაც ძალიან რთულია. ამიტომ ამერიკაში მოსწავლეთა შედეგების ხვედრითი წილი მასწავლებლის საქმიანობის შეფასებაში მხოლოდ 25-30%-ია (საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ეს პროცენტი, ალბათ, კიდევ უფრო დაბალი შეიძლება იყოს).

ექსპერტთა უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ მოსწავლეთა მიღწევები შეიძლება გამოვიყენოთ მთლიანად სკოლის, და არა ცალკეული კლასის ან მასწავლებლის, შეფასებისათვის. დღესდღეობით არ არსებობს გაზომვის ისეთი საშუალება, რომელსაც შეუძლია ობიექტურად ასახოს მთელი სასწავლო გეგმა, სასწავლო პროგრამა. ამ თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებული ფორმა ტესტირებაა, მაგრამ თუ ტესტირების შედეგებს მასწავლებლის საქმიანობის შესაფასებლად გამოვიყენებთ, ეს მიგვიყვანს იქმდე, რომ სწავლებაში ტესტები უფრო არსებით მნიშვნელობას შეიძენს, ვიდრე თავად სასწავლო გეგმა / პროგრამა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მასწავლებლებმა სწავლებისას. იმ შემთხვევაში, თუ ტესტირების (მაგალითად, ე. წ. KAT-ის) შედეგების მიხედვით შეფასდებიან მასწავლებლები ან თუნდაც მათ შეფასებაში დიდი იქნება ამ შედეგების ხვედრითი წილი, ეს გამოიწვევს პედაგოგების მხრიდან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნების უგულებელყოფას. აქცენტი გადავა ტესტირებისათვის მოსწავლეთა მომზადებასა და არა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევაზე. ამის პრეცედენტი უკვე მსოფლიოს არაერთ წამყვან ქვეყანაში არსებობს. ამის მაგალითია თუნდაც ისევ და ისევ ამერიკის შეერთებული შტატები.

> **მასწავლებლის შეფასების უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას სრულად ავსახოთ პედაგოგის პროფესიული მოღვაწეობის მთელი სპექტრი, არ არსებობს. ამიტომ მასწავლებლებმა უნდა გააცნოებიერონ თითოეული ინსტრუმენტის შესაძლებლობები და საზღვრები.**

ყველაფერთან ერთად, მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ამ ფორმას ახლავს კიდევ ერთი ნეგატიური ეფექტი: ეს არის შედეგების ფალსიფიკაციის მცდელობა, ანუ მასწავლებლები ეძებენ სხვადასხვა გზას ტესტირების დროს მოსწავლეთა დასახმარებლად, ცდილობენ, სუსტი მოსწავლეები არ დაუშვან ტესტირებაზე ან აიძულონ სხვა სკოლაში გადასვლა. ტესტირების შედეგებზე აქცენტირებით ზარალდებიან ე.წ. „წესიერი სკოლები", რომელთა რიცხვიც დღითიდღე იკლებს ამერიკაში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა მიღწევების მიბმა მასწავლებლის საქმიანობის შეფასებაზე ბევრ რისკ-ფაქტორს შეიცავს.

მოსწავლეთა მიერ მასწავლებლის შეფასება. შეფასების ამ ფორმისას გამოიყენება ანკეტირება ან/და სტრუქტურირებული ინტერვიუ. ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ეს არის კარგი და ვალიდური საშუალება როგორც მასწავლებლის საბოლოო, ისე მიმდინარე შეფასებისას. მოსწავლეების მიერ მასწავლებლის შეფასება კარგად ავლენს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რადგან ბავშვების შეხედულებები ეყრდნობა არა წინასწარ საგანგებოდ მომზადებულ გაკვეთილებს, არამედ პედაგოგის ყოველდღიურ საქმიანობას.

იმისათვის, რომ მოსწავლეების შეფასება ობიექტური იყოს, აუცილებელია ანონიმურობის მკაცრად დაცვა. ამავდროულად, ეს დელიკატური საკითხია და ამიტომაც შეფასების თანამედროვე სისტემები იყენებს მასწავლებლის შეფასებაში მოსწავლეთა „ნებაყოფლობითი მონაწილეობის" პრინციპს და ეს შეფასება მკაცრად კონფიდენციალურია (კონფიდენციალობის, როგორც მორალური ვალდებულების, დაცვა ჩადებულია შეფასების ექსპერტის ხელშეკრულებაში).

გამოცდა. შეფასების ეს ფორმა ჩვენი მასწავლებლებისათვის კარგად არის ცნობილი, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით. ერთს აღვნიშნავთ მხოლოდ, იმას, რაც ყველასათვის ისედაც ნათელია: სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება არ არის კლასში მასწავლებლის წარმატებული სასწავლო პრაქტიკის გარანტია.

მასწავლებლის პორტფოლიო. შეფასების ეს ფორმა ასევე კარგად არის ცნობილი მასწავლებლებისათვის. მასში თავს იყრის სხვადასხვა სახის მასალა: ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის საკლასო პრაქტიკის, მოსწავლეების სწავლისა და შედეგების, პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალები. პორტფოლიო იმით არის კარგი, რო ის შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასებისათვის. მეტი საიმედოობისათვის სასურველია მისი შევსება კოლეგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

თვითშეფასება. განათლების ცნობილი ექსპერტი მაიკლ ბარბერი თვითშეფასებას მიიჩნევს მასწავლებლის პიროვნული და პროფესიული განვითარების ეფექტურ საშუალებად. კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცედურაში, არიან მოტივირებულები, გააუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა და განვითარდნენ პიროვნულად. თვითშეფასებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საკუთარი საქმინობის შესახებ ინფორმაციის შეკრების სხვადასხვა საშუალებით. ეს შეიძლება იყოს გაკვეთილის ან კლასგარეშე საქმიანობის ამსახველი ვიდეო და აუდიოჩანაწერები, როგორც ყოფილ ისე ამჟამინდელ მოსწავლეთა გამოხმაურებები, კოლეგების უკუკავშირი, სტანდარტით განსაზღვრულ კომპეტენციებთან საკუთარი საქმიანობის შესაბამისობის დადგენა და სხვა.

დასკვნის სახით: როგორც ყოველივე ზემოთ თქმულიდან ირკვევა, მასწავლებლის შეფასების უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას სრულად ავსახოთ პედაგოგის პროფესიული მოღვაწეობის მთელი სპექტრი, არ არსებობს. ამიტომ მასწავლებლებმა უნდა გააცნოებიერონ თითოეული ინსტრუმენტის შესაძლებლობები და საზღვრები. ამავდროულად შეფასებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს არა იმდენად საბოლოო, რამდენადაც მიმდინარე შეფასებაზე, რათა მასწავლებლები დარწმუნდნენ, რომ მათი საქმიანობის შეფასების მიზანი მათსავე პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაა. ასეთ შემთხვევაში შეფასება გაგებული იქნება როგორც დახმარება, მხარდაჭერა და არა მასწავლებლების „ძლიერებად" და „სუსტებად" დიფერენცირების აკვიატებული სურვილი.

განათლება გულისა და გონებისათვის

ინტერვიუ ჯორჯ ლუკასთან

თარგმნა მაია ჯალიაშვილმა

ყოველთვის საინტერესოა ცნობილ ადამიანთა შეხედულებები განათლების საკითხებზე, მათი მოსწავლეობის პერიოდის გახსენება, რას და როგორ სწავლობდნენ, რამ შეუწყო თუ შეუშალა ხელი ოცნებების განხორციელებაში. ჩვენ ხომ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ (ეგზიუპერი) და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ხანა ადამიანური ცხოვრებისა დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალ წარმატებასა თუ მარცხს.

გთავაზობთ ინტერვიუს ჯორჯ ლუკასთან, „ვარსკვლავური ომების" საგისა და „ინდიანა ჯონსის" თავგადასავლების რეჟისორთან.

მას ესაუბრება თანამედროვე ფსიქოლოგი დენიელ გოლმენი, ავტორი ბესტელერისა „ემოციური ინტელექტი". ისინი განიხილავენ სოციალური და ემოციური სწავლების სხვადასხვა გზას, რომლებიც განათლების ხარისხის ზრდას უწყობს ხელს. თავიანთი გამოცდილების გათვალისწინებით, მათ სჯერათ, რომ საკლასო ოთახში უნდა იყოს მრავალფეროვანი ემოციური გარემო, რომელიც მოსწავლის სულს აფორიაქებს და ავითარებს.

ჩვენ მეზობელ ქალაქებში ვიზრდებოდით კალიფორნიაში. ეს იყო მეოცე საუკუნის 50-იანი წლები, სკოლა იყო ძალიან ჩვეულებრივი, მოსაწყენი, არა?

დიახ, სკოლა ისე იყო მოწყობილი, რომ ეზრუნა მასების განათლებაზე, ეს იყო ერთგვარად განათლების მასობრივ პროდუქციაზე გათვლილი. სწავლება მოსაწყენი იყო, რადგან არ ვიყავით დაინტერესებული მაღალი ქულების მიღებით, არ გვქონდა მოტივაცია სწავლისა, სწავლასა და ცხოვრებას ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებდით. ყველაფერი მხოლოდ დამახსოვრებას ეფუძნებოდა, ამიტომ ძალიან რთული იყო, ჩაღრმავებოდი იმას, რასაც გასწავლიდნენ და გაგეაზრებინა.

სწავლების პროცესი ნამდვილად არ იყო აწყობილი ისე, რომ ბავშვებს სწავლა გახარებოდათ. გქონდა ისეთი შემთხვევა სწავლისას, რამაც შენი აღფრთოვანება გამოიწვია?

როდესაც კოლეჯში დავიწყე სწავლა, მაშინ უფრო მეტად მოახდინა ჩემზე გავლენა სასწავლო პროცესმა. მაგალითად, მომწონდა სოციალური მეცნიერება და ამიტომ ავირჩიე ის კლასი, სადაც ამ დისციპლინას ასწავლიდნენ. საშუალო სკოლაში კი მთელი ყურადღება ფოკუსირებული იყო იმაზე, რომ შეგვეძინა სხვადასხვა უნარი: მათემატიკისა, მეცნიერებისა, ენისა და ლიტერატურისა. ეს კი არცთუ ისე კარგად გამომდიოდა. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ არ მომეცა შესაძლებლობა, მეთქვა, რომ მე მიყვარს სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია. მე მომწონდა ამ საგნების შემსწავლელი კლასები და სწავლაც მინდოდა. მაინტერესებდა, ცნობისმოყვარეობა მიბიძგებდა, უფრო მეტი სიბეჯითით მესწავლა.

ჩემი აზრით, დღეს ყურადღების კონცენტრაცია უნდა მოხდეს სამ რამეზე:

1. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, როგორ მოიპოვონ ინფორმაცია;
2. როგორ გაიაზრონ მოძიებული მასალა;
3. შემოქმედებითად როგორ გამოიყენონ ეს მასალა, რომ შექმნან რაიმე მატერიალურად ღირებული.

ეს განსხვავდება იმ აბსტრაქტული ცნებების სწავლებისაგან, რომელთაც არასოდეს ექნებათ რაიმე კავშირი მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სწორედ ამგვარმა მიდგომამ, თეორიის პრაქტიკასთან კავშირის აუცილებლობამ წინ წამოსწია სწავლების ისეთი ფორმები, როგორებიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება და თანამშრომლობითი სწავლება.

რას გულისხმობ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში?

ეს გულისხმობს, მაგალითად, იმგვარ დავალებას, რომ ჯერ დაგეგმო და მერე იმ გეგმის მიხედვით ააშენო სახლი. თქვენ იყენებთ სახლს იმისთვის, რომ ბავშვები დააინტერესოთ მათემატიკით, დიზაინით, მეცნიერებით და ბევრი სხვა საგნით. პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს ინტეგრირებულ სწავლებასაც, რადგან მოსწავლეები ერთდროულად შეისწავლიან სხვადასხვა დარგს, თანაც არა – გარკვეული პორციით, რომ ამ საათში ეს უნდა შეისწავლონ, იმ საათში – ის. ამიტომაც ვამბობთ: „აი, შენი პროექტი: ააშენე სახლი". შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გააკონტროლონ გარემო გარკვეული კუთხით, მშენებარე სახლის საჭიროებებიდან გამომდინარე. მაგალითად, მათ შეიძლება სახლი ააგონ გარკვეული ფინანსებით; შეიძლება ისეთი სახლი ააგონ, რომ ქარიშხალს გაუძლოს; ან ტემპერატურა უნდა შეინარჩუნოს სახლმა – სიგრილე, როცა გარეთ სიცხისგან ყველაფერი იწვის. თქვენ შეგიძლიათ ათასი პირობა მოიფიქროთ, თუ როგორი სახლი რა ფუნქციით უნდა აშენდეს. მათ ბევრი რამის შესწავლა და გამოყენება დასჭირდებათ სახლის შენების პროცესში. შემდეგ წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევარს. ახლა უკვე კარგად ეცოდინებათ თერმოდინამიკის, მათემატიკისა თუ სხვა საგნების კანონები, რადგან უკვე პრაქტიკულად გამოიყენეს ისინი.

რაც თქვენ თქვით, კარგად წარმოაჩენს იმას, თუ როგორ უნდა შთააგონო ვინმეს, ისწავლოს, რათა მიზნები განახორციელოს.

სწორია, და მიზანი სულაც არ არის უბრალოდ ნიშნის მიღება. ის უფრო ხელშესახებია. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ აბსტრაქცია განათლებაში სპილოს კოშკის აგებას უწყობს ხელს, ესე იგი, ცხოვრებისგან მოწყვეტას. ბავშვების უმრავლესობა კი უპირატესობას ანიჭებს იმგვარ სწავლებას, რომელიც მიმართულია პრაქტიკული საქმიანობისკენ. მათ კარგად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი მიზანი, თუ რისთვის სწავლობენ. პრობლემა წარსულში კიდევ ის იყო, რომ საგნები იზოლირებულად ისწავლებოდა. თანაც, მოსწავლეები ინდივიდუალურად მეცადინეობდნენ. მასწავლებლებს მოსწავლეებთან ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ, რადგან გაკვეთილი სალექციო ხასიათს ატარებდა. თავის მხრივ, სკოლას ქალაქთან არ ჰქონდა კავშირი და მოსწავლეებს – ერთმანეთთან. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ სოციალური და ემოციური სწავლება იმას კი არ ნიშნავს, რომ თქვათ: „ჩვენ ხვალ 4 საათზე გვაქვს გაკვეთილი", არამედ უნდა ჩართოთ სოციალური და ემოციური სწავლება საგანმანათლებლო პროცესში და თქვათ: „თქვენ უნდა განახორციელოთ ეს პროექტი ოთხ მოსწავლესთან ერთად. თქვენ შეფასდებით როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფთან ერთად. ნიშანი დაგეწერებათ ინტელექტუალური შრომისთვისაც და იმისთვისაც, თუ როგორი ემოციური ურთიერთობა გქონდათ ჯგუფის წევრებთან, როგორ იმუშავეთ მარტომ და როგორ გაართვით თავი ჯგუფურ მუშაობას. ეს ყოველივე, საბოლოო ჯამში, რეალურ სამყაროსთან არის დაკავშირებული. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს შემდგომში, დაგიქირავებენ სამსახურში თუ გაგათავისუფლებენ.

გამახსენდა, ამას წინათ ვესაუბრებოდი უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპანიის წარმომადგენლებს და მითხრეს, პრობლემები გვაქვს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებთან, რადგან მათ არა აქვთ ურთიერთთანამშრომლობის უნარი; ამიტომ ჩვენ გვიწევს მათი გადამზადება, რომ მიეჩვიონ გუნდურ მუშაობასო. არსებობს ადამიანური უნარები – მარტო მუშაობისა და სხვებთან ერთად მუშაობისა. სტანდარტულ აკადემიურ პროგრამებში ეს არ არის გათვალისწინებული. თვითშემეცნება სოციალური და ემოციური სწავლების ნაწილია. ამ შემთხვევაში, ბავშვები სწავლობენ, როგორ მართონ თავიანთი ემოციები, როგორ გაუმკლავდნენ იმპულსებს, როგორ თანაუგრძნონ სხვებს, როგორ შეამჩნიონ სხვები, როგორ დაინახონ საგნები და მოვლენები სხვათა გადასახედიდან. ისინი იძენენ სოციალურ უნარებს, როგორ მოაგვარონ კონფლიქტური სიტუაციები. ეს ის უნარებია, რომლებიც ადამიანებს სჭირდებათ, რომ ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიონ.

ნამდვილად ასეა. ვინც მოზარდია, მოზარდების სამყაროში ცხოვრობს, უნდა აცნობიერებდეს, რომ თუ შეუძლია წაახალისოს სხვები, ჩამოაყალიბოს ჯგუფი, საუკეთესო კუთხით გამოავლინოს ყველა – სწორედ ეს არის წარმატების საიდუმლო. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ახალგაზრდას, უპირველესად, ცნობისმოყვარეობა ამოძრავებს. მათ ბუნებრივად უნდათ, გაიგონ, როგორ მუშაობს ესა თუ ის ხელსაწყო. ამავე დროს, მათ უნდათ, რომ იყვნენ მოზარდები. ამიტომ თქვენ უნდა შესთავაზოთ ისეთი პროექტი, როგორიცაა სახლის აშენება, სარაკეტო გემის შექმნა, გაზეთის გამოცემა. პრაქტიკული, რეალური მიზნები უნდა დაუსახოთ, მაშინ ისინი სიამოვნებით იმუშავებენ. ბავშვებს უყვართ რაღაცების კეთება, ამიტომ ისინი ისწავლიან, თუ დაავალებთ რაიმეს შექმნას.

ნევროლოგიის თვალსაზრისით, თქვენ საუბრობთ იმის შესახებ, თუ როგორ შევუქმნათ ბავშვებს იმგვარი ოპტიმალური მდგომარეობა, რომელშიც ისინი ისწავლიან. თქვენ საუბრობთ საინტერესო პროექტებზე, რომლებიც მათ სწავლისკენ, კეთებისკენ უბიძგებს. ეს მათთვის სახალისოა და არა მოსაწყენი, რადგან არ უხდებათ გაუგებარი რაღაცების დაზეპირება.

დიახ. ეს მთლიანად ცვლის სასწავლო პროცესს. ეს გულისხმობს ინფორმაციის მოძიებას, თავმოყრას, ფაქტების, პროცესების, წესების შესწავლას. მაგალითად, თუ თქვენ გინდათ გამოიყენოთ ვიდეომაგნიტოფონი, ამ მიზნით აუცილებლად წაიკითხავთ ინსტრუქციას და კარგად გაარკვევთ ყველა დეტალის ფუნქციას. შემდეგი ნაბიჯია, სკეპტიკურად შეხედოთ ფაქტებს. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გადმოგცემთ ამ ფაქტებს, ან საიდან მოდის ეს ინფორმაცია, ყოველთვის იფიქრეთ: შემიძლია ამის დასაბუთება? შემიძლია ამის შემოწმება? შემიძლია ამის დაზუსტება? კარგად იცით, რომ თუ ხიდს გადებთ უფსკრულზე, მაშინვე კი არ გადაირბენთ, არამედ ნელ-ნელა გაივლით და დარწმუნდებით, ყველგან მყარია თუ არა, სანდოა თუ არა. ასევე ჯერ ამოწმებთ ფაქტებს და მერე შემოქმედებითად იყენებთ. შემოქმედება და შემოქმედებითი პროცესი დამოკიდებულია იმაზე,

> სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ მასწავლებელს სურს სწავლების ფორმების ცვლილება, ახალი გზების გამოძებნა. დღეს სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მასწავლებელი თინეიჯერის მშობელივით გრძნობს თავს. თქვენ ლაპარაკობთ, მაგრამ დარწმუნებული არა ხართ, რომ გისმენენ. ეს არცთუ ისე სასიამოვნოა. თუ მასწავლებლები მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში უფრო მეტად იქნებიან ჩართულნი, მაშინ ისინი გაიმარჯვებენ. ისინი გაიხარებენ და იამაყებენ, როცა მათი მოსწავლეები პრობლემებს გაუმკლავდებიან.

თუ რას ფიქრობთ. თქვენ კი არ სწავლობთ ფაქტებს და წესებს, არამედ ფიქრობთ, იაზრებთ. თქვენ ამბობთ: როგორ შემიძლია შევქმნა რაღაც სრულიად ახალი, ან როგორ გამოვიყენო ეს ინფორმაცია სრულიად ახალი კუთხით?

მომწონს თქვენი რჩევა იმის თაობაზე, რომ ბავშვებმა ეჭვით უნდა შეხედონ ნებისმიერ აღიარებულ სიმართლეს, ყოველივე იმას, რასაც ეუბნებიან, განსაკუთრებით დღეს, როცა ბავშვები აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, რადგან ის საუკეთესო სწრაფი გზაა მასალის მოსაპოვებლად. ერთი ახალი უნარი ესეცაა, რომ შეაფასო მოძიებული წყარო. ჩემი აზრით, დღეს ეს უნარი ყველაზე მნიშვნელოვანია.

ეს ბავშვებს მძღოლის ადგილას სვამს, რომელსაც ევალება მათი იქ მიყვანა, სადაც სურთ. ეს განსაკუთრებით უფროსკლასელებს ეხება. მათ არ სურთ დაექვემდებარონ ავტორიტეტულ ფიგურებს, ამ შემთხვევაში – მასწავლებლებს. კარგი მასწავლებელი არ არის პიროვნება, რომელიც მოსწავლეებს კარნახობს ინფორმაციას. კარგი მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს: „შენ ჭკვიანი ხარ და თვითონ გაარკვევ ყველაფერს, მაგრამ თუ დახმარება დაგჭირდება, დაგეხმარები“. თუ მოსწავლეს დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა ექნება, მასწავლებელს კი მხოლოდ ხელმძღვანელობა დაევალება, ერთგვარი მეგზურობა ცოდნის შეძენის გზაზე, მაშინ მოსწავლე ბევრად მეტს ისწავლის და გაიაზრებს. ყველაზე კარგი ისაა, როცა მასწავლებელი ჩვეულებრივი ადამიანია, უკან დგას და მოსწავლეებს აქეზებს, უწონებს მონდომებას. ხანდახან ეუბნება: „რას აკეთებ? მეც ამიხსენი!“ მასწავლებელი მიმართულებას უნდა აძლევდეს და ის უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც მოსწავლეები დასახმარებლად მიმართავენ.

ჯორჯ, არ გეჩვენება პარადოქსად, რომ დღეს, ციფრულ ეპოქაში, როდესაც შეგიძლია, განათლება ათასგვარი ვიდეომასალით შეიძინო, მასწავლებელი მაინც საჭიროა?

დღეს მასწავლებელი უფრო მეტად მნიშვნელოვანია. ციფრული ეპოქა მასწავლებელს ბევრ საშუალებას აძლევს. ზოგ მასწავლებელს მოსწონს, რომ ეკრანს ან დაწერილ გეგმას ამოეფაროს, ისინი არ მსჯელობენ მოსწავლეებთან, არაფერს განიხილავენ. ბევრმა მასწავლებელმა კი იცის, რომ მოსწავლეებს თვითონ პროცესი ხიბლავთ, რეალურ საგნებში გარკვევა და ანალიზი – იმ ნათურაზე დაკვირვება, რომელიც მათ კლასში ანთია.

ადამიანური ურთიერთობები უნიშვნელოვანესია, მაშინაც კი, როდესაც ბავშვები კომპიუტერის გამოყენებით სწავლობენ.

სწორედ აქ ჩნდება ემოციური ინტელექტი, რადგან თუ ჯგუფში მუშაობთ, მოგიწევთ არგუმენტაციის პროცესის შესწავლა, ფაქტების პრეზენტაცია, საკუთარი თვალსაზრისის დამტკიცება, სხვების არგუმენტების დაჯერება; თვალსაზრისის შეცვლა, თუ აღმოჩნდება, რომ თქვენი არგუმენტები მცდარია. ამაში სიამაყემ ან სხვა ამგვარმა გრძნობამ ხელი არ უნდა შეგიშალოთ. უნდა შეგეძლოთ აღიაროთ, რომ შეცდით. მაგალითად, თქვათ: „ჩემი მოპოვებული ინფორმაცია მცდარია, ამიტომ მე სხვა, უკეთეს ინფორმაციას გამოვიყენებ". ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს შეძლოთ. ამას არ ასწავლიან სკოლაში, მაგრამ ეს უმნიშვნელოვანესია ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ვერ მოიგებთ ოცდამეერთე საუკუნის მთავარ თამაშს, რომელსაც ცვლილება ჰქვია. მთავარია, რომ მუდმივად დაუსვათ კითხვა თქვენს თავს: „რა ხდება?" – და პატივი სცეთ იმათაც, ვინც მსგავს კითხვებს სვამს. როდესაც ვიღაცას რაიმე იდეა აქვს, თქვენ პატივს სცემთ ამ იდეას, იღებთ გამოწვევას და არ სტკენთ გულს სხვას, არ ილანძღებით და არ ურტყამთ მუშტებს.

თქვენ საუბრობთ ადამიანებზე, რომლებიც სკოლაში სწავლობენ ჯანსაღ მიღება-გაცემას. აღნიშნეთ, რომ სოციალური და ემოციური სწავლება ბავშვებს ეხმარება წარმატებისთვის საჭირო ისეთი უნარის ათვისებაში, როგორიცაა ერთად მუშაობა. პირველ რიგში, საჭიროა თვითშემეცნება – უნდა გაარკვიოთ, რას და რატომ ფიქრობთ ამა თუ იმ საგანზე.

ისევ და ისევ, ეს არის პროექტზე დაფუძნებული სწავლება. ერთია, როდესაც რაღაცას სწავლობ თეორიულად, აბსტრაქტულად, მეორე – როცა საგანთა შუაგულში ექცევი. ასეთ დროს პრაქტიკულად სწავლობენ იმას, რასაც ამ ურთიერთობების გარეშე ვერ შეისწავლიდნენ. სწორედ ამგვარად შეგვიძლია მასწავლებლის მიერ მოცემული ცოდნის გამოყენება და თვითშემეცნება, გააზრება, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი. უფრო ეფექტურია სწავლება, როცა ბავშვებს პრობლემის წინაშე ვაყენებთ და ვეუბნებით: „იფიქრე, რა გზით გადაჭრი ამ პრობლემას" თან ჯგუფსაც ასწავლით, რომ ყოველი მონაწილე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური და ემოციური სწავლება ქმნის რეალურ სიტუაციას კლასში და ბავშვები ხალისით სწავლობენ.

დიახ, თანამედროვე ეპოქის ერთი პრობლემა ისიცაა, რომ ადამიანები ძალიან დაშორდნენ ერთმანეთს. ეს ჩანს ინტერნეტით ურთიერთობისას, აგრეთვე, თოქშოუებში. ჩვენ არ ვამბობთ: „შენ არ უნდა თქვა ეს. ეს ვიღაცას გულს სტკენს". ჩანს, რომ ადამიანებისთვის სულერთია, თუკი მათ ათასობით, მილიონობით ადამიანი უსმენს; რა მოხდა, თუ ვიღაცას გული ეტკინება? მაგრამ თუ ჯგუფში იქნებით და მსგავსი რამ მოხდება, თქვენ იტყვით: „ერთი წუთი დაიცადე, თუ ამას სხვა შენ გეტყვის, რას იგრძნობ?"

და ეს არის თანაგრძნობის ძალიან ღირებული გაკვეთილი.

თქვენ იცინით, როდესაც ზოგიერთ თოქშოუში ვიღაცებს დასცინიან. მაგრამ თუ თქვენ გაგამასხარავებენ, ეს უკვე აღარ მოგეჩვენებათ სასაცილოდ. თუ გადაწყვეტთ დასცინოთ სხვას, აღარავის მოუნდება თქვენთან მუშაობა, აღარავინ გცემთ პატივს, ყურადღებას აღარავინ მოგაქცევთ. ეს ყოველივე კარგად რომ გაიგოთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპორტულ გუნდში გაერთიანება.

ჩემი უდიდესი იმედი ის არის, რომ ბავშვები ყველაფერს მიიღებენ. სოციალური და ემოციური სწავლება დაეხმარება მათ, ისწავლონ, როგორ უნდა სცენ ადამიანებს პატივი, როგორ თანაუგრძნონ და როგორ აუარონ გვერდი მასმედიის, განსაკუთრებით – ტელევიზიის წესებს, რომლებიც ხშირად საწინააღმდეგოს ქადაგებენ.

მართლაც, მასმედია და ტელევიზია ხშირად წარმოაჩენს ადამიანს როგორც ცხოველს და ამით ტკივილს აყენებს ბევრს. ეს სიამოვნებას ანიჭებთ.

განა ეს არ მოითხოვს რაღაც ახალს მასწავლებლისაგან? არის გზა, რომ მასწავლებელი მომავლისთვის მომზადდეს?

ისევ და ისევ, საჭიროა მასწავლებელთა მომზადება სოციალური და ემოციური სწავლების სფეროში. მასწავლებელი უნდა იყოს ინფორმირებული და იცოდეს, როგორ ასწავლოს, როგორ გაუმკლავდეს პრობლემებს, როგორ დაუახლოვდეს მოსწავლეებს. ამისთვის საჭიროა ინტერპერსონალური უნარების განვითარება. მასწავლებელი ახლოს უნდა იცნობდეს მოსწავლის ცხოვრებას, საჭიროებებს, რათა უკეთესად შეძლოს მისი დაინტერესება და პრობლემათა ძირფესვიანად განხილვა.

სწავლების ეს ტიპი სცილდება თანამედროვე სტანდარტის მოდელებს. ეს ბავშვებზე სიღრმისეულ მზრუნველობას გულისხმობს.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ მასწავლებელს სურს სწავლების ფორმების ცვლილება, ახალი გზების გამოძებნა. დღეს სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მასწავლებელი თინეიჯერის მშობელივით გრძნობს თავს. თქვენ ლაპარაკობთ, მაგრამ დარწმუნებული არა ხართ, რომ გისმენენ. ეს არცთუ ისე სასიამოვნოა. თუ მასწავლებლები მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში უფრო მეტად იქნებიან ჩართულნი, მაშინ ისინი გაიმარჯვებენ. ისინი გაიხარებენ და იამაყებენ, როცა მათი მოსწავლეები პრობლემებს გაუმკლავდებიან.

კონელის კითხვარი – უმცროსი ასაკის მოსწავლის მრავალმხრივი ინტელექტის გაზომვის ინსტრუმენტი

მარინე ჯაფარიძე

1970-იან წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ფსიქოლოგმა ჰოვარდ გარდნერმა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ინტელექტის ის ტრადიციული გაგება, რომელსაც ინტელექტის საზომი (IQ) ტესტები ეფუძნება. მან აღმოაჩინა, რომ ადამიანები დაჯილდოებულნი იყვნენ მრავალი ისეთი ნიჭითა და უნარით, რომლებიც არასაკმარისად იყო ასახული ინტელექტის ტრადიციულ გაგებაში. გარდნერმა მრავალი სხვადასხვა წყარო გამოიყენა, მათ შორის - აუტისტებსა და ნიჭიერ ბავშვებთან დაკავშირებული ნეიროფსიქოლოგიური კვლევები, რათა გაემყარებინა საკუთარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტვინის სხვადასხვა უბანი სხვადასხვა ტიპის ინტელექტზეა პასუხისმგებელი. 1983 წელს გარდნერმა გამოაქვეყნა ნაშრომი „Frames of Mind", სადაც შვიდი სხვადასხვა ტიპის ინტელექტი გამოყო, ხოლო ათი წლის შემდეგ მერვე ტიპი დაამატა. მისი მტკიცებით, თითოეული ადამიანი ფლობს ყველა ინტელექტს, ოღონდ სხვადასხვა დოზით. ამ თეორიის მიხედვით, ინტელექტის ტრადიციული გაზომვა შესაძლოა ტენდენციური იყოს ზოგიერთი ტიპის ინდივიდის მიმართ, რადგან არ არსებობს ორი ზუსტად ერთნაირი პროფილის მქონე ინტელექტი. ეს პროფილები ჩვენს ინდივიდუალურ გენეტიკასა და გამოცდილებას ეფუძნება და ამიტომ უნიკალურია, სხვებისაგან განსხვავებული.

ინტელექტის გაზომვა არსებული ტესტების მეშვეობით ინტელექტის რეალურ შესაძლებლობს შეზღუდულად წარმოაჩენს. მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის მიხედვით, არსებობს 8 ძირითადი ტიპის ინტელექტი. ესენია: ლინგვისტური, მუსიკალური, ლოგიკურ-მათემატიკური, სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური და ნატურალისტური. ამ 8 ძირითადი ინტელექტიდან ინდივიდს შესაძლოა გამოკვეთილი ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე, თუმცა ყველა ერთნაირად არა. გარდნერის მიერ შემოთავაზებული მოდელი ყველა ტიპის ინდივიდს მოიცავს, გასაოცარი ნიჭიერებისა იქნება ის თუ გონებრივად ჩამორჩენილი ან ფიზიკური შეზღუდულობის მქონე. მაგალითად, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი შესაძლოა ვერ ფლობდეს გამართულ ენობრივ ფორმებს, მაგრამ შესანიშნავად ხატავდეს ან უკრავდეს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე. ვინაიდან საგანმანათლებლო სისტემა აქცენტს მათემატიკური და ლინგვისტური ინტელექტის განვითარების მნიშვნელობაზე სვამს, მოსწავლის მიერ მიღწეული წარმატების შეფასებაც მხოლოდ ამ ორი ინტელექტის მიხედვით გაზომილ უნარებს ეფუძნება. გარდნერი და მრავალმხრივი ინტელექტის სხვა მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ ამგვარი აქცენტირება არ არის სამართლიანი, რადგან, მაგალითად, ბავშვები, რომლებიც მაღალგანვითარებულ მუსიკალურ ინტელექტს ფლობენ, შესაძლოა გადაყვანილ იქნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე კლასში

> სწავლის მეთოდების უფრო ფართო დიაპაზონის შემოღებით მასწავლებლებს და, რა თქმა უნდა, მშობლებსაც შეუძლიათ, უკეთ შეიცნონ ინდივიდის ძლიერი და სუსტი მხარეები და განსაზღვრონ მათთვის უპირატესი სწავლის სტილი, ეს კი საშუალებას მისცემს მოსწავლეს, უფრო ნაყოფიერად ისწავლოს.

ვინაიდან მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავებულად ითვისებენ შესასწავლ მასალას, არ შეიძლება მათი შეფასება ერთიანი, სტანდარტიზებული სისტემით. საჭიროა, მასწავლებელმა თითოეული მოსწავლისთვის შექმნას ე.წ. ინტელექტის პროფილები. მოსწავლეთა ინდივიდუალური ათვისების უნარის ცოდნა მასწავლებელს დაეხმარება, სათანადოდ შეაფასოს მათი პროგრესი.

მათემატიკასა და ენის კურსებში არასაკმარისი ქულების გამო. მასწავლებლები უნდა ეძებდნენ მოსწავლეთა შეფასების ისეთ გზებს, რომლებიც მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ზუსტ წარმოდგენას მისცემთ.

ვინაიდან მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავებულად ითვისებენ შესასწავლ მასალას, არ შეიძლება მათი შეფასება ერთიანი, სტანდარტიზებული სისტემით. საჭიროა, მასწავლებელმა თითოეული მოსწავლისთვის შექმნას ე.წ. ინტელექტის პროფილები. მოსწავლეთა ინდივიდუალური ათვისების უნარის ცოდნა მასწავლებელს დაეხმარება, სათანადოდ შეაფასოს მათი პროგრესი.

ტრადიციული ტესტები მოსწავლეებისგან მოითხოვს წინასწარგანსაზღვრული ცოდნის გამოვლენას, გარდნერის თეორიის მომხრეები კი ამტკიცებენ, რომ უნდა შეიქმნას ისეთი შეფასებითი სისტემა, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, განმარტონ სასწავლო მასალა საკუთარი ინტერპრეტაციით სხვადასხვა ინტელექტის გამოყენებით. ამ თვალსაზრისით, ტრადიციულ შეფასებით სისტემაზე ეფექტიანია სხვა მეთოდები: მოსწავლეთა პორტფოლიოები, დამოუკიდებელი პროექტები, მოსწავლეთა დღიურები, სხვადასხვა შინაარსის კრეატიული საშინაო დავალებები. სკოლების ერთ-ერთი ამოცანაა, მოსწავლეებს განუვითაროს თავდაჯერება და მიზნის მისაღწევად საჭირო უნარები. მრავალმხრივი ინტელექტის თეორია საშუალებას იძლევა, შესწავლილ იქნეს მოსწავლეთა სხვადასხვა ნიჭი და უნარები, ამასთანავე, იგი აღიარებს, რომ შესაძლოა ყველა მოსწავლე არ იყოს დაჯილდოებული ვერბალური ან მათემატიკური უნარებით; სამაგიეროდ, წარმატებულნი იყვნენ სხვა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მუსიკა, სივრცული აღქმა ან ინტერპერსონალური ცოდნა. ამგვარი მიდგომა და შეფასებითი სისტემა შესაძლებლობას აძლევს ყველა მოსწავლეს, წარმატებით მიიღოს მონაწილეობა საკლასო სწავლებასა და სხვადასხვა აქტივობაში.

გარდნერი მიუთითებს, რომ სწავლის მეთოდების უფრო ფართო დიაპაზონის შემოღებით მასწავლებლებს და, რა თქმა უნდა, მშობლებსაც შეუძლიათ, უკეთ შეიცნონ ინდივიდის ძლიერი და სუსტი მხარეები და განსაზღვრონ მათთვის უპირატესი სწავლის სტილი, ეს კი საშუალებას მისცემს მოსწავლეს, უფრო ნაყოფიერად ისწავლოს.

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია ნევროლოგიურ, ევოლუციურ და კროსკულტურულ საფუძვლებს ემყარება. იგი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა ინტელექტის განვითარებაში ბიოლოგიასთან ერთად დიდ როლს ასრულებს კულტურაც. ყველა საზოგადოება სხვადასხვა ტიპის ინტელექტს აფასებს. ეს შეფასებებიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ სფეროში პროფესიონალად ქცევის მოტივაციის გაჩენას. შესაბამისად, შესაძლოა, რომელიმე ინტელექტი მაღალ დონეზე განვითარდეს ერთი კულტურის ბევრ სოციუმში, მაშინ როცა იგივე ინტელექტი ნაკლებად განვითარდება სხვა კულტურის ინდივიდებში.

გარდნერი აღნიშნავს, რომ მრავალმხრივი ინტელექტის იდეა სიახლეს არ წარმოადგენს. მრავალი წელია გრძელდება დებატები ერთი თუ მრავალფეროვანი ინტელექტუალური უნარების არსებობის შესახებ. ფსიქოლოგები კამათობენ ინტელექტის შემადგენელი მრავალრიცხოვანი ფაქტორებისა და კომპონენტების არსებობის შესახებაც.

გარდნერმა ინტელექტი განსაზღვრა როგორც პრობლემების გადაჭრისა და სხვადასხვა კულტურული გარემოსთვის ღირებული პროდუქტის შექმნის უნარი.

გთავაზობთ კითხვარს (The Connell Multiple Intelligence Questionnaire), რომლის გამოყენებაც შესაძლებელია უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან.

ინსტრუქცია: „+“-ით აღნიშნე ყველა ის წინადადება, რომლებსაც ეთანხმები.

I

1 მიყვარს სიმღერების მოსმენა რადიოთი ან CD პლეერით.
2 მიყვარს მუსიკალური ვიდეოების ყურება.
3 მიყვარს კონცერტებზე სიარული და მუსიკის ცოცხლად მოსმენა.
4 ადვილად ვიმახსოვრებ მუსიკალურ ჟღერადობას, რიტმსა და მელოდიას.
5 დავდივარ მუსიკის გაკვეთილებზე
6 ადვილად ვიმახსოვრებ ახალ სიმღერებს.
7 მიყვარს სიმღერა

II

1 მიყვარს ხატვის გაკვეთილები.
2 მიყვარს ფანქრებითა და ფლომასტერებით ხატვა.
3 მომწონს თავსატეხების (ფაზლების) აწყობა.
4 მომწონს კუბურებითა და ლეგოებით სხვადასხვა საგნის აწყობა.
5 ვიდეოთამაშებით კარგად ვერთობი.
6 შემიძლია წარმოვიდგინო სურათი, რომელიც საგნების უკეთესად აღქმაში მეხმარება.
7 შემიძლია მანქანების, ტანსაცმლისა და ვარცხნილობის სტილის გარჩევა.

III

1 მიყვარს წიგნების, ჟურნალებისა და კომიქსების კითხვა.
2 სიტყვების კარგი მარაგი მაქვს და მიყვარს ახალი სიტყვების შესწავლა.
3 მომწონს მეგობრებისთვის ელექტრონული წერილების (მეილების) გაგზავნა.
4 მომწონს წერა.
5 მიყვარს რებუსების ამოხსნა და კროსვორდების შევსება.
6 ვფიქრობ, ჩემი ფიქრებისა და იდეების ჩაწერა საინტერესო იქნებოდა.
7 მიყვარს მეგობრებთან ტელეფონით საუბარი.

IV

1 მიყვარს ცხოველებთან თამაში და მათზე ზრუნვა.
2 მიყვარს ზოოპარკსა და გასართობ პარკში გასეირნება.
3 მიყვარს გარეთ ყოფნა.
4 მიყვარს ლაშქრობები, სეირნობა და სირბილი.
5 მიყვარს ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვება: თოვლზე, წვიმაზე, ქარზე, მზის ნათებაზე...
6 ვზრუნავ გარემოს სისუფთავეზე.
7 დიდ ყურადღებას ვუთმობ ცოცხალ სამყაროს: ციყვებს, მწერებს, ჩიტებს, ხეებს, მთა-კლდეებს...

V

1 მიყვარს მეცნიერული ექსპერიმენტების ჩატარება და სამეცნიერო მუზეუმებში სიარული.
2 მაინტერესებს არითმეტიკული და მათემატიკური ამოცანები.
3 საიდუმლოებების ამოხსნა მეხალისება.
4 ძალიან მაინტერესებს რიცხვები.
5 მიყვარს ჭადრაკი და ისეთი კომპიუტერული თამაშები, რომლებსაც ბევრი ფიქრი სჭირდება.
6 მიყვარს ისეთი შემეცნებითი გადაცემების ყურება, სადაც საუბარია მეცნიერებასა და მათემატიკაზე.
7 შემიძლია მათემატიკური ამოცანების გონებაში ამოხსნა და სწორად გამოანგარიშება.

VI

1 მიყვარს ცეკვა.
2 მიყვარს ისეთი სპორტული თამაშები, როგორებიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი და ა.შ.
3 მიყვარს ხელსაქმე, მაგ., ქსოვა, კერვა, მძივების ასხმა, ხეზე მუშაობა.
4 მომწონს თეატრალურ დადგმებში მონაწილეობა.
5 მიყვარს სიარულის დროს ფიქრი.
6 მიყვარს ისეთი აქტივობები, როგორებიცაა კარატე, სირბილი, ველოსიპედით სიარული, სკეიტბორდი და ტანვარჯიში.
7 ზოგჯერ თითქოს სხეულით „ვგრძნობ“ სწორ პასუხს.

VII

1 მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა.
2 მიყვარს მათი დახმარება, ვისაც სჭირდება.
3 მიყვარს ადამიანებსა და მათ ცხოვრებაზე წიგნების კითხვა და ფილმების ყურება.
4 შემიძლია გამოვიცნო, როგორ გრძნობენ თავს სხვა ადამიანები.
5 მეხალისება სასკოლო აქტივობების შესრულება და საოჯახო საქმეების კეთება.
6 მარტო ყოფნას სხვებთან ერთად დროის გატარება მირჩევნია.
7 მიყვარს საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა.

VIII

1 მიყვარს, როცა მე თვითონ ვაკეთებ რამეს.
2 მირჩევნია, მარტომ ვიმუშაო, ვიდრე კლასელებთან ერთად.
3 მიყვარს საკუთარ თავზე ფიქრი.
4 მიყვარს კომპიუტერული თამაშები.
5 ყოველთვის შემიძლია ვთქვა, რას ვგრძნობ.
6 მიყვარს ჩემი გრძნობებისა და აზრების დღიურში ჩაწერა.
7 კარგად ვიცი, რა გამომდის და რა – არა.

შეკრიბეთ თითოეულ ნაწილში მიღებული პლიუსები. თითო პლიუსი თითო ქულაა. ჩაწერეთ ქულები მათთვის განკუთვნილ გრაფაში. 5 და მეტი ქულა – ძლიერად განვითარებული ნიჭი; 3-4 ქულა – საშუალოდ განვითარებული ნიჭი; 3-ზე ნაკლები ქულა – სუსტად განვითარებული ნიჭი.

ნინო კაპანაძე

კითხვის საათი წიგნიერების განვითარებისთვის

დაწყებით კლასებში დამრიგებლის საქმიანობით მისაღწევ ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს წიგნიერების კომპეტენციის განვითარება. ამ მიზნით I-IV კლასების დამრიგებლებმა კითხვის საათის ფორმატში უნდა გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი: კითხვის ტექნიკის გაძლიერება, წაკითხულის განხილვა-გააზრება, ანალიზის უნარის განვითარება, მსჯელობის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

პირველ რიგში, საჭიროა სამუშაო ტექსტის შერჩევა, რომელიც უნდა პასუხობდეს სადამრიგებლო პროგრამის მიმართულებების თემატიკას. მეოთხეკლასელებისათვის გთავაზობთ სამუშაო ტექსტს „პატარა წალკოტის ამბავი“, ანუ „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“ (დანართი 1). თემატურად ის ეხმიანება პიროვნული განვითარების, გარემოს დაცვის, თვალსაწიერის გაფართოების მიმართულებებს.

1. კლასს ვაცნობთ ნაწარმოების სათაურს და ვეკითხებით: რას ნიშნავს სიტყვა „წალკოტი“? რას გულისხმობს ანდაზა „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“? თქვენი აზრით, რას შეიძლება ეხებოდეს ეს ნაწარმოები?
2. ტექსტი ურიგდება ყველა მოსწავლეს. სამ-ოთხ ნაწილად გაყოფილ ტექსტს სხვადასხვა მოსწავლე კითხულობს. მკითხველებს წინასწარ ვაძლევთ ინსტრუქციას – მკვეთრად, გასაგებად და შესაბამისი ინტონაციებით წაიკითხონ ტექსტი; დანარჩენებს ვთხოვთ, ყურადღებით მიადევნონ თვალი და მონიშნონ გაუგებარი ფრაზები ან სიტყვები.
3. გონებრივი იერიშის მეთოდით მოვიძიებთ უცხო სიტყვებსა და ფრაზებს, ვწერთ დაფაზე ან ფლიპჩარტზე და ვცდილობთ, დამხმარე კითხვებით მივიყვანოთ მოსწავლეები ამ სიტყვებისა თუ ფრაზების ახსნამდე; საჭიროების შემთხვევაში განვუმარტავთ.
4. ვქმნით სამ ან ოთხ ჯგუფს და ვაძლევთ დავალებას: შეადგინონ ნაწარმოების გეგმა და გააცნონ კლასს.
5. იგივე ჯგუფები აგრძელებენ მუშაობას პრეზენტაციაზე „ნამდვილი და გამოგონილი „ერთი წალკოტის ამბავში“. ჯგუფები წარმოადგენენ პრეზენტაციებს.
6. კლასს დისკუსიისათვის ვთავაზობთ კითხვებს:
   ა) რას ეხება ეს ნაწარმოები? რა მოგეწონათ და რა არ მოგეწონათ მასში?
   ბ) რა არის საჭირო სწორი გადაწყვეტილების მისაღებად?
   გ) თქვენი აზრით, რა საერთო და განმასხვავებელი აქვთ ხელოვანსა და ხელოსანს?
7. ვაჯამებთ დისკუსიას, უკუკავშირის მეთოდით ვაკეთებთ მინიშნებებსა და შეფასებებს. შეჯამებისას არ ვაკეთებთ ცალსახა ფორმულირებებს (მაგალითად, „მოხუცი შეცდა“, ან „არ შეცდა“), რათა ბავშვებს დავუტოვოთ ფიქრისა და განსჯის შესაძლებლობა. საბოლოოდ, შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, დავალებად ვაძლევთ ესეს „როგორ გადაარჩენდით ან აღადგენდით წალკოტს?“

„ბავშვებს დავუტოვოთ ფიქრისა და განსჯის შესაძლებლობა. საბოლოოდ, შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, დავალებად ვაძლევთ ესეს „როგორ გადაარჩენდით ან აღადგენდით წალკოტს?“

დანართი 1

პატარა წალკოტის ამბავი, ანუ „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“

ზაფხულის ერთ საღამოს ბებიამ შვილიშვილებს უამბო:

– ჩემი ბავშვობის ქალაქში დიდი ხნის წინ ტაძრის გვერდით ერთი ოჯახი დასახლებულა. ოჯახს ხუთი შვილი ჰყოლია. მათგან ერთს თურმე გამორჩეულად უყვარდა ბუნება, განსაკუთრებით – ყვავილები. ბიჭი ბევრს დახეტიალობდა ტყეში თუ მინდორში და სადაც ლამაზ ან უცნაურ ყვავილს, ტოტსა თუ ქვას წააწყდებოდა, უბით, ხელისგულებით მოჰქონდა და ეზოში აბინავებდა. ადგილს ისე შეურჩევდა და მოუწყობდა, იფიქრებდით, დედაბუნებას მოურგია ეს ყვავილი და ქოთნის ნატეხი ერთმანეთისთვისო.

ბიჭი გაიზარდა და მებაღეობის სწავლა დაიწყო. ჯერ თავის ქვეყანაში სწავლობდა, მერე ყვავილების სამშობლოდ აღიარებულ ქვეყანაშიც წავიდა, ბევრი რამ გაიგო და ისწავლა, ყველა გზიდან თან უცხო მცენარეები, უცხო ყვავილები წამოიღო და თავის ბაღში გაახარა.

ბაღი დიდი არ იყო, მზის ჩასვლისას ტაძრის ჩრდილი რომ გადმოწვებოდა, გადაფარავდა ხოლმე იქაურობას. ეს პატარა ადგილი მალე წალკოტად იქცა.

– რას ნიშნავს, ბებო, წალკოტი? – იკითხა ბიჭმა.

– წალკოტი ისეთი ბაღია, სადაც უამრავი ყვავილი და დეკორატიული მცენარეა და ყველა ერთად განსაკუთრებულ სილამაზეს ქმნის. იმ ბაღშიც ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა ჯიშის ვარდების ფერები და სურნელი. ციცქნა ცისთვალებს მორცხვად გამოეყოთ თავი თიხის ჭურჭლის ნამტვრევიდან. კუნძის თავზე შემოწნული კვალი ვერცხლისფერ ხავსს ამოევსო, იქიდან გადმოკიდებული კავიანი ყვავილი კი მიწისკენ ისწრაფოდა. მდინარის გამორიყული ხის ტოტი გველეშაპივით გაწოლილიყო, ვეებერთელა ქვევრი ჩრდილში წამოკოტრიალებული დევი გეგონებოდათ. მებაღე გათენებიდან დაღამებამდე იქაურობას დასტრიალებდა, მიწას და ყვავილებს ჩასჩურჩულებდა, ელაპარაკებოდა.

– ბებო, შენ ყოფილხარ იმ ბაღში, გინახავს ის მებაღე? – დაეჭვდა გოგო და დააყოლა: – რაღაც ზღაპარივით გვიყვები..

– არა, ბებო, ნამდვილი ამბავია და მეც ბევრჯერ ვყოფილვარ იმ ბაღში. მე კი არა, ბაღის ამბავი გასცდა პატარა ქალაქს, ქვეყანას და მნახველი მნახველზე მოდიოდა. ბაღის ვიწრო ბილიკებზე დამთვალიერებელთა ნაკადი არ წყდებოდა. მებაღეს

დაწყებით კლასებში დამრიგებლის საქმიანობით მისაღწევ ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს წიგნიერების კომპეტენციის განვითარება. ამ მიზნით I-IV კლასების დამრიგებლებმა კითხვის საათის ფორმატში უნდა გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი: კითხვის ტექნიკის გაძლიერება, წაკითხულის განხილვა-გააზრება, ანალიზის უნარის განვითარება, მსჯელობის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

ყვავილების ჯადოქარი, ყვავილებით მხატვარი შეარქვეს. მე უკვე მოხუცი მახსოვს, ძალიან მოხუცი. მუდამ მიწისკენ და ყვავილებისკენ დახრილი, ბეჭებშიც მოიხარა, მაგრამ საქმეს თავს არ ანებებდა. ბავშვებთან საუბარი ძალიან უყვარდა, უამბობდა ყვავილების ზნესა და ხასიათზე.

როგორც ამბობდნენ, ღამით, როცა ადამიანები იძინებდნენ, ყვავილები იდგამდნენ ენას და ერთმანეთს თავ-თავიანთ ამბავს უამბობდნენ. ყველაზე ამპარტავნები ჩინური ვარდები და ჰოლანდიური ტიტები იყვნენ, ყველაზე უკარებები – აფრიკული კაქტუსები, თავმდაბლობით ჩვენებური იები და ენძელები გამოირჩეოდნენ. ილაპარაკებდნენ ყვავილები და ბოლოს თავიანთი მებაღის დღეგრძელობას შესთხოვდნენ დედაბუნებას. მხოლოდ ვეებერთელა ლოდი იყო ჩუმად, მთასავით მედიდურად უსმენდა ყველას და არც ეთანხმებოდა, არც ეწინააღმდეგებოდა. ამ ლოდზე დაყრდნობა უყვარდა მოხუცს და ისიც იმ წუთების მოლოდინით ათენ-აღამებდა, რომ ბუნების მოამაგისთვის ბუნებისავე ძალა და ენერგია გაეზიარებინა.

– ბებო, ბებო, ეს როგორღა გაიგე? – ჩაეკითხა ბიჭი.

– ეს ჩემმა ბებიამ მიამბო და მეც თქვენ გიამბეთ. მებაღემ თითქმის საუკუნეს მიაღწია, შვილებიდან ერთი ქალიშვილი ცხოვრობდა მასთან და საქმეშიც ეხმარებოდა. სხვები აქეთ-იქით დაფანტულიყვნენ. ლოდთან შესვენებისას მოხუცი ხშირად ფიქრობდა თავისი წალკოტის მომავალზე და თავს ხმამაღლა შეუძახებდა ხოლმე, „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო“. იქვე დევივით წამოწოლილი ქვევრი ჯერ მუცელში ჩაიტრიალებდა მის ხმას და მერე ექოდ აბრუნებდა. მებაღეს ძალიან ართობდა ეს გამოპასუხება. თითქოს წალკოტი არიგებდა ჭკუას. შვილიშვილებიდან ორს ამჩნევდა ბუნების სიყვარულსა და ხელოვანის ნიჭს. აკვირდებოდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას აყოვნებდა.

...და ზამთრის ერთ სამწუხარო დღეს მებაღე ისე გარდაიცვალა, ვერ მოასწრო ეთქვა, ვის აბარებდა ნაამაგარს. ანდერძის მიხედვით, ბაღშივე დაკრძალეს, სწორედ იმ ადგილას, სადაც დასვენება უყვარდა.

მამისა და ბაღის მოყვარული ქალი იქაურობას ზრუნვას არ აკლებდა. მაგრამ აღარც ის იყო ახალგაზრდა. მამის მაგივრად ახლა მას უნდა გადაეწყვიტა წალკოტის მომავალი. ბოლოს, მებაღის მრავალრიცხოვანი შთამომავლებიდან იქაურობა ისეთებს დარჩათ, რომლებსაც არც ბუნების ენა ესმოდათ და არც მხატვრის ნიჭი ჰქონდათ. ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და ვერ შეძლეს იმ განძის პატრონობა, რაც მათ ხელში აღმოჩნდა.

მოიწყინეს ნაფერებმა ყვავილებმა, ზოგი გახმა, ზოგი დაჩიავდა. მათი ადგილი პომიდორმა და კომბოსტომ დაიკავა. წალკოტი ჯერ ბაღს დაემსგავსა, მერე – ბოსტანს. იქაურობა შეიცვალა. მხოლოდ მებაღის საყვარელი ლოდი არ იცვლება, დარაჯობს საფლავს და მედიდურად დუმს. თავქარიანი ჩიტავაშლებიც უძლებენ დროს და ზამთარში წითლად ღუიან. დაჰქროლებს ქარი, გადაურბენს ნაწალკოტარს, ქვევრის მუცლიდან გამოიტაცებს მოხუცის ხმას და წითელ ტოტებში გაბლანდავს. თუ კარგად დაუგდებ ყურს, გაიგებ, როგორ ჩურჩულებს ქარი, „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო“.

– ბებო, „გაზომვა“ დაფიქრებას ნიშნავს, არა? – იკითხა ბიჭმა.

– დიახ, ბებო გენაცვალოს, გაზომვა დაფიქრებასა და აწონ-დაწონას ნიშნავს, ადამიანმა წინ გახედვა უნდა მოახერხოს, რომ სწორად ივარაუდოს, რას რა შედეგი მოჰყვება და ისე უნდა გაჭრას, ანუ გადაწყვეტილება მიიღოს.

– წაგვიყვანე რა, ბებო, გვაჩვენე იქაურობა, მართლა ასე ჩურჩულებს ქარი? – ისევ ბიჭი დაინტერესდა.

– წაგიყვანთ, ოღონდ ზამთრის ქარიანი დღე უნდა შევარჩიოთ და ძალიან, ძალიან ყურადღებით მოვუსმინოთ.

– ბებო, იმ ბაღს აღარაფერი ეშველება? – ჩაეძია გოგო.
– ეშველება, თუ ისევ მოხუც მებაღესავით ნიჭიერი და მოყვარული ადამიანი გამოუჩნდება პატრონად.